

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:


ქალბატონი თამარ გოგოძე- აღმასრულებელი დირექტორი


ბატონი ლაშა ნიკოლაიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჩვენ, თამარ გოგოძე და ლაშა ნიკოლაიშვილი ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:

ხელმოწერები:


დირექტორი, თამარ გოგოძე


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ლაშა ნიკოლაიშვილი


განთავსების აგენტის დირექტორი, მერი ჩაჩანიძე

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი:

შპს „თიბისი კაპიტალი“

მის: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

ტელ: (+995 32) 227 27 27

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ვებ-გვერდი: www.tbccapital.ge

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1, თბილისი 0114, საქართველო

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: info@nbg.ge

ვებგვერდი: www.nbg.ge

შეთავაზების პირობების დოკუმენტი

1. შესავალი

1.1. მითითება იმის შესახებ, შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის წინასწარ თუ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს;

წინამდებარე შეთავაზების პირობები წარმოადგენს საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს.

1.2. ფასიანი ქაღალდის, ემიტენტის, განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, პროსპექტზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება, დამტკიცების თარიღი, ISIN

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	ლარის სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი არა-სუბორდინირებული ობლიგაცია
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 205034639) მისამართი: #68, 70 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო ელ. ფოსტა: rico@rico.ge ტელ.: +995 32 229 29 29
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ. ფოსტა: info@rbccapital.ge ტელ.: (+995 32) 227 27 33
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ: (995 32) 240 6120 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელფოსტა: info@nbg.ge ვებგვერდი: www.nbg.ge
დამტკიცების თარიღი:	15 მარტი, 2023წ.
ISIN	GE2700604285
ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE2700604285-1-01

დამტკიცებულია ეროვნული ბანკის მიერ:



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის წინასწარ ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

1.3. მითითება, რომ შეთავაზების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს და რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ“.

შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

2. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ინფორმაცია

2.1. ფასიანი ქაღალდის ძირითადი მახასიათებლები

2.1.1. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი

ობლიგაციების გამოშვების თარიღია 2023 წლის 17 მარტი.

2.1.2. შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების ტიპისა და კლასი

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის უზრუნველყოფილ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.

2.1.3. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი;

„ობლიგაციები“ ნომინირებულია ლარში.

2.1.4. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების მთლიანი ოდენობა; თუ ოდენობა ფიქსირებული არ არის, მისი მაქსიმალური ოდენობის (თუ შესაძლებელია) მითითება. ასევე, იმ პირობის აღწერა და იმ თარიღის მითითება, როდესაც მოხდება საბოლოო ოდენობის გასაჯაროვება;

„ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 130,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 200 საბაზისო პუნქტი (სპრედი) დამატებული ერთდღიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე და რომლებიც ვადამოსული ხდება 17.03.2026. „ობლიგაციების“ საბოლოო მაქსიმალური ოდენობა იქნება 130,000,000 ლარამდე. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000,000 ლარს.

2.1.5. ობლიგაციის შემდეგი მახასიათებლები:

ა) ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და გადასახდელ პროცენტთან დაკავშირებული პირობები:

- თარიღი, საიდანაც პროცენტი ხდება გადასახდელი და გადახდის დადგენილი ვადები;
- გადასახდელ პროცენტზე და ძირზე მოთხოვნის დაფიქსირების დროის ლიმიტები;

ბ) თუ განაკვეთი არ არის ფიქსირებული, უნდა მითითდეს ცვლადი, რაზეც არის მიბმული პროცენტი, ასევე პროცენტის ფიქსირებული ნაწილი, გაანგარიშების მეთოდი და პერიოდულობა;

- მითითება, თუ სად შეიძლება ცვლადი კომპონენტის ფასის ისტორიის მოძიება ელექტრონულად;

- ნებისმიერი მოვლენის აღწერა, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ცვალებად პროცენტზე

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

„ობლიგაციებს“ პროცენტი დაერიცხება [17.03.2023-დან 17.03.2026]-მდე (ბოლო თარიღის გამოკლებით), რომელიც გადახდილ უნდა იქნას კვარტალურად - თითოეული წლის [17 მარტს], [17 ივნისს], [17 სექტემბერს] და [17 დეკემბერს]. წინამდებარე 2.1.5 პუნქტში მოცემული პროცენტის გადახდის თითოეული თარიღი შემდგომში მოიხსენება როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“, ხოლო [2026 წლის 17 მარტი] - როგორც „გამოსყიდვის თარიღი“.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარეშეგების შესაბამისად, „რეგისტრირებულ მფლობელთა“ სიის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205156374) („რეგისტრატორი“) „ობლიგაციების“ მფლობელთა რეესტრში („რეესტრი“) ან „ნომინალური მფლობელის“ (აღრიცხვის ადმინისტრატორი) მიერ წარმოებულ ჩანაწერებში, სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე სამუშაო დღის დასრულებამდე („სააღრიცხვო თარიღი“), გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციების“ მფლობელის ანგარიშზე.

(ბ) პროცენტის დარიცხვა

პროცენტის დაანგარიშება მოხდება კალკულაციებისა და გადახდის აგენტის მიერ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების მიხედვით შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ 365 დღეზე დაყრდნობით შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

OD*(RR*N/365), სადა:

OD ნიშნავს ობლიგაციის ძირ თანხას;

RR ნიშნავს ერთდღიანი TIBR-ისა და „სპრედის“ ჯამს;

N ნიშნავს შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებულ რეალური დღეების რაოდენობას.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთი ცვლადია და დამოკიდებულია თბილისის ერთდღიან ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთ - TIBR-ზე (რომელიც განთავსებულია შესაბამის ბმულზე: <https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr>), შესაბამის განაკვეთს, თითოეული „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ განსაზღვრავს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ საბაზისო განაკვეთად აიღებს „პროცენტის განსაზღვრის პერიოდში“ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული თბილისის ერთდღიანი ბანკთაშორის საპროცენტო TIBR განაკვეთების „მედიანას“.

წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პროცენტის განსაზღვრის პერიოდი“ ნიშნავს რამდენიმე დღიან მონაკვეთს, რომელიც:

- იწყება „პროცენტის დარიცხვის პერიოდამდე“ 35 კალენდარული დღით ადრე;
- მთავრდება „პროცენტის დარიცხვის პერიოდამდე“ 5 კალენდარული დღით ადრე.

- ამასთანავე, მედიანის დათვლისთვის „პროცენტის განსაზღვრის პერიოდში“ არ გაითვალისწინება არასამუშაო დღეები.

წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის „მედიანა“ ნიშნავს ზრდადობით დალაგებული რიცხვების ჯგუფში შუა წერტილს. ჯგუფში კენტი რაოდენობის რიცხვების შემთხვევაში მედიანა ნიშნავს ზუსტად შუა რიცხვს, ხოლო ლუწი რაოდენობის რიცხვების შემთხვევაში შუა ორი რიცხვის საშუალო არითმეტიკულს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება TIBR ინდექსის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ ყველა შემდგომი საპროცენტო პერიოდისთვის სარგებლის საპროცენტო განაკვეთს ერთჯერადად განსაზღვრავს შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღიდან“ TIBR ინდექსის გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული TIBR ინდექსის განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი; და (ii) „სპრედი“. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ TIBR ინდექსის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღდება TIBR ინდექსის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი საპროცენტო პერიოდისათვის ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს TIBR ინდექსის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როცა „ობლიგაციის“ თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწვეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 91 დღეზე მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 91 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირითადი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „რეგისტრირებული მფლობელებისათვის“ გაგზავნამდე.

„პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს 91-დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა,

როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ზოლოს წინა დღეს და სრულდება „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

2.1.6. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებებისა და არსებობის შემთხვევაში, მასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღწერა; ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა;

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა შეზღუდული არ არის.

2.1.7. ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუნარობის / გაკოტრების შემთხვევაში;

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

2.1.8. არსებობის შემთხვევაში, სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებული ობლიგაციის რეიტინგები;

ობლიგაციებს არ გააჩნიათ საკრედიტო რეიტინგი.

2.1.9. დივიდენდების გაცემის პოლიტიკის აღწერა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური ან ნახევარწლიანი მოგებიდან. დივიდენდის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების პარტნიორი სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების საფუძველზე. არ არსებობს დივიდენდების განაწილების რაიმე შეზღუდვა, გარდა კომპანიის საბანკო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კოვენანტებისა.

3. შეთავაზების შესახებ ინფორმაცია

3.1. შეთავაზების პირობები და ვადები

შეთავაზება განხორციელდება ამ პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შეთავაზება დაიწყება პროსპექტის დამტკიცების შემდეგ და დასრულება ქვემოთ ჩამოთვლილი სამი შემთხვევიდან პირველივეს დადგომის შემთხვევაში:

- ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლისას;
- ბ)) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსებისას;
- გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტისას.

3.2. არსებობის შემთხვევაში, შესყიდვის განაცხადის მინიმალური ან / და მაქსიმალური თანხის ოდენობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ან ინვესტიციის ჯამური თანხა);

მინიმალური განაცხადი წარმოადგენს 1 (ერთ) ობლიგაციას. მაქსიმალურ რაოდენობაზე შეზღუდვა არ არის.

3.3. საჯაროდ დაშვება და შემდგომი ვაჭრობა

3.3.1. ინფორმაცია იმის შესახებ, იგეგმება თუ არა შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე პროსპექტის ძალაში ყოფნის პერიოდში. აგრეთვე ინფორმაცია ყველა იმ ზაზრის შესახებ, სადაც ემიტენტის სხვა ფასიანი ქაღალდები ივაჭრება;

„ემიტენტი“ გეგმავს „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ მათ ლისტინგს საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

3.3.2. არსებობის შემთხვევაში, ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების პირობები

საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვება მოხდება ბირჟის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

შემდეგ ბმულზე - https://gse.ge/upload/_309ef15d.pdf - შესაძლებელია „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების პირობების გაცნობა.

3.3.3. არსებობის შემთხვევაში, იმ პირთა დეტალები და მათი ვალდებულების ძირითადი პირობების აღწერა, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, იმოქმედონ შუამავლებად მეორად ვაჭრობაში და უზრუნველყონ შეთავაზების ლიკვიდურობა.

ასეთი არ არსებობს.

3.3.4. თუ პროსპექტით განსახორციელებელი საჯარო შეთავაზების პარალელურად ან ახლო პერიოდში იგეგმება იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების კერძო განთავსება, ან, თუ იგეგმება სხვა კლასის ფასიანი ქაღალდების საჯარო ან კერძო განთავსება, უნდა მიეთითოს ასეთი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, მახასიათებლები და ფასი;

არ იგეგმება.

3.4. შეთავაზებასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები, ინვესტორზე დაკისრებული დანახარჯების შეფასების ჩათვლით

გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციის განთავსებიდან მიღებული წმინდა სახსრები არ იქნება 128,000,000 ლარზე ნაკლები. „განთავსების“ საფასური/დანახარჯები არ დაეკისრება ინვესტორებს.

3.5. ემისიით/შეთავაზების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლისა და ჯამური ხარჯების ან მათი სავარაუდო ოდენობის მითითება; ხარჯები უნდა მოიცავდეს ინვესტორზე დაკისრებული დანახარჯებსაც

გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციის განთავსებიდან მიღებული წმინდა სახსრები არ იქნება 128,000,000 ლარზე ნაკლები. „განთავსების“ საფასური/დანახარჯები არ იქნება დაკისრებული ინვესტორებზე.

3.6. ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება;

ობლიგაციების ემისია ავტორიზებულ იქნა 2023 წლის 9 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.

14 მარტი 2023

**არაარსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ ცვლილების ამსახველი ოფიციალური წერილი
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო-კრედიტი“ რიკო ექსპრესი“**

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი” (ს/ნ 205034639) 130,000,000 (ას ოცდაათ მილიონ) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ობლიგაციების ემისიის პროსპექტში, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2023 წლის 14 მარტს N113 განკარგულებით, შედის ერთი არაარსებითი ხასიათის ცვლილება.

ცვლილების მიზეზი: Bookbuilding-ის პროცესამდე არ იყო ცნობილი რა ოდენობის ობლიგაციის გამოშვება მოხდებოდა, ამიტომ არ იყო განსაზღვრული, რომელი საბანკო სესხების რეფინანსირება მოხდებოდა მიღებული თანხით.

ცვლილების შინაარსი: ობლიგაციების პროსპექტის 42-ე გვერდზე „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“ დამატოს ქვემოთ მოცემული ინფორმაცია:

ემიტენტი ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრებით გეგმავს დაარეფინანსიროს ცხრილში მოცემული საბანკო სესხები:

გამსესხებელი ბანკი	რეფინანსირებული საპროცენტო განაკვეთი	ხელშეკრულების ვადა	ობლიგაციით დასარეფინანსირებელი სესხის მოცულობები
პაშა ბანკი	13.00%	04-04-23	5,000,000.00
იშ ბანკი - 1	13.00%	10-04-23	7,000,000.00
ბაზისბანკი (VTB)	13.02%	17-03-23	10,000,000.00
პაშა ბანკი	13.00%	21-03-23	10,000,000.00
იშ ბანკი - 1	13.00%	22-03-23	12,000,000.00
თიბისი ბანკი	13.00%	23-03-23	5,000,000.00
თიბისი ბანკი	13.00%	23-03-23	20,000,000.00
ბაზის ბანკი	13.05%	20-04-23	8,500,000.00
ბაზის ბანკი	13.05%	01-05-23	1,500,000.00
ტურა ბანკი - 25	13.00%	19-06-23	5,000,000.00
ტურა ბანკი - 26	13.00%	19-06-23	10,700,000.00
ხალიკ ბანკი	13.00%	07-07-23	3,000,000.00
ხალიკ ბანკი	13.00%	07-07-23	1,000,000.00
ხალიკ ბანკი	13.00%	07-07-23	1,500,000.00
საქართველოს ბანკი	13.00%	31-07-23	10,000,000.00
საქართველოს ბანკი	13.00%	29-09-23	19,800,000.00
ჯამი			130,000,000.00

ცვლილების სავარაუდო ზეგავლენა არსებულ თუ პოტენციურ ინვესტორთა გადაწყვეტილებაზე:

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ წარმოდგენილი ცვლილება არაარსებითი ხასიათისაა და მხოლოდ ემსახურება პროსპექტში მოცემული ინფორმაციის დამატებით დაზუსტებას, ამიტომ

ემიტენტის შეფასებით, ცვლილებას არ ექნება ზეგავლენა არც არსებული და არც პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებაზე.


დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები


ქალბატონი თამარ გოგოძე - აღმასრულებელი დირექტორი

ბატონი ლაშა ნიკოლაიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერები:


დირექტორი, თამარ გოგოძე


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ლაშა ნიკოლაიშვილი


განთავსების აგენტის დირექტორი, მერი ჩაჩანიძე

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ



14 მარტი, 2023 წ.

თავფურცელი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ემისიის წინასწარი პროსპექტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი

შპს

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“
(საიდენტიფიკაციო კოდი: 205034639)

ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 130,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 200 საბაზისო პუნქტი („სპრედი“) დამატებული ერთდღიანი თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი - TIBR ინდექსი და რომლებიც ვადამოსული ხდება [•] („ობლიგაციები“). გამოშვების ფასი: 100%

„ობლიგაციები“ გამოშვებულ იქნება არამატერიალური, რეგისტრირებული ფორმით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ („კომპანია“, „ემიტენტი“, „რიკო ექსპრესი“) მიერ 2023 წლის [•] („გამოშვების თარიღი“), 1,000,000 ლარის ბანკნოტებად, და მათი გამოსყიდვა მოხდება [•] („გამოსყიდვის თარიღი“), მათი ძირი ღირებულებით. „ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს კვარტალურად. გამოშვების ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არა-სუბორდინირებულ და სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი
შპს „თიბისი კაპიტალი“


ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:


ქალბატონი თამარ გოგომე - აღმასრულებელი დირექტორი

ბატონი ლაშა ნიკოლაიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჩვენ, თამარ გოგომე და ლაშა ნიკოლაიშვილი ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:

ხელმოწერები:


აღმასრულებელი დირექტორი, თამარ გოგომე


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ლაშა ნიკოლაიშვილი


განთავსების აგენტის დირექტორი, მერი ჩაჩანიძე

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი:

შპს „თიბისი კაპიტალი“

მის: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

ტელ: (+995 32) 227 27 27

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ვებ-გვერდი: www.tbccapital.ge

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზვიად გამსახურდიას სასაპირო #1, თბილისი 0114, საქართველო,

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: info@nbg.ge

ვებგვერდი: www.nbg.ge

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მისი მიმღების მიერ, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაუშვებელია წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მთლიანად ან ნაწილობრივ გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ განსაზღვრული მიზნებისა.

„კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ არსებულ ინფორმაციაზე. „კომპანია“ აცხადებს, რომ მან მიიღო ყველა გონივრული ზომა „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაციის სისწორის და სისრულის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მასში არ არის გამოტოვებული რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს პროსპექტის შინაარსზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელება და „ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია აკრძალული იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში. ის პირები, ვის მფლობელობაშიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ აღმოჩნდება, ვალდებული არიან შეატყობინონ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“ (როგორც ეს განმარტებულია „შეთავაზების შესახებ ინფორმაციაში“) ამგვარი შეზღუდვების არსებობის და მათი დაცვის შესახებ.

დაუშვებელია „ობლიგაციების“ „განთავსება“, „საჯარო შეთავაზება“ ან „რეკლამირება“ (როგორც თითოეული ტერმინი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობით) საქართველოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს „ობლიგაციების“ რეკლამას, შეთავაზებას, მოწვევას ოფერტზე, გაყიდვას, გაცვლას და/ან სხვაგვარ გადაცემას საქართველოს ფარგლებს გარეთ. წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს „ობლიგაციების“ შეთავაზებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ არის დამტკიცებული არც ერთი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა („სებ“), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ მარეგულირებელ ორგანოს.

შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. საჯარო შეთავაზების პრინციპების მიხედვით, შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საცალო, ასევე გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე. იმ შემთხვევაში, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფულად სახსრებს მოიზიდავს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან), თითოეული ფიზიკური პირისაგან (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმისგან) მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100,000 ლარზე ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას აღნიშნული მოთხოვნის დაცვის ვალდებულება წარმოეშობა, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100,000 ლარზე ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს შესაბამისი ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის ვადაში.

„ობლიგაციების“ შეთავაზება არ უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოში. უცხოელმა რეზიდენტებმა, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ადრესატები, უნდა უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში იმგვარად, რომ არ გახდნენ რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტები. ამასთან, რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში, ადრესატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“.

ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს შეიძინოს ან შეისყიდოს „ობლიგაციები“, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელი სამთავრობო ან სხვაგვარი თანხმობა და დაიცვას ყველა შესაბამისი ფორმალობა.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ პირდაპირ მოცემულ ან მითითების გზით მასში ჩართულ ინფორმაციას. „ობლიგაციების“ გამოცემასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ერთ პირს არ აქვს უფლება გასცეს ისეთი ინფორმაცია ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც არ არის მოცემული ან ჩართული წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ინფორმაციაზე, რომელიც მოცემული ან ჩართული არ არის წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. წინამდებარე

„ემისიის პროსპექტის“ მიწოდება ან მის საფუძველზე „ობლიგაციების“ გაყიდვა არ გულისხმობს, რომ „ემისიის პროსპექტის“ გაცემის თარიღიდან „კომპანიის“ საქმეებში არ შესულა ცვლილებები. პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რაიმე მატერიალური ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტი შესაბამისად განახლება.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეთავაზების მიზნებისათვის ნებისმიერ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი შეთავაზება არ არის კანონიერი ან ნებადართული, ან ნებისმიერი ისეთი პირის მიმართ, რომლის მიმართაც ამგვარი შეთავაზების გაკეთება არ არის კანონიერი ან ნებადართული; არ ხორციელდება რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც დაუშვებდა „ობლიგაციების“ შეთავაზებას ან „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას იმ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი ქმედება აუცილებელია.

შეთავაზება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. იხილეთ „რისკ-ფაქტორები“. არც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და არც „კომპანიის“ ან „განთავსების აგენტის“ მიერ „ობლიგაციებთან“ მიმართებით მიწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და დაუშვებელია მათი ამ კუთხით განმარტება. თითოეულმა ინვესტორმა თავად უნდა განახორციელოს პოტენციური რისკების შეფასება. „ემისიის პროსპექტი“ არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და საინვესტიციო (მათ შორის, თითოეული ინვესტორის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული) შეფასების აღწერას. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ იდენტიფიცირებული რისკები და საინვესტიციო შეფასებები მოცემულია ზოგადი ინფორმაციის სახით. ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ საკუთარ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებთან „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საინვესტიციო შეფასებებთან მიმართებით; ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად. არც „კომპანია“ და არც „განთავსების აგენტი“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას „ობლიგაციების“ რომელიმე მყიდველის ან ოფერტის მიმღების წინაშე, „ობლიგაციების“ მყიდველის ან ოფერტის მიმღების მიერ შესაბამისი საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების კანონიერებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოცემა და გავრცელება, ასევე „ობლიგაციების“ ნებისმიერი შეთავაზება ან გაყიდვა, არ წარმოადგენს „კომპანიის“ ან მისი ნებისმიერი „აღმასრულებელი დირექტორის“, თანამდებობის პირის ან დასაქმებულის მიერ, „კომპანიის“ წესდებით („წესდება“), კანონმდებლობით ან სხვა რეგულაციით მინიჭებულ რაიმე ისეთ უფლებაზე, იმუნიტეტზე, პრივილეგიაზე ან შეღავათზე უარის თქმას, რომელიც მათ უნარჩუნდებათ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ საფუძველზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ მომზადებულია ქართულ ენაზე. შესაძლებელია მოხდეს „პროსპექტის“ სხვა ენებზე თარგმნა, რა შემთხვევაშიც თარგმანებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ ქართულ ლარზე და „GEL“-ზე მითითება გულისხმობს საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე მითითებას.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ ნებისმიერი მითითება TIBR-ზე გულისხმობს ერთდღიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს.

„განთავსების აგენტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ან ჩართული ინფორმაციის სისწორეზე და პოტენციურმა ინვესტორებმა სიფრთხილით უნდა გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცია.

სარჩევი

თავფურცელი	1
სარჩევი	5
I. ზოგადი მიმოხილვა	7
1. შესავალი.....	7
2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	7
3. შეთავაზების შესახებ ინფორმაცია	16
4. რისკის ფაქტორები	17
II. რისკის ფაქტორები	19
1. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ინდუსტრიისა და ეკონომიკისთვის:	19
2. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის.....	31
3. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიკურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის.....	36
III. შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	42
IV. სარეგისტრაციო დოკუმენტი	42
1. პასუხისმგებელი პირები	42
2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	44
3. საქმიანობის აღწერა	46
4. ორგანიზაციული სტრუქტურა.....	56
5. საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა.....	57
6. კაპიტალიზაცია და დავალიანება	60
7. მარეგულირებელი გარემო	75
8. ინფორმაცია ტენდენციების შესახებ	82
9. მოგების პროგნოზი და ვარაუდები	82
10. მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები.....	83
11. მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა.....	86
12. თანამშრომლები	89
13. მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები).....	89
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	89
15. ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია	90

16. დამატებითი ინფორმაცია	92
17. მატერიალური ხელშეკრულებები	93
18. გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი	94
V. ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა.....	95
1. მნიშვნელოვანი ინფორმაცია	95
2. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს	96
3. საჯარო შეთავაზების პირობები.....	124
4. სავაჭროდ დაშვება და შემდგომი ვაჭრობა	129
5. ემისიის/ შეთავაზების ხარჯები	130

I. ზოგადი მიმოხილვა

1. შესავალი

1.1 ზოგადი ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების თაობაზე

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	ლარის სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი არა-სუბორდინირებული ობლიგაცია
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 205034639) მისამართი: #68, 70 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო ელ. ფოსტა: rico@rico.ge ტელ.: +995 32 229 29 29
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თბილისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge ტელ.: (+995 32) 227 27 33
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ: (995 32) 240 6120 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელფოსტა: info@nbg.ge ვებგვერდი: www.nbg.ge
დამტკიცების თარიღი:	[•] 14 აპრილი, 2023 წ.

1.2 მითითება პროსპექტის შესახებ

წინამდებარე ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს. ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან. ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება.

2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

2.1 ემიტენტის შესახებ მოკლე ინფორმაცია

2.1.1. ემიტენტის იურიდიული და არსებობის შემთხვევაში კომერციული დასახელება:

ემიტენტის იურიდიული და კომერციული დასახელებაა შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“.

2.1.2. ემიტენტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა:

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი:	საქართველო, თბილისი, #68, 70 ილია ჭავჭავაძის გამზირი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
რეგისტრაციის ქვეყანა:	საქართველო
მარეგულირებელი კანონმდებლობა:	საქართველოს კანონმდებლობა

2.1.3. ემიტენტის ძირითადი საქმიანობების, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული საქონლის კატეგორიების, ასევე იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია ემიტენტი:

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესმა“ 2007 წელს მოიპოვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი და ამ პერიოდიდან დაიწყო აქტიური მუშაობა საქართველოს ფინანსურ ბაზარზე. 2011 წელს ემიტენტი გახდა საქართველოში “HSBC ბანკის” უმსხვილესი აქტივის მფლობელი, რის შემდეგ გააგრძელა გაფართოება.

ამ მომენტისთვის ემიტენტი მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

- სალომბარდე სესხები
- ვალუტის გაცვლა
- ფულადი გზავნილები
- იპოთეკური სესხები (აღარ გაიცემა; მიმდინარე პორტფელის მართვა)
- თამასუქები

2.1.4. ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების დასახელება, ვინ ფლობს, ან აკონტროლებს ემიტენტს პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობით

ემიტენტის 100%-იანი წილის მფლობელია დალი ურუშაძე (პ/ნ 01008005126).

2.1.5. თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურის აღწერა მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით

ემიტენტი არ არის ჯგუფის წევრი.

2.1.6. ემიტენტის დირექტორების დასახელება პოზიციების მითითებით;

ემიტენტის დირექტორატი შედგება შემდეგი წევრებისგან:

სახელი და გვარი	თანამდებობა
თამარ გოგოძე	აღმასრულებელი დირექტორი

ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭო შედგება შემდეგი წევრებისგან:

სახელი და გვარი	თანამდებობა
ლამა ნიკოლაიშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ვლადიმერ შავლაყაძე	წევრი
დავით შენგელია	წევრი
ანა ნიკოლაძე	დამოუკიდებელი წევრი

2.1.7. ემიტენტის აუდიტორ(ებ)ისა და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე პირების ან ექსპერტების დასახელება, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მათი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში:

„კომპანიის“ 2020-2021 წლების წლის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტი განხორციელა შპს „იუაი“-მ.

აუდიტის წელი	სარეგისტრაციო ნომერი	საიდენტიფიკაციო ნომერი	სახელწოდება	იურიდიული მისამართი	საკონტაქტო ნომერი
2020-2021	SARAS-F-855308	204441158	შპს იუაი	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ვ. აფხაზის ქ, N 44	+995 32 21 588 11

საიდენტიფიკაციო ნომერი	სახელწოდება	იურიდიული მისამართი	საკონტაქტო ნომერი
211389291	შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“ (BLC)	0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი ქ.129ა	+995 32 292 24 91

2.1.8. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
შპს „თიბისი კაპიტალი“	განთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსებაში და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება.	არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის.
შპს „იურიდიულ“	იურიდიული მრჩეველი	BLC არის ტრანზაქციის იურიდიული მრჩეველი. მის	მომსახურების ხელშეკრულების ეტაპზე მომსახურე იურიდიული

<p>ი ფირმა ბიელსი“ (BLC)</p>		<p>კომპეტენციაში კომპანიის სამართლებრივი შემოწმების დასრულება და შემოწმების შედეგების ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში ასახვა. კერძოდ, არსებითად BLC-ის მიერ მოხდა ემისიის პროსპექტის შემდეგი ნაწილების დაწერა: მიმდინარე სასამართლო დავები, არსებითი ხელშეკრულებები, კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურის აღწერა, ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი და ასევე, ობლიგაციების პირობები.</p> <p>ვინაიდან გამჟღავნებული ინფორმაცია ეყრდნობა კომპანიიდან მიღებულ მონაცემებს, მათ სისწორეზე პასუხისმგებლობას კისრულობს კომპანია.</p> <p>BLC დაქირავებულია ემიტენტის მიერ.</p>	<p>ფირმის მიერ გადამოწმებული იქნა პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, რაც ამ ინდუსტრიაში დამკვიდრებული სტანდარტია. შესაბამისად, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი „ბიელსი“-სა და კომპანიას შორის.</p>
--------------------------------------	--	--	---

2.2 ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1.1. ემიტენტის შერჩეული ისტორიული ფინანსური ინფორმაცია ბოლო 2 ფინანსური წლისთვის, ამასთან
თუ რელევანტურია, შუალედური ფინანსური ინფორმაცია შესაძარისი პერიოდის ინფორმაციასთან
ერთად.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შეჯამება. 2021 და 2020
წლებისთვის მონაცემები ეფუძნება ემიტენტის აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო 2022
და 2021 წლების 9 თვის მდგომარეობით ანგარიშგებები არააუდიტირებულია. აღნიშნული ფინანსური
ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) შესაბამისად:

საბალანსო უწყისი, ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	62,970	50,974	69,923	115,464
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	422,583	356,717	366,416	305,997
სხვა აქტივები	51,848	46,532	46,658	39,091
სულ აქტივები	537,400	454,223	482,997	460,552
ვალდებულებები				
გამომწვეული მარტივი თამასუქები	113,992	123,044	121,448	112,590
ნასესხები სახსრები	113,238	70,946	95,444	113,584
საიჯარო ვალდებულება	8,231	6,514	7,014	5,670
სხვა ვალდებულებები	11,536	6,492	8,783	8,482
სულ ვალდებულებები	246,997	206,996	232,689	240,326
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	1,584	1,584	1,584	1,584
გაუნაწილებელი მოგება	288,819	245,643	248,724	218,642

სულ კაპიტალი	290,403	247,227	250,308	220,226
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	537,400	454,223	482,997	460,552

მოგება-ზარალის ანგარიშგება, ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
სულ საპროცენტო შემოსავალი	63,671	54,452	74,495	60,491
სულ საპროცენტო ხარჯი	-13,597	-12,126	-16,707	-13,193
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	50,075	42,327	57,788	47,298
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემობრუნება	-728.88	-155.79	51	330
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ	49,346	42,171	57,839	47,628
არასაპროცენტო შემოსავალი	15,487	10,293	13,415	21,119
არასაპროცენტო ხარჯი	-18,187	-14,825	-22,494	-18,296
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	46,647	37,639	48,760	50,451
მოგების გადასახადის ხარჯი	-6,420	-5,264	-7,484	-7,209
წლის მოგება	40,226	32,375	41,276	43,242
სხვა სრული შემოსავალი	0	0	0	0
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	40,226	32,375	41,276	43,242

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება, ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	-16,343	-25,072	-26,211	4,346
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	-2,805	-2,193	1,464	-7,668
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული) ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	15,322	-35,039	-15,856	44,185
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-3,126	-2,187	-4,938	11,128
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება) ზრდა	-6,952	-64,491	-45,541	51,991
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	69,923	115,464	115,464	63,473
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	62,971	50,973	69,923	115,464

2.1.2. განმარტების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ მონაცემებს თან უნდა ახლდეს პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია, დანართი 5-ის მიხედვით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად.

„კომპანიას“ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის შესყიდვის ან გაერთიანების გარიგებაში, რის გამოც პრო-ფორმა ფინანსური მონაცემების საჭიროება არ არის.

2.1.3. თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტორის დასკვნის ტიპი (უპირობო, მოდიფიცირებული, პირობითი, უარყოფითი, უარი დასკვნის დაწერაზე) და პირობითი დასკვნის შემთხვევაში მიზეზების მოკლე აღწერა;

„კომპანიის“ 2020 და 2021 წლების ფას სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ უპირობო დასკვნა გამოხატა შპს „იუაი“-მ.

2.1.4. მოგების პროგნოზირებული ციფრის მითითება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში ფიგურირებს ეს ციფრი და ხდება მისი პროგნოზი ან შეფასება.

მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში არ ფიგურირებს პროგნოზირებული ციფრები, შესაბამისად „კომპანია“ არ წარადგენს საპროგნოზო მონაცემებს.

2.1.5. თუ ემიტენტის საბრუნავი კაპიტალი არ არის საკმარისი მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, უნდა მოხდეს ამის მითითება და უნდა აიხსნას მიზეზები.

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 256 მილიონ ლარს შეადგენდა (2021 წლის ბოლოს მდგომარეობით: 216 მილიონი ლარი). რაც საკმარისია კომპანიის მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად.

2.1.6. ბოლო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, და/ან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა, რომელიც მატერიალური იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ემიტენტის გადახდისუნარიანობის მიმართ მატერიალურ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონიათ.

2.1.7. არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მიერ ემიტენტის ან/და მისი ფასიანი ქაღალდებისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულები;

ემიტენტის მოქმედი საკრედიტო რეიტინგია B+, რომელიც 2023 წლის 18 იანვარს Scope Ratings-მა პირველად მიანიჭა ემიტენტს და განსაზღვრა სტაბილური პერსპექტივით.

2.1.8. ემიტენტის ბოლო 2 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ბაზაზე წესის დანართი 8-ის შესაბამისად დათვლილი ფინანსური კოეფიციენტები. აღნიშნული და დამატებით სხვა კოეფიციენტების წარდგენა უნდა მოხდეს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ემიტენტის ბიზნეს მოდელისა და საქმიანობის ინდუსტრიისთვის. ამასთან, ყველა კოეფიციენტისათვის მითითებული უნდა იყოს გაანგარიშების მეთოდოლოგია.

	30-სექტ-22 ¹	30-სექტ-22	31-დეკ-21	31-დეკ-20
მომგებიანობის კოეფიციენტები				
1 უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	18.28%	18.28%	17.54%	21.66%
2 უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	9.91%	9.91%	8.75%	10.67%
3 ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი	27.83%	27.83%	26.76%	30.97%
4 საერთო მოგების მარჟა	77.50%	77.50%	77.64%	78.74%
5 საოპერაციო მოგების მარჟა	58.93%	58.93%	55.47%	61.82%
6 წმინდა მოგების მარჟა	50.82%	50.82%	46.95%	52.99%
7 შეწონილი საპროცენტო განაკვეთები	21.39%	21.39%	21.88%	20.94%
8 საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი	22.34%	22.34%	32.48%	19.42%
9 დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე	8.34%	8.34%	7.33%	6.62%
10 საპროცენტო განაკვეთის სპრედი	13.05%	13.05%	14.55%	14.32%
საზედამხედველო მაჩვენებლები				
11 საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (სებ)	53.67%	53.67%	50.92%	47.74%
სებ-ის მინიმალური მოთხოვნა	18.00%	18.00%	24.00%	24.00%
12 ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ)	28.10%	28.10%	33.55%	53.66%
სებ-ის მინიმალური მოთხოვნა	18.00%	18.00%	25.00%	25.00%

¹ 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით კოეფიციენტები გადათვლილია ახალი ობლიგაციის გამოსვლის გათვალისწინებით.

13	ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	0.00%	0.00%	0.00%	0.00%
	სებ-ის მაქსიმალური მოთხოვნა	15.00%	15.00%	15.00%	15.00%
14	ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	5.75%	5.75%	6.40%	7.41%
	სებ-ის მაქსიმალური მოთხოვნა	40.00%	40.00%	40.00%	40.00%
15	ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)	0.04%	0.04%	0.08%	0.09%
	სებ-ის მაქსიმალური მოთხოვნა	15.00%	15.00%	15.00%	15.00%
16	დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი (სებ)	56.58%	56.58%	49.30%	57.53%
	სებ-ის მაქსიმალური მოთხოვნა	90.00%	90.00%	90.00%	90.00%
აქტივების ხარისხი					
17	სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (IFRS)	0.36%	0.36%	0.28%	0.22%
18	უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (სებ)	0.03%	0.03%	0.03%	0.02%
19	სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სებ)	2.7%	2.7%	3.2%	3.9%
20	PAR 90 მთლიან სესხებთან	0.35%	0.35%	0.63%	0.38%
21	პორტფელის ჩამოწერა/პორტფელთან	4.5%	4.5%	3.84%	3.27%
22	ჩამოწერილი პორტფელის ამოღება	5.8%	5.8%	1.50%	2.17%
23	პორტფელის რესტრუქტურისაცია/პორტფელთან	2.8%	2.8%	2.9%	3.6%
ლიკვიდობა/ლევერიჯი					
24	ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	11.72%	11.72%	14.48%	25.07%
25	ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	50.15%	26.37%	31.26%	50.08%
26	კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი	68.72%	68.72%	68.31%	71.97%
27	მთლიანი ვალის კოეფიციენტი	43.81%	43.81%	46.36%	50.34%
28	მთლიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	0.81	0.81	0.89	1.05
29	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	4.43	4.43	3.92	4.82
ობლიგაციის ფარგლებში არსებული კოვენანტი					
29	ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან	45.96%	45.96%	48.18%	52.18%
	მაქსიმალური მოთხოვნა - 80%	80.00%	80.00%	80.00%	80.00%
30	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (სებ)	53.67%	53.67%	50.92%	47.74%
	სებ-ის მინიმალური მოთხოვნა	18.00%	18.00%	24.00%	24.00%
31	ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ)	28.10%	28.10%	33.55%	53.66%
	სებ-ის მინიმალური მოთხოვნა	18.00%	18.00%	25.00%	25.00%
32	ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	0.00%	0.00%	0.00%	0.00%
	სებ-ის მაქსიმალური მოთხოვნა	15.00%	15.00%	15.00%	15.00%
33	ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	5.75%	5.75%	6.40%	7.41%
	სებ-ის მაქსიმალური მოთხოვნა	40.00%	40.00%	40.00%	40.00%
34	ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)	0.04%	0.04%	0.08%	0.09%
	სებ-ის მაქსიმალური მოთხოვნა	15.00%	15.00%	15.00%	15.00%
35	დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი (სებ)	56.58%	56.58%	49.30%	57.53%
	სებ-ის მაქსიმალური მოთხოვნა	90.00%	90.00%	90.00%	90.00%

ზოგადი კომენტარი:

- 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით ისეთი კოეფიციენტების შემთხვევაში, სადაც მოცემულია მოგება-ზარალის ანგარიშებისა და საბალანსო ანგარიშგების, ან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და საბალანსო ანგარიშგების მაჩვენებლების ფარდობა, მოგება-ზარალის და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მაჩვენებლები დათვლილია უკანასკნელი 12 თვის (LTM) მონაცემების საფუძველზე
- კომპანიის საპროცენტო ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს, გამოშვებულ მარტივ თამასუქებსა და საიჯარო ვალდებულებას

3. სეზ-ის საზედამხედველო კოვენანტების დეტალური განმარტებებისთვის, გთხოვთ, იხილოთ ბმული <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4245660?publication=0>
4. ზემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტების მიზნებისთვის საპროცენტო ხარჯში შესულია ნასესხები სახსრების, მარტივი თამასუქების და საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი, ხოლო საპროცენტო ვალდებულებებში ნასესხები სახსრები, მარტივი თამასუქები და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტები პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

1. **უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე** - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან
2. **უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე** - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან
3. **ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი** - მოგება დაბეგვრამდე და საპროცენტო ხარჯამდე შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამზე
4. **საერთო მოგების მარჟა** - წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების შემდეგ შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან
5. **საოპერაციო მოგების მარჟა** - მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული საპროცენტო შემოსავალს დამატებული არასაპროცენტო შემოსავალთან (შედის: ა) საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან, ბ) სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი, გ) შემოსავალი დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი)
6. **წმინდა მოგების მარჟა** - მოგება შეფარდებული საპროცენტო შემოსავალს დამატებული არასაპროცენტო შემოსავალთან (შედის: ა) საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან, ბ) სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი გ) შემოსავალი დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი)
7. **შეწონილი საპროცენტო განაკვეთები** - გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული საშუალო წმინდა საკრედიტო პორტფელთან
8. **საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი** - საოპერაციო ხარჯი (არასაპროცენტო ხარჯები, როგორც წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში; ასევე საკურსო სხვაობისა და ვალუტაში გამოსახული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისგან წარმოშობილი ხარჯები) შეფარდებული საოპერაციო შემოსავალს დამატებული არასაპროცენტო შემოსავალთან (შედის: ა) საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან, ბ) სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი)
9. **დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე** - საპროცენტო ხარჯი შეფარდებული საშუალო საპროცენტო ვალდებულებებთან
10. **საპროცენტო განაკვეთის სპრედი** - სხვაობა შეწონილ საპროცენტო განაკვეთსა (კოეფიციენტი #7) და მოზიდულ სახსრებზე დანახარჯებს (კოეფიციენტი #9) შორის
11. **საზედამხედველი კაპიტალის კოეფიციენტი (სეზ)** - მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული ვალდებულებები, გამოკლებული ჯამური დაქვითვები (არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება), შეფარდებული მთლიან აქტივებს გამოკლებული ზემოაღნიშნული დაქვითვები.
12. **ლიკვიდობის კოეფიციენტი (სეზ)** - საანგარიშო თვის, ყოველდღიური ლიკვიდური აქტივების საშუალო (გამოთვლილი როგორც, ნაღდ ფულს დამატებული ანგარიშები კომერციულ ბანკებში და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, გამოკლებული გაცვლილი ფულადი სახსრები,

დაჯავშნული/დაგირავებული დეპოზიტები და გამოუთხოვადი დეპოზიტები) შეფარდებული ამავე თვის ყოველდღიური მთლიანი საბალანსო ვალდებულებების ლიკვიდობის მიზნებისთვის, საშუალოზე (გამოთვლილი როგორც, ჯამურ საბალანსო ვალდებულებებს, გამოკლებული, 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სუბორდინირებული/კონვერტირებადი ვალდებულებები, ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სახსრები, გაცვლილი ფულადი სახსრების სანაცვლოდ ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები და ვალდებულებები ფულადი გზავნილების მიხედვით იმ ოდენობით, რაც არ აღემატება იგივე შინაარსის მოთხოვნებს ერთი კონტრაქტის მიმართ.)

13. **ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)** – ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეფარდებული ჯამურ კაპიტალთან.
14. **ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)** – ინსაიდერების მიმართ არსებული მოთხოვნები შეფარდებული ჯამურ საზედამხედველო კაპიტალთან.
15. **დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი(სებ)** - დაგირავებული აქტივები, შეფარდებული ჯამურ კაპიტალს გამოკლებული აქტივების გადაფასების რეზერვი.
16. **სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (IFRS)** - სესხების რეზერვი შეფარდებული სესხების პორტფელთან (ფასს-ის მიხედვით)
17. **უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (სებ)** - უმოქმედო სესხები შეფარდებული სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით)
18. **სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სებ)** - სესხების რეზერვი შეფარდებული სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით)
19. **PAR 90 მთლიან სესხებთან (სებ)** - PAR 90 სესხების მოცულობა შეფარდებული სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით)
20. **პორტფელის ჩამოწერა/პორტფელთან (სებ)** - ჩამოწერილი პორტფელი შეფარდებული საშუალო სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით)
21. **ჩამოწერილი პორტფელის ამოღება (სებ)** - ამოღებული პორტფელი შეფარდებული საშუალო სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით)
22. **პორტფელის რესტრუქტურისაცია/პორტფელთან** - რესტრუქტურისაციაზე სესხების შეფარდება სესხების პორტფელთან.
23. **ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები** - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
24. **ფულადი სახსრები/მოკლევადიანი ვალდებულებები** - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან
25. **კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი** - ჯამური კაპიტალი შეფარდებული წმინდა სესხების პორტფელთან
26. **მთლიანი ვალის კოეფიციენტი** - კომპანიის საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
27. **მთლიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - კომპანიის საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან
28. **პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი** - მოგება დაბეგვრამდე და საპროცენტო ხარჯამდე შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან

29. **ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან** - კომპანიის ჯამური ფინანსური ვალდებულებები შეფარდებული კომპანიის ჯამურ აქტივებთან
30. **ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)** – იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული წილების ჯამური ოდენობა შეფარდებული ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალთან;

3. შეთავაზების შესახებ ინფორმაცია

3.1. განთავსების აგენტის შესახებ ინფორმაცია

3.1.1. განთავსების აგენტთან ხელშეკრულების ძირითადი პირობები (Firm Commitment, Best Effort, Standby Commitments, Other); თუ სრულად ან საერთოდ არ ხდება ემისიის შექმნა, დარჩენილი ნაწილის რაოდენობა/წილი;

შპს „თიბისი კაპიტალი“ („განთავსების აგენტი“), 2022 წლის 30 ივნისის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არა-გარანტირებული საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

3.1.2. ყველა იმ ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ შეთავაზებას; მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის.

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“. „თიბისი კაპიტალი“ ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. იმავედროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი მსხვილი კომერციული ბანკია და განთავსების აგენტებთან აფილირებული პირია. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტს და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდგომი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) სრულიად დაყოფილია და არ არსებობს პირდაპირი კავშირი „თიბისი კაპიტალსა“ და მასთან დაკავშირებული ბანკის მენეჯმენტს შორის, „თიბისი კაპიტალი“ პირდაპირ არ ექვემდებარება ბანკის მენეჯმენტს. ბანკს არ აქვს განთავსების აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერკეტები. შესაბამისად, განთავსების აგენტი მას მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტთან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით; და

(გ) როგორც „ემიტენტსა“ და „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული ხელშეკრულებები, ასევე წინამდებარე ემისიის „პროსპექტი“ ითვალისწინებს გადახდისა და კალკულაციის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს არსებითი ინტერესთა კონფლიქტი კომპანიასა და „თიბისი ბანკს“ შორის, ვინაიდან „თიბისი ბანკი“ წარმოადგენს კომპანიის მომსახურე ბანკს და მას შესაძლოა ობლიგაციებისაგან დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ინტერესი ჰქონდეს ემისიის მიმართ. ამან კი, ერთის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ ბანკმა რისკი მთლიანად კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციაზე გადაიტანოს, ხოლო მეორეს

მხრივ, გავლენა იქონიოს ბანკის, როგორც ობლიგაციების ერთ-ერთი მფლობელის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

4. რისკის ფაქტორები

4.1. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის:

- 4.1.1. ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში
- 4.1.2. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და პოლიტიკურმა დამაბულობამ შესაძლოა, არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე
- 4.1.3. საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის რისკმა შესაძლებელია, არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე. გარდა ამისა, საქართველოში სეპარატისტული რეგიონების არსებობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას და უსაფრთხოებას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „კომპანიის“ საქმიანობას
- 4.1.4. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე
- 4.1.5. ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე
- 4.1.6. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე
- 4.1.7. შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით
- 4.1.8. ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა კანონმდებლობაში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე
- 4.1.9. გადახდისუუნარობის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში განვითარების პროცესშია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე
- 4.1.10. საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახდო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში
- 4.1.11. ბაზრის ცვალებად პრეფერენციებთან სწრაფად მორგების უუნარობა უარყოფითად აისახება კომპანიის მომგებიანობაზე
- 4.1.12. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავების და დახვეწის პროცესშია; მარეგულირებელ ჩარჩოში ხშირ ცვლილებებთან სწრაფად მორგების საჭიროებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე
- 4.1.13. არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობამ შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა
- 4.1.14. შეუსაბამობა "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 24 იანვრის ბრძანება №7-ის საფუძველზე დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულებასთან შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის რეპუტაციაზე და ბიზნესის ფუნქციონირებაზე

4.2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის.

- 4.2.1. კომპანიის შესაძლო წვდომის შეზღუდვამ საკმარის ფულად სახსრებზე რაც საჭიროა ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე.
- 4.2.2. არსებულმა და მომავალმა კოვენანტებმა შესაძლოა ფინანსური და საოპერაციო შეზღუდვები დააწესოს კომპანიის საქმიანობაზე.
- 4.2.3. თუ კომპანია ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.
- 4.2.4. ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე.
- 4.2.5. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში
- 4.2.6. კომპანიის საფირმო ნიშნის და რეპუტაციის შელახვამ ან მომსახურების ხარისხის გაუარესებამ შეიძლება შეასუსტოს კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები.
- 4.2.7. საზოგადოებაში ბიზნესის ნეგატიურმა აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის შემცირება და ბიზნეს ოპერაციების გაუარესება.
- 4.2.8. კომპანიის ბიზნესი დაზარალებულია, თუ ის ვერ მოახერხებს მოიზიდოს ან შეინარჩუნოს ძირითადი მენეჯმენტი, თანამშრომლები ან სხვა კვალიფიციური პერსონალი.
- 4.2.9. კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.
- 4.2.10. შესაძლოა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები არ აღმოჩნდეს საკმარისი.
- 4.2.11. შესაძლოა კომპანიამ ვერ შეძლოს არსებული დაზღვევის შენარჩუნება.
- 4.2.12. აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად.
- 4.2.13. გირაო ან გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია გაცემული სესხები შესაძლოა არ იყოს საკმარისი პოტენციური დანაკარგების დასაფარად ან არ იქნეს სრულად რეალიზებული.
- 4.2.14. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე

4.3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის:

- 4.3.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.
- 4.3.2. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.
- 4.3.3. „ობლიგაციების“ საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.
- 4.3.4. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.
- 4.3.5. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის
- 4.3.6. საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.
- 4.3.7. ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.
- 4.3.8. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.
- 4.3.9. არსებობს კომპანიასა და განთავსების აგენტს, ასევე განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.
- 4.3.10. არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.

- 4.3.11. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.
- 4.3.12. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.
- 4.3.13. ობლიგაციების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მესამე მხარის სასარგებლოდ არსებულმა ან საგადასახადო იპოთეკა/გირავნობამ.
- 4.3.14. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები.
- 4.3.15. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.
- 4.3.16. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე.

II. რისკის ფაქტორები

„ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ წინამდებარე პროსპექტი და „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სხვა საკითხებს შორის, უნდა გაანალიზონ ამგვარი ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკი, ქვემოთ მოცემული რისკ-ფაქტორების ჩათვლით. აღნიშნულმა რისკ-ფაქტორებმა, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიონ „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხები და ასევე „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით დარიცხული პროცენტები და სხვა თანხები. ეს რისკები უნდა გაანალიზდეს წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემულ ყველა სხვა ინფორმაციასთან ერთად.

ამასთან, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც, „კომპანიის“ აზრით, მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასების მიზნით. „ობლიგაციების“ ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ნებისმიერი ქვემოთ მოცემული რისკის გამო და პოტენციურმა ინვესტორებმა შესაძლებელია ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგონ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია. „კომპანიის“ აზრით, ქვემოთ აღწერილი რისკები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, თუმცა შესაძლებელია არსებობდეს დამატებითი რისკები და გაურკვეველი საკითხები, რომელსაც „კომპანია“ ამჟამად მიიჩნევს უმნიშვნელოდ ან არ გააჩნია მათ შესახებ ინფორმაცია, და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა ან გაურკვეველმა საკითხმა შესაძლებელია იქონიოს ქვემოთ აღწერილი რისკების მსგავსი შედეგები.

ასევე, „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საკითხებთან დაკავშირებით, ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებთან და ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად. ყოველივე აღნიშნულით არ ხდება ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ინვესტორების წინაშე.

1. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ინდუსტრიისა და ეკონომიკისთვის:

„კომპანიის“ ოპერაციები სრულად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავალი მთლიანად მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე

უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გავლენა აქვს მომხმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

1.1. ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში.

ინვესტორებმა, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარ ბაზრებზე არსებობს უფრო მაღალი რისკები განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, მათ შორის, მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული რისკები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მაღალი ცვალებადობით, ამასთან, განვითარებადი ბაზრებისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ლიკვიდურობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი და ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. ინვესტორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ იმგვარი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც აქვს საქართველოს, ხშირად იცვლება და წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია შედარებით სწრაფად გახდეს მოძველებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფცია, საქართველოს მსგავს განვითარებად ბაზრებში მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მთავრობის წარმომადგენლების კორუფციას და სახელმწიფო სახსრების არამართლზომიერ გამოყენებას.

კომპანიებზე, რომლებიც საქმიანობენ ისეთ განვითარებად ბაზრებზე, როგორც საქართველოა, შესაძლებელია გავლენა იქონიოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების რღვევამ და დაფინანსების ხარჯების ზრდამ ან ხელმისაწვდომობის შემცირებამ, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სირთულეები ამ კომპანიებისთვის. „კომპანია“ ვერ იწინასწარმეტყველებს იმ გავლენას, რაც გლობალური ბაზრების ცვალებადობის გაგრძელებამ ან განახლებამ შეიძლება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, თავის მხრივ, „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, კომპანიებისთვის კრედიტის ხელმისაწვდომობა განვითარებად ბაზრებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინვესტორის ნდობის ხარისხზე მთლიანად განვითარებადი ბაზრების მიმართ. საერთაშორისო ინვესტორების რეაქციას იმ მოვლენებზე, რომლებიც ხდება ერთ განვითარებად ბაზარზე, აქვს ჯაჭვური ეფექტი და ამ შემთხვევაში მთლიანი რეგიონი ან ინვესტიციის კლასი კარგავს მიმზიდველობას ინვესტორებისთვის. ამგვარი მოვლენები მოიცავს საკრედიტო რეიტინგის შემცირებას ან სახელმწიფოს ან ცენტრალური ბანკის ჩარევას ერთ ან რამდენიმე ბაზარზე, მიუხედავად იმისა, ეს დაკავშირებულია თუ არა კონკრეტულ ქვეყანასთან ან რეგიონთან. თუ ადგილი ექნება ამგვარ „გადამდებ“ ეფექტს, შესაძლებელია საქართველოზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა სხვა ქვეყნების განვითარებად ბაზრებზე. წარსულში „გადამდებმა“ ეფექტებმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოზე, მათ შორის, რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა 1998 წელს და 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, ასევე რეგიონში განგრძობადმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და ბაზრის ცვალებადობამ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მასზე მსგავსი მოვლენები მომავალშიც არ იქონიებს გავლენას.

ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედებას ახდენს იმ ქვეყნის ეკონომიკური გარემო, რომელშიც ის ბიზნეს საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, კომპანიის შემდგომ განვითარებაზე უდიდესი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპსა და საბაზრო პირობებს. კომპანიის შემოსავლის უდიდესი წყარო მოსახლეობაში დამატებითი ფულადი სახსრების საჭიროებითა და მოთხოვნით არის განპირობებული, აქედან გამომდინარე კომპანიის შედეგები საკმაოდ სენსიტიურია ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან მიმართებაში. ქვეყნის, რეგიონის ან საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკაში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინონ კომპანიის შედეგებზე, მის უნარზე წარმატებით დანერგოს საკუთარი სტრატეგია და მის ფინანსურსა თუ საოპერაციო შედეგებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიის საქმიანობაზე, მოქმედებს არამხოლოდ შინაგანი ფაქტორები, არამედ ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა მართვაც კომპანიას არ ექვემდებარება. მსგავსი მაჩვენებლები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ინფლაცია თუ დეფლაცია, სავალუტო კურსის რყევები, წვდომა დაფინანსებასა თუ საპროცენტო განაკვეთების დონეები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და მოულოდნელმა ან ხშირმა ცვლილებებმა სახელმწიფოს მაკროეკონომიკასა თუ პოლიტიკაში შესაძლოა არსებითად და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია მოახერხებს აღნიშნული რისკების რეალიზების შემთხვევაში მათ წარმატებით მიტიგაციას და შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ ამ რისკების რეალიზება უარყოფით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საოპერაციო თუ ფინანსურ შედეგებზე და მის სამომავლო პერსპექტივაზე.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Positive Outlook), განახლების თარიღი: 2022 წლის 27 იანვარი;
- Moody’s – Ba2 (Negative Outlook), განახლების თარიღი: 2022 წლის 28 აპრილი;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook), განახლების თარიღი: 2022 წლის 25 თებერვალი;

1.2. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და პოლიტიკურმა დამაბულობამ შესაძლოა, არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და ამ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს. რეგიონში და თითოეულ მოსაზღვრე ქვეყანაში პოლიტიკურმა დამაბულობამ შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, „კომპანიაზე“. აზერბაიჯანი და სომხეთი, ისტორიულად, ორი უდიდესი ბაზარი იყო საქართველოს ექსპორტისათვის და, საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. 2021 წელს კი აზერბაიჯანის წილი მცირედით, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს მთლიან ექსპორტში და შესაბამისად შეადგინა 12.5% და 6.1%. რუსეთი, ასევე, ერთ-ერთი უდიდესი ბაზარია საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს - 13.2%-ს, ხოლო 2021 წელს - 14.4%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორს საქართველოსთვის და, საქსტატის მიხედვით, მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, ხოლო 18.1%-ს 2021 წელს. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. შესაბამისად რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების კუთხით საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 2021 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონლის ღირებულება, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა რუსი ვიზიტორებისგან და რუსეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა ჯამში მშპ-ს 6.3% შეადგინა.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრა საყურადღებო რისკის წყაროს წარმოადგენს საქართველოსთვის. ამ ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების ეკონომიკებს, არამედ - რეგიონსა და მსოფლიოს. ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით აზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლურმა ცენტრალურმა ბანკებმა გაზარდეს საპროცენტო განაკვეთებს, რამაც გლობალური ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. საქართველო ღია

ეკონომიკა, რომელიც ჩართულია გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, მისი დროში გახანგრძლივება, დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაურკვევლობის დონის ზრდა გაამძაფრებს რეგიონში და მსოფლიოში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას და თავისთავად, შექმნის პოლიტ-ეკონომიკური რისკებს საქართველოსთვისაც.

გარდა მიმდინარე ომისა, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არაერთხელ გახდარა საქართველოს ეკონომიკისთვის და მისი ამა თუ იმ დარგისთვის გამოწვევების შემქმნელი. ამის მაგალითია 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ღვინო ემბარგოს დაწესება, რამაც საშუალოვადიან პერიოდში დიდი სირთულეები შეუქმნა ღვინის ინდუსტრიას. გარდა ამისა, 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთმა აკრძალა პირდაპირი საჰაერო ფრენები საქართველოს მიმართულებით, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზეც. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკისთვის რისკის მატარებელია, ასევე, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დამაბული პოლიტიკური ურთიერთობა. 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ამ ორ ქვეყანას შორის გამართულმა საომარმა მოქმედებებმა უარყოფითად იმოქმედა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და გააჩინა უარყოფითი მოლოდინები. დღეისთვის კონფლიქტი შეწყვეტილია. მისმა განახლებამ შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონში, მათ შორის საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასა და ტურიზმის სექტორზე და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერჯის სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში;
- ცვლილება ქართველი მწარმოებლებისთვის მსოფლიო საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობაში ;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება .
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

1.3. საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის რისკმა შესაძლებელია, არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე. გარდა ამისა, საქართველოში სეპარატისტული რეგიონების არსებობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას და უსაფრთხოებას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „კომპანიის“ საქმიანობას.

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია გაიარა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა. პოლიტიკური გარემო საქართველოში მკვეთრად ცვალეზადი იყო 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში. 2003 წელს საქართველოში მომხდარი მშვიდობიანი რევოლუციის შემდგომ, რომელიც ცნობილია „ვარდების რევოლუციის“ სახელით, 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის ნოემბრამდე საქართველოს პრეზიდენტი იყო მიხეილ სააკაშვილი. 2012 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური

კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

საქართველოს წამყვან პოლიტიკურ პარტიებს, მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის, მძაფრი კონკურენციაა. კონკურენციის რთულ პოლიტიკურ დაპისპირებაში გადასვლამ, შესაძლოა, პოლიტიკური კრიზისი გააჩინოს და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო პროცესებს საქართველოში. ნებისმიერმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება, ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, საქართველოში სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონის, არსებობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას და უსაფრთხოებას. ამან კი შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „კომპანიის“ საქმიანობას. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში რუსეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. ამ ომმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მის სექტორებს. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დამაბულობა დღესაც გრძელდება, რადგან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კვლავ რუსეთის არმიის კონტროლქვეშაა და რუსეთის აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა.

1.4. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

კომპანიის შემოსავლები დიდწილად დამოკიდებულია საქართველოზე, შესაბამისად, კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით, საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე. კრიზისი განსაკუთრებით შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.4%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 3%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინების, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმის აღდგენა სტაბილური ტემპით მიმდინარეობს ნედლეულის ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც თავის მხრივ ნედლეულის სწრაფად მზარდი ფასებითაა გამოწვეული. ადგილობრივ ბაზარზე მთლიანი მოთხოვნა ასევე ძლიერი რჩება. საქსტატის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, მშპ-ს წლიური ზრდა 10.1% იყო 2022 წელს. მსოფლიო ბანკის პროგნოზით საქართველოს ეკონომიკა 2023 წელს 4%-ით გაიზარდება, საერთაშორისო სავალუტო ფონდიც ასევე 4%-იან ზრდას ვარაუდობს.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების გათვალისწინებით. ამასთან, ეკონომიკური ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. არასტაბილურობად და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

1.5. ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა შეზღუდულია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2022 წლის 8 თვეში, ლარის-აშშ დოლარის და ლარის-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ (მათ შორის, გაყიდვებისა და შესყიდვების ჯამი, ეროვნული ბანკის საქმიანობის გარდა) შესაბამისად 48.3 მილიარდი აშშ დოლარი და 25.2 მილიარდი ევრო შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 3.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2022 წლის 31 მაისის მდგომარეობით, რომელიც წლიურად 7.2%-ით არის შემცირებული. რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჭაერო ფრენები აკრძალვა, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემება (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 3.48 ლარს 1 აშშ დოლარზე, მიაღწია), რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარება დაიწყო და აღიდგინა ყველა ის დანაკარგი, რომელიც თებერვალსა და მარტში მიიღო. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივი ვალუტის სიმყარის შენარჩუნებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკითაც შეუწყო ხელი.

აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2018 წელს 2.6%, 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6% და 2022 წელს 9.8% იყო. მაღალი ინფლაციის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 0.5 პროცენტული ერთეულით, 11%-მდე გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის არსებული მაღალი დონე გლობალური ფენომენია და ძირითადად გამოწვეულია მიწოდების მხარის ფაქტორებით, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა დაეხმარება სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე შემცირებაში.

ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ

ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორაციული კლიენტების ბიზნესებზე. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

„კომპანია“ აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი აქვს სხვადასხვა ვალუტებში. დეტალური ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით იხილეთ თავში „სავალუტო პოზიცია“.

1.6. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე.

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში, ხოლო რამდენიმე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი (როგორცაა საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არბიტრაჟის შესახებ კანონი და ა.შ.) რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, შეიცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობას, ეფექტურობასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შეერთებული შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად. გაურკვევლობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

1.7. შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ფინანსური სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მიიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

1.8. ახალი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის შესაბამისად, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა კანონმდებლობაში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე

2021 წელს მიღებული იქნა ახალი კანონის „მეწარმეთა შესახებ“ წარდგენა. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 1994 წელს შემუშავდა, პერიოდული განახლებების მიუხედავად კანონის წესდებების ნაწილი ზოგადი ხასიათის იყო, რის გამოც რიგი საკითხები რეგულირების ჩარჩოს მიღმა რჩებოდა. სწორედ ამიტომ, შემუშავდა ახალი კანონი უზრუნველყოფს კორპორატიული სამართლის პრინციპების, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, და, შესაბამისად როგორც აქციონერთა, ისე კრედიტორთა თუ სხვა ბიზნეს-სუბიექტთა დაცვას.

ახალ კანონში „მეწარმეთა შესახებ“ შევიდა შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ემსგავსება სააქციო საზოგადოებას, რომელსაც შესაძლებლობა აქვს გამოუშვას როგორც ნომინალური ღირებულების, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები. ამრიგად, შპს ხდება გაცილებით მოქნილი და მის ხელთ იქნება კიდევ მეტი კაპიტალის მოზიდვის ინსტრუმენტების სიმრავლე.
- კანონი ადგენს ყველა ფორმის სამეწარმეო საზოგადოების ორგანოებთან დაკავშირებულ ზოგად წესებს.
- კანონი დეტალურად აწესრიგებს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა ისეთ კორპორატიულ მოვალეობებს, როგორცაა: კეთილსინდისიერების მოვალეობა, კონკურენციის აკრძალვა, საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობა.
- კანონით დამოუკიდებლად არის მოწესრიგებული საზოგადოების რეორგანიზაციის ისეთი სახეები, როგორცაა გარდაქმნა, შერწყმა და გაყოფა.

- კანონი ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებულ დაცვას რეორგანიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოების კრედიტორებისთვის და ანიჭებს მათ სამეწარმეო საზოგადოების მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის გამოყენების უფლებას, თუკი რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
- კანონი ადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონული პორტალის, როგორც ერთიანი ელექტრონული სივრცის, ცნებას. ელექტრონული პორტალის მეშვეობით ხდება მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის პროცესში წარდგენილი დოკუმენტების გასაჯაროება, კანონით დაკისრებული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულება.
- მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მეწარმისათვის გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება მეწარმის იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან, ან მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ელექტრონულად განთავსებიდან მე-15 დღეს.
- პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევეს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.
- კანონი განსაზღვრავს პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტებს და ვადებს. გადაწყვეტილების შეცვლების შესახებ სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს იმ მომენტიდან 1 თვის ვადაში, როდესაც შეცვლების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო ამ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, მაგრამ არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღების დღიდან 6 თვისა, ხოლო თუ საერთო კრება კანონის ან წესდების მოთხოვნათა უხეში დარღვევით იქნა მოწვეული ან ჩატარებული – გადაწყვეტილების მიღების დღიდან არაუგვიანეს 1 წლისა. გადაწყვეტილების ან ინფორმაციის დამალვის შემთხვევაში შეცვლების ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შეცვლების უფლების მქონე პირისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. გადაწყვეტილების გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.
- აქციონერის ძირითადი უფლებების წრეში ექვევა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება, დღის წესრიგის გაცნობის უფლება, დივიდენდის უფლება, აქციათა თავისუფალი განკარგვის უფლება, საზოგადოებისათვის აქციათა სავალდებულო წესით მიყიდვის უფლება და სხვა.

უცნობია როგორ იმუშავებს მეწარმეთა შესახებ კანონში შესული ცვლილებები, „კომპანია“ ვალდებულია შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. სავარაუდოა, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება და შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები. კანონი 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ყველა საწარმო ვალდებულია კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამ პროსპექტის დამტკიცების მომენტისთვის, კომპანიას თავისი წესდება შესაბამისობაში ჰყავს მოყვანილი ახალი კანონის მოთხოვნებთან.

1.9. გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში განვითარების პროცესშია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე

საქართველოში საწარმოთა (გარდა კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების და სადაზღვევო კომპანიების) გადახდისუნარიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, კერძოდ 2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ. ახალი კანონით ჩნდება კრიზისში მყოფი საწარმოების ეფექტიანი და ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული რესტრუქტურის ახალი შესაძლებლობები.

კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიუღწევლობის შემთხვევაში – გადახდისუნარიანობის მასის რეალიზაციით

მიღებული თანხების განაწილებით. ახალი კანონი ორიენტირებულია მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობაზე, გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნება -გაზრდაზე და მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარ მოპყრობაზე. კანონის შესაბამისად „ობლიგაციების“ ინვესტორები ჩაითვლებიან უზრუნველყოფილ კრედიტორებად, ყოველგვარი პრეფერენციის გარეშე და დაკმაყოფილების მხივ განთავსდებიან მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორთა რიგში.

აღსანიშნავია, რომ კანონი ეხება სუბიექტთა შეზღუდულ წრეს და თავისი სფეროდან გამორიცხავს კომერციულ ბანკებს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხსაც სპეციალური კანონმდებლობა აწესრიგებს. შესაბამისად, ზოგადად, სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების გადახდისუუნარობას აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა და მასზე არ ვრცელდება კანონი რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი.

თუმცა, არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ვაკუუმი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ პროცესს არ აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა. თუმცა, არსებობს სასამართლო პრაქტიკა, როდესაც სასამართლომ უარი თქვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნარობის პროცედურის გახსნაზე იმ მოტივით, რომ იგი სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული რეგულირებული სუბიექტია და შესაბამისად, ჩაითვალა, რომ მასზე არ უნდა გავრცელდებოდა ჩვეულებრივი სამეწარმეო სუბიექტებისთვის შექმნილი წესები.

აქედან გამომდინარე, თუ აღნიშნული საკანონმდებლო ვაკუუმი არ შეივსო ან პრაქტიკით არ იქნა გამოსწორებული, ემიტენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ერთადერთი ალტერნატივა იქნება მისი ლიკვიდაცია, ვინაიდან არ იარსებებს კოლექტიური აღსრულების სხვა მექანიზმი. ამან კი შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ინვესტორების ინტერესებზე და მათ უნარზე დაიკმაყოფილონ ემიტენტის მიმართ არსებული მოთხოვნები.

1.10. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან

დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, გადასახადის გადამხდელის მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. „კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

1.11. ბაზრის ცვალებად პრეფერენციებთან სწრაფად მორგების უუნარობა უარყოფითად აისახება კომპანიის მომგებიანობაზე.

კომპანიის შემოსავალი უმთავრესად დამოკიდებულია სამომხმარებლო (სალომბარდო) კრედიტების გაცემაზე. კომპანია აქტიურად აფართოებს მისი ფილიალების ქსელს, რაც ხელს უწყობს სესხების გეოგრაფიულ დივერსიფიკაციას, მოთხოვნის ზრდას და რისკების შემცირებას. პროდუქტზე მოთხოვნის კლებას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის შემოსავლებზე. კომპანიის პროდუქტზე მოთხოვნა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით შეიცვალოს. ასეთ ფაქტორებს შორისაა, მარეგულირებელი შეზღუდვები, რომლებიც აფერხებს მომხმარებლის წვდომას კონკრეტულ ფინანსურ სერვისთან; კონკურენტული ფინანსური პროდუქტის ხელმისაწვდომობის ან მიმზიდველობის ზრდა; მომხმარებელთა მოლოდინების და ხარჯვის ცვლილება; ცვლილებები კომპანიის არსებული მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობაში, რაც უზიძვებს მათ, სხვა საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიიღონ უფრო იაფი და/ან დიდი მოცულობის სესხები ან პირიქით, საერთოდ გავიდნენ საკრედიტო ბაზრიდან. თუ კომპანია ვერ შეძლებს ახალ საბაზრო ტენდენციებისთვის ფეხის აწყობას და ახალი სერვისების და პროდუქტების დანერგვას, რომლებიც ფინანსურ ბაზარზე ჩნდება, ეს უარყოფითად აისახება მის ოპერაციებზე. ამასთანავე, ახალი სერვისების და პროდუქტების შემოღება შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს და მომხმარებლებმა არ მიიღონ ისინი. ამრიგად, პროდუქტის დივერსიფიკაცია ან ცვლილება არანაირ გარანტიას არ იძლევა, რომ ეს

დადებითად იმოქმედებს ბიზნეს ოპერაციებზე და შესაძლოა შემოსავლების დაკარგვა გამოიწვიოს და არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

1.12. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავების და დახვეწის პროცესშია; მარეგულირებელ ჩარჩოში ხშირ ცვლილებებთან სწრაფად მორგების საჭიროებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიის ბიზნესი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან დროულ შესაბამისობას, ასევე, ბიზნეს ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ყველა პირობების დაცვას ან/და თუ საქართველოს ეროვნული ბანკი ან/და საგადასახადო ინსპექცია აღმოაჩენს დარღვევებს და მარეგულირებელ ჩარჩოსთან შეუსაბამობებს, კომპანიას შეიძლება დეკლარაცია არსებითი საურავები და ჯარიმები ან უფრო მკაცრი სანქციები, მათ შორის კომპანიის ბიზნეს აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეწყვეტა, რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება ან/და სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება მომუშავე თანამშრომლების მიმართ.

თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, კომპანიას შესაძლოა აეკრძალოს სესხების გაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისთვის იყენებს კომერციულ ბანკებთან შედარებით მსუბუქ საზედამხედველო რეჟიმს, ნებისმიერი ცვლილება მარეგულირებელ ჩარჩოში და ამ ცვლილებებთან დროული შეუსაბამობა რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის მომავალ ოპერაციებს. მოსალოდნელია ცვლილებები არსებულ რეგულაციებში, მიმდინარეობს ცვლილების პროექტების განხილვა. (მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „მარეგულირებელი ჩარჩო“).

1.13. არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობამ შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა

სექტორში ოპერირებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ ეროვნული ბანკის მოთხოვნები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ მთავარი მოთხოვნებია: 1) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი, 2) კაპიტალის კოეფიციენტი - საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა დაქვითვის შემდგომ მთლიან აქტივებთან - მინიმუმ 18%, 3) ლიკვიდობის კოეფიციენტი - საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან თანაფარდობა მინიმუმ 18% და სხვა. (მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ „მარეგულირებელი ჩარჩო“)

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ უფლებამოსილება მომხმარებლებს მიაწოდონ როგორც საკრედიტო ისე საოპერაციო პროდუქტები (კომუნალური გადახდები, ფულადი გზავნილები და სავალუტო ოპერაციები), ასევე ფიზიკური პირებისგან და ფინანსური ინსტიტუტებისგან სესხების მიღების უფლებამოსილება, თუმცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონით განსაზღვრული საქმიანობა არ მოიცავს მომხმარებლისგან დეპოზიტების მიღებას.

აქტიური ცვლილებები მარეგულირებელ ჩარჩოში 2016 წლიდან დაიწყო და ეტაპობრივად ამოქმედდა. 2017 წლის იანვრიდან ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე ზედა ზღვრის 100%-ის დაწესების შედეგად რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა, მიზეზი მნიშვნელოვნად შემცირებული მოგების მარჟა და ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგების ვერ დაგენერირება გახდა. 2018 წლის სექტემბრიდან აღნიშნული ზღვარი განახევრდა და 50%-მდე შემცირდა, რამაც სექტორის კიდევ უფრო მეტი მოთამაშე აიძულა დაეტოვებინა ბაზარი, რადგან ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგებას ვეღარ იღებდა.

ამრიგად, არსებულ მოთხოვნებში რაიმე ცვლილებამ ან ახალი მოთხოვნების შემოღებამ შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ოპერირება მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო ან იმის გამო, რომ ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს ამგვარ მკაცრ მოთხოვნებს.

2018 წლის სექტემბრიდან ასევე ამოქმედდა ეროვნული ბანკის შემუშავებული ორი ახალი წესი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“ და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესი“. ასევე მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც ძალაში 2019 წლის იანვრიდან შევიდა და შეეხო ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციას, მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, უკავშირდება ფიზიკური პირების პასუხისმგებლიან დაკრედიტებას. სესხის გამცემი ორგანიზაციები ვერ გასცემენ სესხებს ფიზიკურ პირებზე თუ ისინი ვერ აკმაყოფილებენ დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ ამ დებულებით არის დადგენილი, მეტი დეტალისთვის იხ. „მარეგულირებელი ჩარჩო“.

არსებობს რისკი, რომ არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო შეფერხდეს კომპანიის ჩვეული საქმიანობა ან გაუარესდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

1.14. შეუსაბამობა "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 24 იანვრის ბრძანება №7-ის საფუძველზე დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულებასთან შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის რეპუტაციაზე და ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

ბიზნესზე თანდაყოლილად ვრცელდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები. შესაბამისად, კომპანიას, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მოეთხოვება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობისთვის არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობა, კომპანიას დანერგილი აქვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები და პოლიტიკა/პროცედურები შიდა კონტროლის ეფექტურად განსახორციელებლად. თუმცა, რიგ შემთხვევებში აღნიშნულმა ზომებმა შეიძლება ვერ აღკვეთოს საკანონმდებლო მოთხოვნების ყველა შესაძლო დარღვევა. თუ კომპანიაში არსებული ნებისმიერი პროცესი არ იქნა წარმართული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მასზე შესაძლოა გავრცელდეს სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის სანქციები და სხვა გამოსასწორებელი ზომები, მათ შორის: წერილობითი გაფრთხილება, უფლებამოსილი/პასუხისმგებელი პირის (ადმინისტრატორის) ხელმოწერის შეჩერება ან თანამდებობიდან გათავისუფლება, მაკონტროლებელი პირისათვის კონტროლის გაუქმება, გარკვეული ტიპის ოპერაციების/საქმიანობის აკრძალვა/შეზღუდვა, ფულადი ჯარიმა, დროებით ადმინისტრაციული რეჟიმი, ლიცენზიის ჩამორთმევა/რეგისტრაციის გაუქმება და ა.შ. ნებისმიერი სანქცია, გამოსასწორებელი ზომა ან გამოძიება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონის სავარაუდო დარღვევისთვის შელახავს კომპანიის რეპუტაციას და არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე, პერსპექტივებსა ან პოტენციურ ინვესტიციებზე.

2. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის.

2.1. კომპანიის შესაძლო წვდომის შეზღუდვამ საკმარის ფულად სახსრებზე რაც საჭიროა ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე.

2018 წლის სექტემბრის თვეში ამოქმედებული ორი ახალი რეგულაცია, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“ და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესი“ არეგულირებს კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებლებს (დეტალებისთვის გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „მარეგულირებელი ჩარჩო“). კომპანიის მომავალი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი უნარი, მართოს ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელი ლიკვიდურობის რისკები. კომპანია ამ ეტაზე ლიკვიდობის რისკების სამართავად ერთ-ერთ ინსტრუმენტად აქტიურად იყენებს საფინანსო ინსტიტუტებში არსებულ საკრედიტო ხაზებს, რაც ლიკვიდობის მართვას ამარტივებს. თუ ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადები და არსებული საკრედიტო ხაზები არ იქნება საკმარისი მიმდინარე ფულადი საჭიროებების დასაფინანსებლად, კომპანიას, ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, შესაძლოა მოუხდეს დამატებითი საკრედიტო ინსტრუმენტების, ასევე, დამატებითი კაპიტალის პოტენციური წყაროების მოძიება. ასევე, ეკონომიკის ან ინდუსტრიის დადმასვლამ შეიძლება პრობლემური სესხების დონე გაზარდოს. ვალის ამოდების მნიშვნელოვანი გაუარესება გავლენას მოახდენს ფულის ნაკადზე და საბრუნავ კაპიტალზე და ასევე უარყოფითად იმოქმედებს კომპანიისთვის მისაცემი დაფინანსების ღირებულებაზე ან ხელმისაწვდომობაზე.

თუ კომპანიის ფინანსური რესურსები არ იქნება საკმარისი ფინანსებზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კომპანიას დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა მოუწევს. კომპანიამ შესაძლოა ვერ მოიზიდოს საკმარისი დამატებითი ფულადი სახსრები ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობებით. თუ კომპანია ვერ შეძლებს ფულის მოზიდვას, მნიშვნელოვნად შეიზღუდება მისი შესაძლებლობა, დააფინანსოს მიმდინარე ოპერაციები, ისარგებლოს სტრატეგიული უპირატესობებით ან სხვაგვარად მოახდინოს რეაგირება კონკურენციის ზეწოლაზე, რაც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

ფინანსური რისკის მართვის შიდა პროცედურები და გაცვლითი კურსისადმი მოწყვლადობის მინიმუმამდე შემცირების უწყვეტი პრაქტიკა, რაც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დაფინანსების ჰეჯირების გზით ხდება, შესაძლებლობას აძლევს კომპანიას, მართოს ლიკვიდურობის პოტენციური პრობლემები. თუმცა, მომავალში, კომპანიის უუნარობამ, მართოს ლიკვიდურობის რისკი, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის ოპერაციებზე.

ასევე, ბიზნეს ოპერაციებში არსებობს საპროცენტო განაკვეთის მერყეობის რისკი. როდესაც ბაზრის საპროცენტო განაკვეთები მოქმედებს კომპანიის შემოსავლების ნაკადებზე, რომლებიც საპროცენტო შემოსავლის სახით მიიღება, და კომპანიის საპროცენტო ხარჯებზე, რომლებითაც ხდება მისი დავალიანებების დაფარვა, ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი მერყეობები პირდაპირ ზემოქმედებს კომპანიის დაფინანსების ღირებულებაზე, საპროცენტო შემოსავალზე, წმინდა საპროცენტო მარჟაზე, კომპანიის მოგების მარჟაზე და მთლიანად ფინანსურ მდგომარეობაზე. ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მერყეობებს განაპირობებს კომპანიის კონტროლს მიღმა არსებული სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად, სექტორების მარეგულირებელი ჩარჩო და ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო საქართველოში.

2.2. არსებულმა და მომავალმა კოვენანტებმა შესაძლოა ფინანსური და საოპერაციო შეზღუდვები დააწესოს კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანიის არსებული დაფინანსების პირობები შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ფინანსურ თუ არაფინანსურ კოვენანტებს, რამაც შესაძლოა შეანელოს ან ხელი შეუშალოს კომპანიის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. კონტროლი შესაძლოა შეხებოდეს დამატებითი სესხების აღებას, ინვესტიციების განხორციელებას, აქტივების რეალიზაციას, პორტფელის გირავნობას, დივიდენდების განაწილებას, ა.შ. ამ ვალდებულებებმა შეიძლება შეზღუდოს კომპანიის შესაძლებლობა, დააფინანსოს თავისი ოპერაციები ან განახორციელოს კაპიტალური ხარჯები, შესყიდვები ან სხვა ინვესტიციები მომავალში. არსებული და მომავალი დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე ასეთ ვალდებულებასთან შეუსაბამობა შეიძლება დეფოლტად ჩაითვალოს, რაც კრედიტორებს, სხვა უფლებებთან ერთად, აძლევს უფლებას, შეწყვიტონ მომავალი კრედიტის ხელმისაწვდომობა, გაზარდონ საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ ვალზე ან/და შეამცირონ დაუფარავი ვალდებულებების დაფარვის ვადა. მომავალში ვალდებულების მნიშვნელოვანი

ზრდის შემთხვევაში კომპანია დადგება იმ რისკის წინაშე რომ შესაძლოა დაარღვიოს არსებული კოვენანტი, რაც გამოიწვევს კრედიტორისგან დაფინანსებაზე წვდომის შეზღუდვას და არსებული დაფინანსების გამოთხოვას. მომავალში ვალდებულებების ზრდის გამო, ნებისმიერი ასეთი დეფოლტი არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

2.3. თუ კომპანია ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე.

კომპანია მუდმივად დგამს ნაბიჯებს ბიზნესის შესაფერისი შიდა კონტროლის გაძლიერებისთვის თუმცა, შეუძლებელია შეცდომებისა და თაღლითობის რისკის სრულად აღმოფხვრა. თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის შიდა კონტროლის სისტემის გამართულად მუშაობას, ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს პროცესების/ოპერაციების ეფექტიანად წარმართვაზე, შეცდომებისა და თაღლითობის პრევენციაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად გახარჯვასა და კომპანიის შედეგების ანგარიშგების სიზუსტეზე.

აღნიშნული ნარჩენი რისკების მისაღებ დონემდე შემცირების მიზნით კომპანიაში არსებული შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შეფასებას, სერვის ცენტრების საქმიანობის პერიოდულ მონიტორინგს, პროცესებისა და ოპერაციების გარე და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობის კონტროლს, ფულადი სახსრების გახარჯვის ადეკვატურობის შეფასებას, პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.

2.4. ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე.

ინფორმაციული აქტივები და საინფორმაციო სისტემები მოწყვლადია რამდენიმე თანდაყოლილი რისკ ფაქტორის მიმართ, მათ შორის კომპიუტერული ვირუსების, არავტორიზებული წვდომის, სერვერის ფიზიკური დაზიანების და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობის წინაშე. საინფორმაციო სისტემების ნებისმიერმა შეფერხებამ ან მათი უსაფრთხოების დარღვევამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ისეთ ბიზნეს ოპერაციებზე, როგორცაა მომხმარებლის დროული მომსახურება, ფინანსური მონაცემების სწორად აღრიცხვა და ბიზნესის და მომხმარებლის დაცვა ფინანსური თაღლითობის თუ ქურდობისგან. კომპანიის ბიზნეს ოპერაციების შესახებ მონაცემების მოპოვების ან/და გამჟღავნების შემთხვევაში, შესაძლოა დაზარალდეს კომპანიის რეპუტაცია, შემცირდეს კლიენტის ნდობა ბიზნესის მიმართ და შედეგად, კომპანიამ განიცადოს მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები.

გარდა ამისა, არსებობს რისკის იმისა, რომ კომპანია ფინანსური თუ ტექნიკური შეზღუდვების გამო, ვერ შეძლებს, ფეხი აუწყოს უახლეს ტექნოლოგიურ განვითარებას. თუ კომპანია ვერ შეძლებს წარმატებით განახორციელოს ან დაასრულოს კომპანიის საინფორმაციო სისტემების და ინფრასტრუქტურის განახლება ან/და ბიზნეს ოპერაციების და პროგრამული უზრუნველყოფის ადაპტირება მისი საჭიროებების, ან რეგულატორული მოთხოვნების შესაბამისად, ამან შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ასევე, კომპანიაში უზრუნველყოფის შეფასების პროცედურა დაკავშირებულია საინფორმაციო სისტემების გამართულ მუშაობასთან. აღნიშნულ სისტემაში ხარვეზმა შესაძლოა გამოიწვიოს შეფერხება კომპანიის ყოველდღიურ ოპერაციებში, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება ფინანსურ მდგომარეობაზე.

მსგავსი რისკების თავიდან ასაცილებლად, კომპანია მუდმივად მუშაობს ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. 2022 წელს „რიკო ექსპრესმა“ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა დატა ცენტრებსა

და სხვა ტექნიკურ ინფრასტრუქტურაში. შეუფერხებელი მუშაობისთვის, კომპანიის დატა ცენტრები განთავსებულია ორ ლოკაციაზე (თბილისსა და ბათუმში).

2.5. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში

კომპანიის ბალანსზე საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები. არსებობს რისკი, რომ კომპანიის საპროცენტო განაკვეთის მატარებელ ვალდებულებებზე გაეზრდება საპროცენტო განაკვეთი და ის ვერ მოახერხებს რომ შესაბამისად ან საერთოდ გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებზე. ამან შესაძლოა გამოიწვიოს წმინდა საპროცენტო მარჟის შემცირება, რაც უარყოფით შედეგს იქონიებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2.6. კომპანიის საფირმო ნიშნის და რეპუტაციის შელახვამ ან მომსახურების ხარისხის გაუარესებამ შეიძლება შეასუსტოს კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები.

კომპანიის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები გარკვეულწილად დამოკიდებულია მის რეპუტაციაზე, საფირმო ნიშნის აღიარებაზე, ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაზე. ტექნიკური სირთულეების, მარეგულირებელი სანქციების, მომსახურების მიწოდების შეფერხების, მომსახურების ხარისხის გაუარესების და სხვა თანმდევი გარემოებების შედეგად, კომპანიის საფირმო ნიშანი და რეპუტაცია შესაძლოა შეილახოს, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

2.7. საზოგადოებაში ბიზნესის ნეგატიურმა აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის შემცირება და ბიზნეს ოპერაციების გაუარესება.

სექტორი, რომელშიც კომპანია ოპერირებს, არ არის დაცული საზოგადოების ანტიპათიის და ნეგატიური მედიაგაშუქებისგან. ბოლო წლებში ინტერესი სექტორის მიმართ იზრდება, რადგან ამ სექტორის საკრედიტო პორტფელის მოცულობა თითქმის გაექვსმავდა (1,360 მილიონი ლარი 2021 წლის ბოლოს შედეგებით მაშინ, როდესაც 2010 წლის ბოლოს ის მხოლოდ 229 მილიონი ლარის ტოლი იყო). წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი). სხვადასხვა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები მოითხოვდნენ მთავრობისგან ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც დაიცავდა მომხმარებლებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არაპროპორციულად მაღალი საპროცენტო განაკვეთებისგან და დააწესებდა მკაცრ შეზღუდვებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაზე. მარეგულირებელი ჩარჩოს ცვლილებამ და ოპერირებისთვის სტანდარტული წესების შემოღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სექტორის კვალიფიკაცია და გამჭვირვალობა, რაც სექტორის მიმართ მომხმარებელთა ნდობის ზრდის აუცილებელი წინაპირობაა.

კომპანიის უნარი, მოიზიდოს ახალი მომხმარებლები და შეინარჩუნოს არსებული მომხმარებლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის მარკეტინგული კამპანიების წარმატებასა და მის რეპუტაციაზე საზოგადოებაში. მიკროსაფინანსოების დაკრედიტების უარყოფითმა აღქმამ ან გაშუქებამ შეიძლება შეამციროს კომპანიისადმი ნდობა და შელახოს კომპანიის რეპუტაცია არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს შორის, რაც გაართულებს მომხმარებელთა ბაზის შენარჩუნებას თუ გაფართოებას ან შეამცირებს მოთხოვნას ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებზე, რამაც შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

2.8. კომპანიის ბიზნესი დაზარალდება, თუ ის ვერ მოახერხებს მოიზიდოს ან შეინარჩუნოს ძირითადი მენეჯმენტი, თანამშრომლები ან სხვა კვალიფიციური პერსონალი.

კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით. აღნიშნულმა დამოკიდებულებამ შესაძლოა გამოიწვიოს რისკების

კონცენტრაცია კომპანიაში. აღსანიშნავია, რომ ამ რისკის მიტიგაციისთვის კომპანია ავითარებს კორპორაციული მართვისთვის საჭირო პროცედურებსა და სტანდარტებს.

კომპანიის ტოპ მენეჯმენტს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება ამ სფეროში და კარგად იცნობენ კომპანიასა და ძირითად ბაზარს. თუკი ისინი დატოვებენ კომპანიას, და ვერ მოხდება მათი შესაფერისი შემცვლელის დროულად მოძებნა, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე კომპანიას არ ჰქონია შემთხვევა, რომელიც საქართველოს შრომის კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად ჩათვლებოდა გაფიცვად ან ლოკაუტად, არ არსებობს გარანტია, რომ ეს არ მოხდება მომავალში. გაფიცვამ, ლოკაუტმა ან თანამშრომლების მიერ მუშაობის სხვა ნებისმიერი ფორმით შეჩერებამ შეიძლება შეაფერხოს კომპანიის ფუნქციონირება ან გააძვიროს კომპანიის ობიექტების ოპერირება, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2.9. კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.

კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საკონტრაქტო მოთხოვნებმა, საჩივრებმა და სასამართლო პროცესმა, რომლებიც პარტნიორებთან, მომხმარებლებთან, კონკურენტებსა თუ მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, ასევე ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ კომპანიის შესახებ. ნებისმიერმა ასეთმა სასამართლო პროცესმა, საჩივარმა ან ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

ისტორიულად, კომპანიის სასამართლო პროცესები მენეჯმენტისგან დიდ დროსა და ძალისხმევას არ მოითხოვდა, თუმცა კომპანია არ არის დაზღვეული ისეთი დავების მოპასუხეობისგან, რომლებმაც შეიძლება მენეჯმენტის დიდი დრო და ყურადღება მოითხოვოს და მსხვილი დანახარჯები გამოიწვიოს იურიდიული მომსახურების და სხვა თანმდევი ხარჯების სახით. ბიზნესზე ვრცელდება მარეგულირებელი ჩარჩოვ და კომპანიამ შეიძლება მარეგულირებელ ჩარჩოში მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების ინტერპრეტაციამ დააზარალოს. ნებისმიერმა ასეთმა მოვლენამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

2.10. შესაძლოა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები არ აღმოჩნდეს საკმარისი.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიაში ინახება ძვირფასი მეტალების მნიშვნელოვანი მარაგი (უზრუნველყოფის და დასაკუთრებული ქონების სახით). თანამშრომლის მიერ არაკეთილსინდისიერი ქცევის, მიტაცების, ძარცვის/ქურდობის, სხვადასხვა მიზეზით ქონების დაზიანების შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა მიადგეს მნიშვნელოვანი ფინანსური და რეპუტაციული რისკი.

აღნიშნული რისკის შესამცირებლად კომპანია იყენებს შიდა პროცედურებს უზრუნველყოფის შეფასებისა და შენახვისთვის. დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ქვეთავი „ძირითადი საქმიანობა“. ასევე, კომპანიის საცავს ჰყავს 24 საათიანი დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე ძარცვის და თაღლითობის მნიშვნელოვან შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია, შესაძლოა კომპანიაში არსებული რისკის მართვის პროცედურები შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი და სამომავლოდ მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდეს, რაც კომპანიას რეპუტაციულად და ფინანსურად დააზარალებს.

2.11. შესაძლოა კომპანიამ ვერ შეძლოს არსებული დაზღვევის შენარჩუნება.

კომპანია დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია ალდაგში და დაზღვეულია Lloyds-ის მიერ. პოლისი მოიცავს როგორც საცავის დაზღვევას (მაგ. მარცვა), ისე პოლიტიკური ძალადობის რისკებს (ომი, ტერორიზმი). მიმდინარე პოლისები ძალაშია 2023 წლის ივლისამდე (საცავის დაზღვევადა პოლიტიკური ძალადობა). შესაძლოა, კომპანიამ ვერ შეძლოს აღნიშნული დაზღვევის განახლება მისთვის ხელსაყრელ პირობებში.

2.12. აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია გაუფასურების ზარალის რეზერვს აღრიცხავს ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიამ სწორად ვერ განსაჯოს სამომავლო დანაკარგები და, ამგვარად, რეალურად დამდგარი ზარალი აღემატებოდეს დარეზერვებულს. ასეთ შემთხვევაში კომპანიას დასჭირდება შექმნას დამატებითი რეზერვი, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის მოგებაზე, სესხის კოეფიციენტებსა და სესხის მომსახურებაზე. დაგეგმილზე მეტი ზარალის რეზერვი მოსალოდნელია დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში დადგება ეკონომიკური ან პოლიტიკური არასტაბილურობა, კომპანიის კლიენტები ვერ შეძლებენ სესხების დაფარვას სხვა მიზეზით..

2.13. გირაო ან გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია გაცემული სესხები შესაძლოა არ იყოს საკმარისი პოტენციური დანაკარგების დასაფარად ან არ იქნეს სრულად რეალიზებული.

მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაცემამდე კომპანია ითვლის გირაოს ღირებულებას, მისი ოდენობა შესაძლოა შემცირდეს იმ დონემდე, რომ ვეღარ მოხდეს გაცემული სესხის გადაფარვა. გირაოს ღირებულების შემცირება შესაძლოა გამოიწვიოს დაგირავებული პროდუქტის ფასის შემცირებამ ბაზარზე, დეველვაციამ, პროდუქტისადმი მოთხოვნის შემცირებამ.

2.14. იმ შემთხვევაში, თუ გირაოს მოცულობა შემცირდა, კლიენტის მიერ სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება ვეღარ მოახერხოს გაცემული სესხის სრული ან ნაწილობრივი ამოღება. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის დროს, კომპანია მიიღებს ზარალს, რაც უარყოფითად აისახება მის ფინანსურ და საოპერაციო მაჩვენებლებზე. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე

მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები და სხვა, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. ერთის მხრივ, ჩამოთვლილმა მოვლენებმა შესაძლოა დააზიანოს კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივები, რითიც ემიტენტს შეუჭრდება ოპერაციების განხორციელების საშუალება. ასეთ დროს, კომპანია დაკარგავს შემოსავლებსა და მოგების გენერაციის საშუალებას.

მეორეს მხრივ, მოულოდნელმა და მასობრივმა მოვლენებმა შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ქვეყნის მოსახლეობაზე, რომლებიც ემინენტისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ისეთი მასშტაბური და მოულოდნელი უარყოფითი მოვლენების შედეგად, მაგალითად როგორც იყო COVID-19 პანდემია, ხდება სამუშაო ადგილების დაკარგვა, ეკონომიკის დაღმასვლა, რაც აღარბეებს მოსახლეობას. ასეთ დროს, კომპანიას შესაძლოა გაუჭირდეს პორტფელის ზრდა და არსებული გაცემული სესხების ამოღება. ორივე შემთხვევას უარყოფითი ფინანსური ეფექტი ექნება ემიტენტზე.

3. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

3.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომელთა მფლობელების უფლებები გაუთანაბრდება „ობლიგაციონერების“ უფლებებს არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებთან მიმართებით (იმ მოთხოვნებთან მიმართებით, რომელიც ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის პორტფელიდან), ხოლო რაც შეეხება დაკმაყოფილებას უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული პორტფელიდან, „ობლიგაციონერები“ უპირატესად - თავიანთი მოთხოვნის პროპორციულად *pari passu* - დაკმაყოფილებიან. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

3.2. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

3.3. „ობლიგაციების“ საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.

„ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული და ცვლადია. როგორც ობლიგაციების პირობებით არის გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებული იქნება ერთდღიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთ *TIBR*-ზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს იმის რისკს, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ ღირებულებასა და გადაყიდვის ფასზე.

3.4. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). საქართველოში ლარში დენომინირებული ობლიგაციების ინვესტორები ობლიგაციებს უმეტესად მათი მთლიანი ვადის განმავლობაში ფლობენ და შედეგად ლარის ობლიგაციებით ვაჭრობის მოცულობა დაბალია. საფონდო ბირჟის საიტზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით ბოლო ორი წლის განმავლობაში ლარის ობლიგაციისთვის სავაჭრო სესიის დროს გარიგება არ განხორციელებულა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

3.5. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის

ობლიგაციებს აქვთ გამოსყიდვის ოფცია სხვადასხვა პირობებით, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნული ოფციის გამოყენების შემთხვევაში, ობლიგაციონერები მიიღებენ პროსპექტის პირობებით განსაზღვრულ ფასს (ფასიანი ქაღალდების მიმოხილვის 2.6.3 პუნქტი), რაც შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში, კომპანიამ აღნიშნული ოფცია გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოუწევთ თანხების რეინვესტირება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ნაკლებ უკუგებას მიიღებენ თავიანთ თანხებზე, ვიდრე მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში.

3.6. საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ სს „თიბისი ბანკი“ ან სხვა კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

3.7. ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები (იხ. თავი V „ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა“, 2.7.1 „ვალდებულებები“) შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

3.8. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.

„კომპანია“ „ობლიგაციების“ ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში („ინვესტორის ვალუტა“). აღნიშნული რისკები მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს (ლარის გაუფასურების ან „ინვესტორის ვალუტის“ რევალვაციის ჩათვლით) და რისკს, რომ „ინვესტორის ვალუტაზე“ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები. „ინვესტორის ვალუტის“ ლართან მიმართებით ღირებულების ზრდა შეამცირებს: (i) „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ სარგებელს „ობლიგაციებზე“; (ii) „ობლიგაციებზე“ გადასახდელ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ ძირ თანხას; და (iii) „ობლიგაციების“ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ საბაზრო ღირებულებას. მთავრობებმა და სავალუტო ორგანოებმა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში) შეიძლება დააწესონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები, რომლებმაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს გამოსაყენებელ გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

3.9. არსებობს კომპანიასა და განთავსების აგენტს, ასევე განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც იმავდროულად იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. ასევე, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნებიან სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი მსხვილი კომერციული ბანკი და განთავსების აგენტთან აფილირებული პირია. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტებსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტს და სს „თიბისი ბანკს“ შორის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს არსებითი ინტერესთა კონფლიქტი კომპანიასა და „თიბისი ბანკს“ შორის, ვინაიდან „თიბისი ბანკი“ წარმოადგენს კომპანიის მომსახურე ბანკს და მას შესაძლოა ობლიგაციებისაგან დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ინტერესი ჰქონდეს ემისიის მიმართ. ამან კი, ერთის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ ბანკმა რისკი მთლიანად კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციაზე გადაიტანოს, ხოლო მეორეს მხრივ, გავლენა იქონიოს ბანკის, როგორც ობლიგაციების ერთ-ერთი მფლობელის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

3.10. არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა რეგულირდება საინვესტიციო კანონმდებლობის ან მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციებით, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე. ამასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შეძენას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩევლებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

3.11. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.

„კომპანია“ „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია დაეყრდნოს „რეგისტრატორის“, „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

3.12. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციების“ მფლობელთა კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ უმცირესობაში აღმოჩენილი მფლობელები ვალდებული იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

3.13. ობლიგაციების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მესამე მხარის სასარგებლოდ არსებულმა ან საგადასახადო იპოთეკა/გირავნობამ

მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია და ობლიგაციის მფლობელები დარეგისტრირდებიან მოგირავნეებად, არსებობს იმის რისკი, რომ ობლიგაციების მფლობელების უფლებებზე უარყოფითად აისახოს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებული საგადასახადო გირავნობა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, თუ ობლიგაციის მფლობელი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ან სებ-ის მიერ განვითარებულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნის მიერ 50 ლიცენზირებული ბანკი (ასეთი ქვეყნების ჩამონათვალი ძირითადად მოიცავს ევროპის ქვეყნებს და ჩრდ. ამერიკას), ასეთ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახური სარგებლობს უპირატესი უფლებით და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა (იმ შემთხვევაშიც, თუ აქტივი დაგირავებულია ობლიგაციების მფლობელების სასარგებლოდ) შესაძლოა მიიმართოს საგადასახადო ვალდებულების დასაკმაყოფილებლად. მაშინაც თუ ობლიგაციის მფლობელი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ან სებ-ის მიერ განვითარებულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნის მიერ ლიცენზირებული ბანკი, ასეთ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებულ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკას ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ დაწესებულ აკრძალვას, რომელიც დაწესდა როგორც წინასწარი აღსრულების მექანიზმი, შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა ობლიგაციის მფლობელთა უფლებებზე. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შეზღუდვები არ სარგებლობს უპირატესი უფლებით ობლიგაციის მფლობელებთან მიმართებაში და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა პირველ რიგში მიიმართება ობლიგაციების მფლობელების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ამ შეზღუდვებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის გადახდისუუნარობა/გაკოტრება და ობლიგაციების გამოსყიდვა მფლობელების კონტროლის გარეშე.

3.14. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასთან, ობლიგაციების გადაცემასა და აღსრულებასთან დაკავშირებული რისკები

ობლიგაციები უზრუნველყოფილია ემიტენტის სასესხო პორტფელით. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით, მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია ამ პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, უზრუნველყოფების გაფორმება და ობლიგაციების გადაცემა შესაძლოა შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მათ შორის, (ა) უზრუნველყოფის გაუფორმებლობა ჩაითვლება დეფოლტის შემთხვევად და ემიტენტს იძულებითი აღსრულების რისკის ქვეშ დააყენებს; და (ბ) გადაცემა საჭიროებს გირავნობის ხელშეკრულების დამატების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. აღნიშნული პროცესი შეიძლება დაყოვნდეს შესაბამისი ფორმალობების გართულების, სხვა ინვესტორების მხრიდან კოოპერაციის ნაკლებობის და სხვა ბევრი მიზეზის გამო, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ობლიგაციების

ლიკვიდურობაზე და დააბრკოლოს ინვესტორის მიერ ობლიგაციების ნებისმიერ დროს განკარგვის უფლება; გარდა ამისა, ინვესტორებს არ ექნებათ დამატებითი კონტროლის მექანიზმი დაგირავებული პორტფელის ღირებულების დადგენასთან მიმართებით, ვინაიდან არსებითად დამოკიდებულები იქნებიან და უნდა დაეყრდნონ ემიტენტის მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციას, როგორც ეს დეტალურად არის განსაზღვრული გირავნობის ხელშეკრულებით.

უზრუნველყოფის აღსრულება შესაძლო აღმოჩნდეს ხანგრძლივი პროცესი, ხოლო სააღსრულებო პროცედურების ფარგლებში ამოღებული თანხები - მიზერული „ობლიგაციონერების“ მოთხოვნებთან შედარებით. სააღსრულებო პროცესში შესაძლოა წარმოიშვას მთელი რიგი პრობლემები. მათ შორის, შესაბამისი სასესხო ხელშეკრულების მსესხებლებმა შესაძლოა უარი თქვან ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე ობლიგაციონერების მიმართ, არ მოხერხდეს დაგირავებული პორტფელის დასაკუთრება და ასეთ შემთხვევაში, აღსრულების ერთადერთ მექანიზმად დარჩება დაგირავებული პორტფელის რეალიზაცია საჯარო აუქციონის გზით. ამ შემთხვევაში, პორტფელის სალიკვიდაციო ფასი შესაძლოა მის რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდეს. ჩამოთვლილი გარემოებებიდან ნებისმიერის რეალიზაციის შემთხვევაში, შესაძლოა არსებითად შემცირდეს „ობლიგაციონერების“ ამონაგები.

3.15. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის („აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

3.16. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე.

ობლიგაციების პირობები ეფუძნება საქართველოს წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე სასამართლო გადაწყვეტილება, ცვლილება კანონმდებლობაში ან ადმინისტრაციულ პრაქტიკაში წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღის შემდეგ.

მომავალში, ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღებ წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები, მათ შორის გამორიცხული არ არის შევიდეს ისეთი სახის ცვლილებებიც, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებებზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე გარიგებების დადების და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საბირჟო, ასევე არასაბირჟო მეორად ბაზარზე.

I. შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

შეთავაზების მიზეზების აღწერა

„ობლიგაციების“ გამოშვების შედეგად მიღებული სახსრები სრულად გამოყენებული იქნება საბანკო სესხების რეფინანსირების მიზნით. პროსპექტის შედგენის მომენტისთვის კომპანიას არ გააჩნია ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ რომელი სესხების რეფინანსირება მოხდება გამოშვებული ობლიგაციით.

კომპანიის ყველა მიმდინარე სესხზე დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია „კაპიტალიზაცია და დავალიანების“ თავში.

ობლიგაციის გამოშვების შედეგად, საბანკო სესხები ფაქტობრივად სრულად ჩანაცვლდება ობლიგაციების გამოშვებით ისე, რომ კომპანიის ჯამური დავალიანება დარჩება უცვლელი.

II. სარეგისტრაციო დოკუმენტი

1. პასუხისმგებელი პირები

1.1. ყველა იმ პირის დასახელება, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული დოკუმენტის ან მისი რომელიმე ნაწილის შინაარსზე დაკავებული თანამდებობის მითითებით;

დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

ბატონი ლაშა ნიკოლაიშვილი - ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე („შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“)

ქალბატონი თამარ გოგომე - ემიტენტის აღმასრულებელი დირექტორი („შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“)

1.2. დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გაკეთებული განაცხადი იმის შესახებ, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე. არსებობის შემთხვევაში, იგივე განაცხადი უნდა გაკეთდეს ცალკეულ ნაწილებზე პასუხისმგებელი პირების მიერაც.

ჩვენ, ლაშა ნიკოლაიშვილი და თამარ გოგომე ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:

ხელმოწერები:


აღმასრულებელი დირექტორი, თამარ გოგომე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ლაშა ნიკოლაიშვილი

განთავსების აგენტის დირექტორი, მერი ჩაჩანიძე

1.3. ემიტენტის აუდიტორის დასახელება და მისამართი წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის; ამასთან, თუ წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე მოხდა აუდიტორის შეცვლა, უნდა აღიწეროს მიზეზები;

„კომპანიის“ 2021 წლის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტი განახორციელა შპს „იუა“-მ. კომპანიას არ მოუხდენია აუდიტორის ცვლილება.

აუდიტის წელი	სარეგისტრაციო ნომერი	საიდენტიფიკაციო ნომერი	სახელწოდება	იურიდიული მისამართი	საკონტაქტო ნომერი
2021	SARAS-F-855308	204441158	შპს იუაი	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, კ. აფხაზის ქ, N 44	+995 32 21 588 11

1.4. როდესაც რეგისტრაციის დოკუმენტში გამოყენებულია ნებისმიერი მესამე პირის ან ექსპერტის დასკვნა, უნდა მიეთითოს მისი სახელი, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მისი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში.

BLC არის ტრანზაქციის იურიდიული მრჩეველი. მის კომპეტენციაშია კომპანიის სამართლებრივი შემოწმების დასრულება და შემოწმების შედეგების ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში ასახვა. კერძოდ, არსებითად BLC-ის მიერ მოხდა ემისიის პროსპექტის შემდეგი ნაწილების დაწერა: მიმდინარე სასამართლო დავები, არსებითი ხელშეკრულებები, კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურის აღწერა, ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი და ასევე, ობლიგაციების პირობები. BLC დაქირავებულია ემიტენტის მიერ და პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ემიტენტის წინაშე.

Scope არის მოწინავე ევროპული საკრედიტო სარეიტინგო კომპანია, რომელიც ბაზარზე სთავაზობს: საკრედიტო რისკის ანალიზს. Scope-მა გაანალიზა ემიტენტის საკრედიტო მდგომარეობა და მიანიჭა მას რეიტინგი B+. Scope-ის მიერ მომზადებული რეიტინგის ნახვა შესაძლებელია პროსპექტში წარმოდგენილი ბმულებიდან.

1.5. როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, უნდა მიეთითოს წყარო და გაკეთდეს დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ასევე, უნდა მოხდეს განცხადება, რომ რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.

„ემისიის პროსპექტის“ სხვადასხვა ნაწილებში მოცემული სტატისტიკური მონაცემები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოპოვებულ იქნა „სებ“-დან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან („**ფინანსთა სამინისტრო**“) სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან („**საქსტატი**“). აღნიშნული წყაროების მიერ დაცული სტატისტიკური

სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოცემულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში, კონვერტირებულია ლარში, „ემისიის პროსპექტში“ მითითებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა წყაროებიდან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული წყაროს მიერ გამოყენებული მეთოდები, დაშვებები და მიღებული შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მართალია, ყველა ზომა მიღებულ იქნა იმისათვის, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ყოფილიყო ყველაზე სანდო და თანმიმდევრული მონაცემები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მონაცემები შედგენილ იქნა და მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

„კომპანიის“ მიერ „სებ“-დან, „ფინანსთა სამინისტროდან“, „საქსტატიდან“ და სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია ზუსტად იქნა ასახული „ემისიის პროსპექტში“ და „კომპანია“ და „განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ აცხადებენ, რომ, მათი ინფორმაციით და ამგვარი წყაროების მიერ გამოყვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ემისიის პროსპექტში“ არ იქნა გამოტოვებული ისეთი ფაქტები, რაც გამოიწვევდა ასახული ინფორმაციის უზუსტობას ან უსწორობას. „ემისიის პროსპექტში“ მესამე პირის ინფორმაციის გამოყენებისას, ამგვარი ინფორმაციის წყარო იდენტიფიცირებულ იქნა.

2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

2.1. ემიტენტის იურიდიული და კომერციული დასახელება, ცვლილების შემთხვევაში ძველი სახელწოდება;

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“

2.2. ემიტენტის სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის ქვეყანა, კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც აწარმოებს საქმიანობას, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ვებ-გვერდის მისამართი;

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205034639).

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მისამართი: #68, 70 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო

ელ. ფოსტა: rico@rico.ge

ტელ.: +995 32 229 29 29

ვებ-გვერდი: www.rico.ge

2.3. დაარსების თარიღი და საქმიანობის ისტორია;

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ 1997 წელს დაარსა შპს „რიკო კრედიტი“, რომელიც დაკავებული იყო იპოთეკური და სალომბარდე სესხების გაცემით. კომპანია დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთ-ერთ მოწინავე მოთამაშედ ფინანსურ სექტორში. შპს „რიკო კრედიტი“ იყო ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც ფულადი გზავნილების უმსხვილესი ორგანიზაცია „მანიგრამის“ პარტნიორი გახდა საქართველოში.

შპს „რიკო ექსპრესი“ დაარსდა 2004 წელს, ხოლო 2007 წლის აპრილში მოიპოვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი და დღეს ოპერირებს სახელწოდებით შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“.

„რიკო ექსპრესის“ საქმიანობის პროფილია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ფინანსური სერვისების მიწოდება, რაშიც შედის: სალომბარდე სესხები, ფულადი გზავნილები, კონვერტაციები და თამასუქები. 2008 წელს ემინენტმა დაიწყო პროდუქტი „ოქროს თამასუქის“ შეთავაზება ბაზარზე, რომელიც დღეს კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროდუქტია.

ამ მომენტისთვის ემიტენტი მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

- სალომბარდე სესხები
- ვალუტის გაცვლა
- ფულადი გზავნილები
- თამასუქები

კომპანია მთელი საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 53 ფილიალით, საიდანაც 4 გაიხსნა 2022 წელს. ახალი ფილიალებიდან ნახევარი გაიხსნა თბილისის ცენტრალურ უბნებში, ხოლო ნახევარი კი რეგიონებში. კომპანიას დასაქმებული ყავს 612 თანამშრომელი. კომპანიას ყავს დაახლოებით 1.5მლნ მომხმარებელი.

2.4. იმ მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა, რამაც მატერიალური გავლენა შეიძლება მოახდინოს ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე.

„კომპანიის“ მენეჯმენტის შეფასებით, მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

2.5. კომპანიის საკრედიტო რეიტინგი;

ემიტენტის მოქმედი საკრედიტო რეიტინგია B+, რომელიც 2023 წლის 18 იანვარს Scope Ratings-მა პირველად მიანიჭა ემიტენტს და განსაზღვრა სტაბილური პერსპექტივით. Scope არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო სარეიტინგო კომპანია.

რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები:

- „რიკო ექსპრესი“ არის საქართველოში ყველაზე დიდი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯამური აქტივებით. კომპანიის ბაზრის წილი მუდმივად მზარდია 2016 წლიდან და 2022 წლის სექტემბრით შეაგენს სექტორის წმინდა სესხების დაახლოებით 28%-ს. „რიკო ექსპრესი“ ბაზარზე გამორჩეულია მისი მომგებიანი ბიზნეს მოდელით, რომელიც კონცენტრირებულია სალომბარდე სესხებით, რაც უზრუნველყოფილია ოქროთი, ძვირფასი მეტალებითა და სამკაულებით. კომპანიის აქტივების უმეტესობას ვადა გასდის 1 წლამდე ვადაში. Scope ელოდება, რომ „რიკო ექსპრესი“ შეინარჩუნებს მის ბიზნეს ფოკუსსა და ბაზარზე ლიდერის პოზიციას;
- გეოპოლიტიკურმა რისკმა მატერიალურად მოიმატა ბოლო 12 თვის განმავლობაში, თუმცა, Scope ელოდება, რომ საქართველოს ექნება ძლიერი real GDP ზრდა 2023-2024 წლებში (საშუალოდ 5%-ზე მეტი), რასაც თავის მხრივ ექნება დადებითი გავლენა ქვეყნის ფინანსურ სექტორზე, მათ შორის მიკროსაფინანსო კომპანიებზე. „რიკო ექსპრესმა“ ისარგებლა 2022 წელს კონვერტაციების მნიშვნელოვანი ზრდით, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო მიგრაციისა და გზავნილების რაოდენობის ზრდით;
- კომპანიის მმართველობის ჩარჩოს სჭირდება გაუმჯობესება შემდეგი კუთხით: ა) ბიზნესის მნიშვნელოვან პერსონებზე დამოკიდებულება ბ) მენეჯმენტის მეთვალყურეობა გ) ფუნქციების გადანაწილება კომპანიაში. კომპანიამ დაიწყო ამ მიმართულებებით მუშაობა, თუმცა Scope-ის შეხედულებით აღნიშნული შეიძლება იყოს ხანგრძლივი პროცესი. აღნიშნული მოისაზრებს აუდიტისა და რისკის კომიტეტების ჩამოყალიბებას, ასევე ორი დამოუკიდებელი წევრის დანიშვნას სამეთვალყურეო საბჭოში;
- „რიკო ექსპრესის“ მომგებიანობის მაჩვენებლები არის მყარი და სექტორის საშუალოზე უკეთესი. კომპანიის შემოსავლების დაახლოებით 75% შემოდის საპროცენტო შემოსავალიდან. ამასთანავე კომპანიის პორტფელი თითქმის გაორმაგდა 2017 წლიდან, რისი მიზეზიც იყო კრედიტზე გაზრდილი მოთხოვნა. კომპანია ასევე ინარჩუნებს მაღალ წმინდა საპროცენტო მარჟას (10%-ზე მეტი);
- კონსერვატიული კაპიტალისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლების შენარჩუნება არის ის ფაქტორები, რაც განაპირობებს კომპანიის რეიტინგს. საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რეგულირებულები არიან საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ. „რიკო ექსპრესი“ ოპერირებს „სებ“-ის მიერ დაწესებულ მინიმალურ მოთხოვნილ კოეფიციენტებთან შედარებით ბევრად უკეთესი მაჩვენებლებით
- სასესხო პორფელის განაწილება ბევრ კლიენტზე, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და აქტივებით დაზღვეული სესხების ბუნება არის მნიშვნელოვანი რისკის მიტიგატორები. თუმცა, კომპანიას აქვს

მაღალი მოწყვლადობა ოქროს ფასის მიმართ, ვინაიდან მისი სესხების გაცემის პროცედურა მოისაზრებს, რომ სალომბარდზე სესხები შეიძლება გაიცეს უზრუნველყოფის 100%-იანი გადაფარვითაც კი, ძირითადად ოქროს გირაოთი. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს დაცვის მექანიზმი ამ რისკის მიმართ. ეს არის კომპანიის მთავარი კონკურენტული უპირატესობა, თუმცა ამასთანავე მთავარი რისკის წყარო;

- Scope ვარაუდობს, რომ 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიის სასესხო პორტფელის დაახლოებით 8% იყო ან გადაგადაცილებაში, ან რესტრუქტურებული ან ჩამოსაწერი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანიას აქვს სესხების ამოღების კარგი მაჩვენებლები.
- Scope მიიჩნევს, რომ „რიკო ექსპრესს“ აქვს მატერიალური საოპერაციო რისკები, რადგან კომპანია ფიზიკურად უფლის მიღებულ გირაოს და შესაბამისად გაზრდილი აქვს თაღლითობის, ქურდობის ან დაყაჩაღების რისკი;
- „რიკო ექსპრესისთვის“ სტაბილური პერსპექტივის მინიჭება აიხსნება იმით, რომ სარეიტინგო კომპანია ფიქრობს კომპანიის საკრედიტო პორტფელი დარჩება მყარი შემდეგი 12-18 თვის მანძილზე, მიუხედავად მოსალოდნელი უფრო რთული საოპერაციო პირობებისა (იგულისხმება მაღალი ინფლაცია და გეოპოლიტიკური დამაბულებები).

რა ფაქტორები გამოიწვევს რეიტინგის გაუმჯობესებას:

- კომპანიის რისკის პროფილის შემცირება გაუმჯობესებულ მართვის ჩარჩოსთან ერთად;

რა ფაქტორები გამოიწვევს რეიტინგის გაუარესებას:

- მომგებიანობის შემცირება;
- აქტივების ხარისხის პრობლემები;
- სტრატეგიის ცვლილება, სადაც მოისაზრება კაპიტალისა და ლიკვიდურობის მართვა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის რისკის პროფილს.

2.6. ინფორმაცია ემიტენტის სასესხო და დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ ბოლო ფინანსური წლის მანძილზე; ამასთან, მისი საქმიანობის მომავალი პერიოდების სავარაუდო დაფინანსების წყაროების აღწერა.

ბოლო წლის მანძილზე დაფინანსების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. კომპანია ფინანსების მოსაზიდად ეყრდნობა ორ ძირითად წყაროს: თამასუქებსა და კომერციული ბანკების სესხებს. დეტალური ინფორმაცია მოზიდული სახსრების შესახებ წარმოდგენილია ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

აღნიშნული პროსპექტის საფუძველზე კომპანია გეგმავს არსებული საბანკო სესხების თითქმის სრულად ჩანაცვლებას ობლიგაციებით. სამომავლო საჭიროებისთვის კომპანია დაფინანსების წყაროდ განიხილავს როგორც თამასუქებს, ისე საბანკო სესხებსა თუ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

3. საქმიანობის აღწერა

3.1. ძირითადი საქმიანობა

3.1.1. ემიტენტის საქმიანობის ტიპიდან და ბიზნეს-ოპერაციებიდან გამომდინარე, მის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების, ასევე, ფინანსურ მონაცემებში მოყვანილი ყოველი წლისთვის წარმოებულ პროდუქტების და/ან გაწეული მომსახურების ძირითადი კატეგორიების მოკლე აღწერა.

ამ მომენტისთვის შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ ერთ-ერთი მოწინავე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა საქართველოში. 2021 წლის მიხედვით, კომპანია იყო ლიდერი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აქტივების, გაცემული სესხების მოცულობის და წლიური მოგების მიხედვით².

² წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სალომბარდე სესხების გაცემა. კომპანიის მიზანია, რომ იყოს ლიდერი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართულ ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა პროდუქტებს:

- **სალომბარდე სესხები**

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ მთავარი პროდუქტი სალომბარდე სესხებია. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ოქროს, ვერცხლის და სხვა ძვირფასი მეტალი/თვლების გარანტიით აიღოს აღნიშნული სესხები. კომპანიას აქვს ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზა და ინკასაციის სისტემა, რისი მეშვეობითაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს სესხი მიიღოს ერთ ლოკაციაზე, ხოლო მისი დახურვა მოახდინოს ან/და ნივთები დაიბრუნოს სხვა ლოკაციაზე. კომპანიის წლიური ეფექტური განაკვეთი შეადგენს ძირითადად 15-25%-ს, ხოლო სესხების ვადა კი 1 წელს. სესხები გაცივდება უზრუნველყოფის მინიმუმ 100%-იანი გადაფარვით.

- **ვალუტის გაცვლა**

კომპანია ემსახურება ვალუტის გაცვლითი სერვისით როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებს. ამ მიმართულებით, კომპანიის სტრატეგიაა შეინარჩუნოს ბაზარზე მომხმარებლებისთვის კარგი გაცვლითი კურსები.

- **ფულადი გზავნილები**

კომპანიის ინფორმაციით, რიკო ექსპრესს ლიდერი პოზიცია უჭირავს ბაზარზე. „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ წამყვანი ფულადი გზავნილების კომპანიების პარტნიორია. კომპანიას გააჩნია საკუთარი ფულადი გზავნილების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ახდენს ფულადი გზავნილების ოპერაციებს ევროპის და ისრაელის ცენტრებიდან თავის 53 ფილიალსა და თიბისი ბანკის, საქართველოს ბანკის, ტერა ბანკის, კრედო ბანკისა და ლიბერთი ბანკის ფილიალების მეშვეობით „რიკო-გრამ საქართველო“ არის ფულადი გზავნილი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფულადი გზავნილების მიღება და გაგზავნა საქართველოს მასშტაბით, რიკო ექსპრესის ნებისმიერ ფილიალში. თანხის გაგზავნის საკომისიო შეადგენს 0,5%-ს.

„რიკო-გრამ ისრაელი“-ით ფულადი გზავნილების გაგზავნა/მიღება შესაძლებელია ისრაელში. ტარიფი შეადგენს 1.2%-ს. აღსანიშნავია, რომ ისრაელიდან თანხის გამოგზავნა შესაძლებელია 250-ზე მეტი სერვის-ცენტრიდან;

„რიკოგრამ I-transfers“ და „რიკოგრამ titanes“ წარმოადგენენ ფულადი გზავნილის სისტემებს, რომლის საშუალებით შესაძლებელია გზავნილების მიღება იტალიიდან, გერმანიიდან და ესპანეთიდან. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს თანხის 1,1%-ს.

- **თამასუქები**

თამასუქის პროდუქტს „რიკო ექსპრესი“ მომხმარებლებს სთავაზობს 2008 წლიდან, მას შემდეგ რაც შექმნა „ოქროს თამასუქი“. პროდუქტი არის სარგებლიანი ფასიანი ქაღალდი, რომლის შექმნაც შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. „ოქროს თამასუქის“ შექმნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თამასუქზე გადახდილი თანხა აღემატება 100,000 ლარს, ან მის ექვივალენტს აშშ დოლარში/ევროში.

- **იპოთეკური სესხები** (ახალი სესხები არ გაცივდება, მხოლოდ მიმდინარე პორტფელის მართვა)

კომპანია აღარ გასცემს ამ მიმართულებით ახალ სესხებს, ვინაიდან იპოთეკური სესხების პროდუქტის გაყიდვა აღარ არის კომპანიის სტრატეგიის ნაწილი. კომპანია აგრძელებს ამ ტიპის სესხების არსებული პორტფელის მართვას.

სესხის გაცემის პროცედურა

თავდაპირველად მომხმარებელი მიმართავს კომპანიის წარმომადგენელს (მოლარე-ოპერატორი, ექსპერტი, მენეჯერი) და განუცხადებს სალომბარდე სესხის მიღების სურვილის შესახებ, რის შემდგომაც მომხმარებელს მიაწვდიან ზოგად ინფორმაციას სესხთან დაკავშირებით.

მომხმარებელი დასაგირავებელ ნივთებს გადასცემს კომპანიის წარმომადგენელს და მისი შემოწმების შემდეგ მას მოახსენებენ სესხის და გირავნობის კონკრეტული პირობებს, მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში კი ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და მას გადაეცემა სესხის თანხა;

უზრუნველყოფის შეფასების და მიღების პროცედურა

გაცემის პროცედურის ფარგლებში ხდება უზრუნველყოფის ტიპისა და ღირებულების შეფასება. აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიას განსაზღვრული აქვს მკაცრი შიდა პოლიტიკა თაღლითობის და ადამიანური შეცდომის რისკის შესამცირებლად. თავდაპირველად უზრუნველყოფის შეფასება ხდება ფილიალში საკრედიტო ოფიცრის მიერ და მისი ღირებულების შესაბამისად განისაზღვრება სესხის ოდენობა. საკრედიტო ოფიცრის მიერ აღრიცხული უზრუნველყოფის ობიექტის გადამოწმება და რეალურად არსებულთან შედარება ხდება ფილიალის მენეჯერის მიერ. ძვირფასი მეტალები ყოველდღიურად გადადის ფილიალებიდან ცენტრალიზებულ ლოკაციაზე, სადაც შიდა აუდიტის სამსახური კიდევ ერთხელ ამოწმებს მიღებული ქონების შესაბამისობას ფილიალის რეპორტებთან.

3.1.2. არსებობის შემთხვევაში, ახალი პროდუქტის ან მომსახურების მითითება და განვითარების სტადიის აღწერა;

ამ ეტაპზე ახალი პროდუქტების ან მომსახურების დამატება არ იგეგმება.

3.1.3. არსებობის შემთხვევაში, ბიზნესის სეზონურობის აღწერა.

მიკროსაფინანსო სექტორი სეზონურობით არ გამოირჩევა.


3.2. გასაღების ბაზრები (ძირითადი ბაზრები)

3.2.1. იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, სადაც ემიტენტი ოპერირებს საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ახორციელებს ექსპორტს, მიღებული შემოსავლების ჩაშლა გეოგრაფიული მდებარეობის მითითებით, პროსპექტში წარმოდგენილი თითოეული ფინანსური წლისთვის.

საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორი დასაბამს 2006 წლიდან იღებს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, შემდეგი ათწლეულის განმავლობაში მიკროსაფინანსო სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სექტორის მთლიანი აქტივების საშუალო ზრდის ტემპმა (CAGR) 2010-16 წლებში 36.7% შეადგინა, ხოლო, მთლიანი სესხების პორტფელის საშუალო ზრდის მაჩვენებელი (CAGR) ამავე პერიოდში 35.9% იყო. თუმცა, 2017-21 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. დამატებით, სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი სს კრედო 2017 წლის დასაწყისში გახდა კომერციული ბანკი, რამაც საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად დიდი ზეგავლენა მოახდინა მიკროსაფინანსო სექტორის აგრეგირებულ ინდიკატორებზე.

შედეგად, 2019 წელს რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 2016 წელთან შედარებით განახევრდა და 38-მდე დაეცა (2016 წელს 80 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული). 2021 წლის დასასრულისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანმა აქტივებმა 1,634 მილიონი ლარი შეადგინა (წლიური 10.7%-იანი ზრდა), ხოლო მთლიანმა ვალდებულებებმა 1,063 მილიონი ლარი (წლიური 8.2%-იანი ზრდა) და მთლიანმა კაპიტალმა 571 მილიონი ლარი (წლიური 15.6%-იანი ზრდა). 2022 წლის მონაცემებით მთლიანმა აქტივებმა 1,879 მილიონ ლარს გადააჭარბა (15.0% ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან), მთლიანმა ვალდებულებებმა 1,216 მლნ ლარს (14.4% ზრდა), ხოლო კაპიტალი 662, მლნ ლარს შეადგენდა (16.1% ზრდა).

დიაგრამა 1: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები, მლნ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სესხების პორტფელი 1,360 მილიონი ლარი იყო (წლიური 14.9%-იანი ზრდა). 2022 წლის მონაცემებით სესხების პორტფელი 1,574 მილიონ ლარს შეადგენდა (წლიური 15.7%-იანი ზრდა). აღსანიშნავია, რომ 2017 წელს სექტორის მთლიანი სესხების პორტფელის კლება აიხსნება სს კრედოს მიკროსაფინანსო სექტორიდან გასვლით. სხვა ცვლილებები, რომლებმაც ასევე იქონიეს გავლენა არის: ლარიზაციის პროგრამა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე ზედა 100%-იანი ჭერის დაწესება, რომელიც 2018 წლის სექტემბრიდან შემცირდა 50%-მდე.

„ლარიზაციის“ რეგულაციის თანახმად, 2017 წლიდან ფინანსურ ინსტიტუტებს აკრძალათ 100,000 ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა, 2019 წლიდან ეს ზღვარი 200,000-მდე გაიზარდა. ამ რეგულაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი მიკროსაფინანსო სექტორის მთლიან საკრედიტო პორტფელში. იმის გათვალისწინებით, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ერთ მსესხებელზე შეუძლიათ მხოლოდ 100,000 ლარამდე სესხის გაცემა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები ნელ-ნელა 0%-ს უახლოვდება.


დიაგრამა 2: საკრედიტო პორტფელის განაწილება, მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის ბოლოსთვის, მთლიან საკრედიტო პორტფელში წამყვანი პოზიცია ეკავა სალომზარდე (659 მლნ ლარი) სესხებს. შემდეგი ყველაზე დიდი კატეგორიები არის სამომხმარებლო სესხები 337.4 მლნ ლარი და ვაჭრობა და მომსახურება 176.7 მლნ ლარი. 2022 წლის მონაცემების მიხედვით, სალომზარდე სესხები შეადგენდა 787.5 მლნ ლარს (19.5% ზრდა წინა წლის შესადარის პერიოდთან შედარებით), სამომხმარებლო სესხები 408 მილიონ ლარს შეადგენდა (20.9% ზრდა 2021 წელთან შედარებით). აღსანიშნავია, რომ 2010-2021 წლებში სამომხმარებლო და სალომზარდე სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში 25%-დან 77%-მდე გაიზარდა, ხოლო ვაჭრობისა და მომსახურების წილი 31%-დან 13%-მდე შემცირდა. 2017 წელს სს კრედოს სექტორიდან გასვლის გამო ყველაზე მეტად შემცირდა სოფლის მეურნეობის სექტორში გაცემული სესხები.


დიაგრამა 3: მიკროსაფინანსო სექტორის ფიზიკურ პირებზე გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელი, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების დაფინანსების ძირითადი წყარო ნასესხები სახსრებია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანმა ნასესხებმა სახსრებმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.1 მლრდ ლარი შეადგინა, რომლის 45% (492.9 მლნ ლარი) კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები იყო. საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან ითხოვს სამოქმედო გეგმის შედგენას, რომ მათ სახსრები ნაკლებად ინფორმირებული ფიზიკური პირების ნაცვლად უფრო კვალიფიციური ინვესტორებისგან მოიზიდონ. კიდევ ერთი ახალი რეგულაცია, რომელიც 2017 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში, კრძალავს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან ფინანსების მოზიდვას, თუ თითოეული ინდივიდისგან მოზიდული თანხა ნაკლებია 100,000 ლარზე. ეს დამატებით შეუწყობს ხელს ფიზიკური პირებისგან მოზიდული მცირე მოცულობის სახსრების წილის შემცირებას.


დიაგრამა 4: მიკროსაფინანსოების მთლიანი ნასესხები სახსრები წყაროების მიხედვით, მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორი გამოირჩევა მაღალი მომგებიანობით. ბოლო წლებში სექტორის მომგებიანობამ მნიშვნელოვნად მოიმატა. 2022 წელს უკუგებას საშუალო კაპიტალზე 18.4% შეადგინა, რაც 2018 წელთან შედარებით 10.8 პროცენტული პუნქტით ზრდას უდრიდა. ამავდროულად, უკუგება საშუალო აქტივებზე 2020 წელს 7.3%-ს გაუტოლდა (5.3 პროცენტული პუნქტით ზრდა, 2018 წელთან შედარებით), ხოლო წმინდა მოგებამ 113.7 მლნ ლარი შეადგინა (265.4% ზრდა ანალოგიურ პერიოდში). სექტორში მნიშვნელოვნად შემცირდა მომგებიანობა 2019 წელს, რაც გამოწვეული იყო მარეგულირებელი ჩარჩოს გამკაცრებით,

დიაგრამა 5: მიკროსაფინანსო სექტორის მომგებიანობა



დიაგრამა 6: მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი ნასესხები სახსრები წყაროების მიხედვით



შენიშვნა: შემოსავლიანობის მრუდი აღნიშნავს საპროცენტო შემოსავლების ფარდობას წმინდა სასესხო პორტფელთან, ხოლო ეფექტური შემოსავლიანობის მრუდი საპროცენტო შემოსავლებთან ერთად მოიცავს საკომისიო შემოსავლებსაც.

2018 წელს შემოსავლიანობის მრუდის გაზრდა ერთჯერადი ეფექტი იყო, რაც გამოწვეული იყო რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ბაზრიდან გასვლით 2018 წლის ბოლოს. ამ ორგანიზაციების საპროცენტო შემოსავლები მოხვედრილია ჯამურ შემოსავლიანობაში, ხოლო 2018 წლის ბოლოს მათი პორტფელი აღარ იღებს მონაწილეობას ჯამური ბაზრის კალკულაციაში. 2018 წლის გარდა, 2017-2022 წლებში სექტორის შემოსავლიანობა და სახსრების ღირებულება სტაბილურად ნარჩუნდება.

3.3. სამომავლო სტრატეგია და მიზნები:

3.3.1. ემიტენტის ბიზნესის სტრატეგიისა და მიზნების აღწერა, მათ შორის ფინანსური და არაფინანსური. ამასთან, კომპანიის სამომავლო გეგმების აღწერა;

„კომპანია“ მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების საქმიანობა, იგეგმება დამატებითი ფილიალების გახსნა ახალ გეოგრაფიულ არეალებში - საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონში. აღსანიშნავია, რომ არ იგეგმება მიმართულების რადიკალური ცვლილება ან არა-პროფილურ ბიზნესებში შესვლა. კომპანიის გეგმებით, აღნიშნული კაპიტალური დანახარჯების ფინანსურებას შეძლებენ საკუთარი რესურსებით. დამატებით კომპანია გეგმავს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ადამიანურ რესურსზე: მოიზიდოს პროფესიონალი კადრები და მოახდინოს არსებული დასაქმებული კადრების გადამზადება.

კომპანიის სტრატეგიაა განაგრძოს მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება, დაწეროს ინოვაციური პროდუქტები და მოახდინოს კომპანიის სერვისების დიჯიტალიზაცია, რითაც გაიზრდება პროდუქტებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ ამისათვის კომპანიაში უკვე აშენდა თანამედროვე და მაღალი სტანდარტებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დატაცენტრი. დამატებით, კომპანიაში ამჟამად მიმდინარეობს ALTA პროგრამული უზრუნველყოფის დაწერვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ბიზნესთან და საბანკო მარეგულირებლთან დაკავშირებულ

მოთხოვნებს. ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის პარალელურად მიმდინარეობს კადრების გადამზადება, რაც უზრუნველყოფს რიკო ექსპრესის ოპერაციების ახალ სისტემაზე პრობლემების გარეშე გადასვლას.

3.3.2. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მიერ ბიზნესების შესყიდვებისა და შერწყმების შესახებ ინფორმაცია;

ადგილი არ ჰქონია „კომპანიის“ მიერ სხვა ბიზნესების შესყიდვას ან შერწყმას.

3.3.3. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევების აღწერა;

ადგილი არ ჰქონია შვილობილების გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევებს.

3.4. ემიტენტის ბიზნესის რესურსები და პროცესები

3.4.1. თუ ემიტენტის ბიზნესის სპეციფიკისა და მომგებიანობისთვის მნიშვნელოვანია, ინფორმაცია ძირითადი პატენტების, ლიცენზიების, კომერციული ან ფინანსური კონტრაქტების ან წარმოების ახალი პროცესების შესახებ;

სალომბარდე სესხების გაცემისთვის კომპანიას ეროვნული ბანკიდან მიღებული აქვს ლიცენზია, რომელიც არის უვადო და უსასყიდლო. კომპანიას ასევე 2015 წელს მოპოვებული აქვს პატენტი სასაქონლო ნიშნებზე, რომელთა ვადა არის 10 წლიანი და სასყიდლიანი, რომელიც გადახდილია თავიდანვე;

3.4.2. ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია, მისი ტიპების, წყაროების, ფასების ცვალებადობის/სტაბილურობის მითითებით.

არ არის რელევანტური

3.4.3. არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული ან მომავალში გამოსაყენებელი ტექნოლოგიების აღწერა;

სააღრიცხვო სისტემის აღწერა (საბუღალტრო პროგრამა, სესხების აღრიცხვა, ძვირფასი ლითონების შეფასების პორტალი).

მოცემულ მომენტში კომპანიაში მოქმედებს პროგრამა „ფმჯ სოფტი“ - საბუღალტრო ნაწილსთვის, ხოლო დანარჩენ სხვა ყველაფერში გამოიყენება პროგრამა „ბარსი“. „რიკო ექსპრესი“ თანამშრომლობს კომპანია ალტასთან და უახლოეს მომავალში ამოქმედდება „ალტა სოფთფეარი“ (როგორც სესხების, ასევე საბუღალტრო აღრიცხვისთვის).

გარდა ამისა, კომპანია თანამშრომლობს მასტერქარდთან. თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება ონლაინ საფულის და გადახდების სისტემის დამატება.

3.4.4. ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურების აღწერა;

იხ. სექცია სესხის გაცემის პროცედურა

3.4.5. მარკეტინგული პროგრამის აღწერა;

კომპანია პროდუქტების რეკლამირებას ახდენს სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით ფეისბუქზე, ასევე კუთვნილ ვებ-გვერდზე და სარგებლობაში არსებულ ჩასარიცხ ტერმინალებში (ჩნდება მონიტორინგზე იმ დროს, როდესაც მომხმარებელი აპარატზე ოპერაციას არ ასრულებს)

3.4.6. ძირითადი მომხმარებლებისა და მომწოდებლების აღწერა მათი წილების მითითებით (შემოსავლის/შესყიდვების 10%-ის ტოლი ან მეტი);

კომპანიის ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი შემოსავლების წყარო საკმაოდ დივერსიფიცირებულია და არ არის დამოკიდებული ცალკეულ მომხმარებელზე. 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით კომპანიის სასესხო პორტფელი განაწილებული იყო 360 ათასამდე ფიზიკურ პირზე, საიდანაც ტოპ 10 მსესხებლის ჯამური დავალიანება მხოლოდ 0.2%-ს აღწევს.

ასევე, კომპანია არ არის დამოკიდებული დაფინანსების ერთ წყაროზე. 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით „რიკო ექსპრესი“ სარგებლობს სესხებით 8 კომერციული ბანკისგან, საიდანაც თითოეულის მაქსიმალური წილი არ აღემატება 30%-ს. კომპანიას ასევე გამოშვებული აქვს თამასუქი, რომელიც გარე წყაროებიდან მოზიდული სახსრების თითქმის 50%-ს შეადგენს. 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით კომპანიის თამასუქები შექმნილი ჰქონდა 414 პირს, საიდანაც ტოპ 10-ის წილი 25%-ს შეადგენდა.

3.5. ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა, ასევე ამ პოზიციის საფუძველის აღწერა.

2022 წლის 2-ე კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო სექტორი შედგება 37 კომპანიის, 394 სერვის ცენტრის და 4,236 თანამშრომლისგან. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კლიენტებს სთავაზობენ სწრაფ/ონლაინ სესხებს, სამომხმარებლო სესხებს, იპოთეკურ სესხებს, ავტოსესხებს, ბიზნეს სესხებსა და სალომბარდე სესხებს; ზოგი კომპანია სპეციალიზებულია მხოლოდ ერთ-ერთი ტიპის სესხის გაცემაში.

„შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ მთლიანი აქტივების მიხედვით პირველი კომპანიაა მიკროსაფინანსო სექტორში 2022 წლის 6 თვის მდგომარეობით და პირველი კომპანიაა წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით (ტოპ 10 კომპანია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში). აქვე, აღსანიშნავია, რომ კომპანიას აქვს ყველაზე მაღალი წლიური მოგება 2021 წელს (72.3 მლნ ლარი)

ცხრილი 1: წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით ტოპ 10 კომპანია, 2022 წლის 6 თვე

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	ფილიალების რაოდენობა	თანამშრომლების რაოდენობა	მთლიანი აქტივები, მილიონი ლარი	წმინდა საკრედიტო პორტფელი, მილიონი ლარი
რიკო ექსპრესი	52	549	480.7	400.3
კრისტალი	50	990	416.5	364.1
სვის კაპიტალი	29	385	162.8	137.7
მიკრო ბიზნეს კაპიტალი	18	245	95.9	83.0
ლიდერ კრედიტი	28	268	80.4	66.8
ლაზიკა კაპიტალი	19	257	76.2	65.0
სმარტ ფინანსი	13	110	70.9	65.8
ინტელექსპრესი	22	198	47.2	15.9
ევრო კრედიტი	11	133	40.6	37.9
კრედიტსერვისი+	46	334	38.9	34.1

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, კვარტლური ანგარიშგებები

3.6. ინვესტიციები

3.6.1. ემიტენტის მიერ განხორციელებული მატერიალური ინვესტიციების აღწერა (თანხების მითითებით) თითოეული იმ პერიოდისთვის, რომელიც პროსპექტში წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებშია მითითებული;

2020-2021 წლების განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა შემდეგი იყო:

ძირითადი საშუალებები, ათასი ლარი	2021	2020
მიწა და შენობა-ნაგებობები	582	1,545
ავეჯი და საოფისე ტექნიკა	904	3,268
ტრანსპორტი	276	283
სულ ძირითადი საშუალებები	1,762	5,096

3.6.2. ემიტენტის მიერ განხორციელებული იმ მატერიალური ინვესტიციების აღწერა, რომლებიც მიმდინარეობს პროცესშია, მათი გეოგრაფიული მდებარეობისა (ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ) და დაფინანსების სტრუქტურის (შიდა თუ მოზიდული სახსრებით) მიხედვით;

კომპანიას არ აქვს მიმდინარე მატერიალური ინვესტიციები, თუმცა მიზნად ისახავს გააგრძელოს გეოგრაფიული დივერსიფიკაცია და დამატებითი ფილიალების გახსნა.

3.6.3. ინფორმაცია, ისეთი კომპანიების შესახებ, მათი წილების მითითებით, რომლებშიც ემიტენტი ფლობს წილს და რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და/ან მოგება-ზარალის შეფასებაზე (იგულისხმება შვილობილების გარდა არსებული წილების ფლობა).

კომპანია არ ფლობს წილს მსგავს კომპანიებში

4. ორგანიზაციული სტრუქტურა

4.1. თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურისა და საქმიანობის მიმოხილვა, მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით; სიცხადისა და აღქმადობისთვის უმჯობესია ორგანიზაციული სტრუქტურის დიაგრამის გამოყენება;

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას სამსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სტრუქტურით - კონტროლი და მართვა გამიჯნულია ერთადერთ პარტნორს, სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ დირექტორს შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო კი წარმოადგენს მთავარ მმართველობით ორგანოს და საკუთარი ამოცანების შესრულებისას ეყრდნობა მასთან არსებულ კომიტეტებს - აუდიტისა და რისკის კომიტეტებს. კომპანია სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს) გათვალისწინებული კორპორატიულ მმართველობის მარეგულირებელ წესებში.

4.2. ემიტენტის შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი, მათი სახელების, დაარსებისა და საქმიანობის ქვეყნის, მათში წილობრივი ფლობისა და ხმის უფლების მითითებით. ასევე, თუ ემიტენტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ჯგუფში შემავალ რომელიმე წევრზე, ამ დამოკიდებულების აღწერა.

კომპანიას არ ყავს შვილობილი კომპანიები და არ არის ჯგუფის წევრი

5. საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

5.1. ფინანსური მდგომარეობა³

ამ თავში წარმოდგენილია 2020, 2021 სრული წლების აუდირებული ფინანსური ინფორმაცია. ასევე 2022 წლის 9 თვის და 2021 წლის შესაბამისი პერიოდის არააუდირებული ინფორმაცია. ანგარიშგებები მომზადებულია ფასს სტანდარტების მიხედვით.

საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	62,970	50,974	69,923	115,464
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,967	6,200	1,549	4,639
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	424,095	357,912	367,450	306,662
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,512)	(1,195)	(1,034)	(665)
მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სესხები	422,583	356,717	366,416	305,997
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	-	-	-	883
აქტივის გამოყენების უფლება	8,084	6,462	6,829	5,695
ძირითადი საშუალებები	16,122	14,760	15,284	16,072
არამატერიალური აქტივები	128	78	154	57
სხვა აქტივები	24,547	19,031	22,842	11,745
სულ აქტივები	537,400	454,223	482,997	460,552
ვალდებულებები				
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	934	273	358	2,178
გამოშვებული მარტივი თამასუქები	113,992	123,044	121,448	112,590
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	-	1,095	-
ნასესხები სახსრები	113,238	70,946	95,444	113,584
საიჯარო ვალდებულება	8,231	6,514	7,014	5,670
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	4,127	3,053	2,765	2,027
სხვა ვალდებულებები	6,475	3,166	4,565	4,277
სულ ვალდებულებები	246,997	206,996	232,689	240,326
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	1,584	1,584	1,584	1,584
გაუნაწილებელი მოგება	288,819	245,643	248,724	218,642
სულ კაპიტალი	290,403	247,227	250,308	220,226
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	537,400	454,223	482,997	460,552

აქტივები

კომპანიის აქტივების დაახლოებით 90% პროცენტს წარმოადგენს სასესხო პორტფელი და ფულადი სახსრები. 2022 წლის 9 თვის მონაცემებით ამ აქტივების წილი ჯამურ აქტივებში შესაბამისად 79% და 12% იყო (2021 წლის ბოლოსთვის 76% და 14%).

2022 წლის 9 თვეში სასესხო პორტფელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით 66,182 ათასი ლარით (18.5%-ით) გაიზარდა; ხოლო 2021 წელს 60,788 ათასი ლარით (19.8%).

³ ემიტენტის ფინანსური მდგომარეობის, მასში მომხდარი ცვლილებებისა და საოპერაციო შედეგების აღწერა ყოველი წლისა და შუალედური პერიოდისთვის, რომელთათვისაც წარდგენილია ისტორიული ფინანსური ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს წლიდან წლამდე ფინანსურ ინფორმაციაში მომხდარი მატერიალური ცვლილებების მიზეზები და ანალიზი. ანალიზი უნდა მოიცავდეს ფინანსური მაჩვენებლების და თუ რელევანტურია, არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვას;

სასესხო პორტფელი⁴

გაცემული სესხები იყოფა ორ კატეგორიად: სალომბარდო სესხები და იპოთეკური სესხები. იპოთეკურ სესხებს კომპანია წლებია აღარ გასცემს, ვინაიდან აღნიშნული პროდუქტის გაყიდვა აღარ არის კომპანიის სტრატეგიაში, ხდება მხოლოდ არსებული სესხების მენეჯმენტი. შესაბამისად პორტფელში მისი წილი წლიდან წლამდე მცირდება. 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით მთლიანი პორტფელის თითქმის 97% სალომბარდო სესხებს მოიცავს.

ათასი ლარი	2022 9მ	წილი	2021	წილი	2020	წილი
სალომბარდო სესხები	405,829	96.5%	344,494	94.6%	275,485	90.4%
იპოთეკური სესხები	14,712	3.5%	19,829	5.4%	29,177	9.6%
მთლიანი სესხების პორტფელი	420,541	100.0%	364,322	100.0%	304,662	100.0%

პორტფელი 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით 2021 წლის ბოლოსთან შედარებით გაზრდილია 15%-ით, რაც განაპირობა: ა) ეფექტურმა მარკეტინგულმა კამპანიამ, ბ) გაყიდვების არხების ზრდამ, კონკრეტულად კომპანიამ გახსნა ოთხი ახალი ფილიალი, ორი თბილისში და ორი რეგიონში, გ) ოქროს ფასის ზრდამ საერთაშორისო ბაზარზე. ვინაიდან კომპანია სესხების უმეტესობას გასცემს ოქროს გირაოთი, მომხმარებლებს გაზრდილი მოცულობის სესხების აღების შესაძლებლობა გაუზრუნველდა.

სალომბარდო სესხები სტანდარტულად გაიცემა 1 წლის ვადით და სესხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100,000 ლარს. სესხების ვადა ავტომატურად გრძელდება, თუკი კლიენტი განაგრძობს პროცენტის პერიოდულ დაფარვას. სესხები უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით და საშუალო LTV დაახლოებით 90%-ია.

რაც შეეხება იპოთეკურ სესხებს, ამ ეტაპზე კომპანიში დარჩენილია 14.7 მლნ ლარის პორტფელი. იპოთეკური სესხების LTV დაახ. 17%-ს შეადგენს.

კომპანიის სასესხო პორტფელი დივერსიფიცირებულია ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე. ტოპ 10 მსესხებლის წილი ჯამურ პორტფელში მხოლოდ 0.2%-ს აღწევს.

კომპანიის პორტფელი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ათასი ლარი	2022 9მ	წილი	2021	წილი	2020	წილი
ვადაგადაცილების გარეშე	403,148	96%	347,633	95%	294,239	97%
30 დღემდე ვადაგადაცილებული	9,485	2%	8,984	2%	5,489	2%
31 - 60 დღე ვადაგადაცილებული	3,936	1%	2,967	1%	2,500	1%
61 - 90 დღე ვადაგადაცილებული	2,519	1%	2,445	1%	1,282	0%
91-120 დღე ვადაგადაცილებული	1,157	0%	1,722	0%	1,071	0%
121-150 დღე ვადაგადაცილებული	82	0%	447	0%	13	0%
151-180 დღე ვადაგადაცილებული	70	0%	1	0%	11	0%
180 დღე და მეტი ვადაგადაცილებული	145	0%	123	0%	56	0%
სულ	420,541	100%	364,322	100%	304,662	100%

როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანიის პორტფელის 96% ვადაგადაცილების გარეშეა. ვადაგადაცილებული სესხების წილი პორტფელში წლების მანძილზე სტაბილურია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

⁴ მითითებულ სექციაში წარმოდგენილი მთლიანი პორტფელი მცირედით განსხვავდება საბალანსო უწყისში წარმოდგენილისგან, რადგან არ მოიცავს დარიცხულ პროცენტებს. აღნიშნული ინფორმაცია აღებულია კომპანიის სასესხო პორტფელის რეპორტიდან. განსხვავება არ აღემატება ბალანსზე ნაჩვენები პორტფელის 1%-ს.

სასესხო პორტფელის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (IFRS-ის მიხედვით) წლების განმავლობაში სტაბილურია და მთლიანი პორტფელის მხოლოდ 0.2%-0.4%-ს შეადგენს.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს კომპანიის მიერ იჯარით აღებულ უძრავ ქონებებს, სადაც განთავსებულია კომპანიის ფილიალები.

ძირითადი საშუალებები

2022 წლის 9 თვის მდგომარეობით კომპანიის ძირითადმა საშუალებებმა 16,122 ათასი ლარი შეადგინა (15,284 ათასი ლარი 2021 წლის ბოლოს). ძირითადი საშუალებები მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, საოფისე აღჭურვილობას და კომპიუტერულ ტექნიკას, სატრანსპორტო საშუალებებს.

სხვა აქტივები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

ათასი ლარი	2022 9m	2021	2020
მოთხოვნები ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ	13,814	5,447	4,371
ოქროს ზოდები და დასაკუთრებული სამკაულები	9,159	15,326	6,360
სხვა	1,574	2,069	1,014
სულ	24,547	22,842	11,745

მოთხოვნები ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ - წარმოქმნილია ფულადი გზავნილების სერვისის გაწევიდან. თანხები წარმოადგენს მოთხოვნებს, რაც „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესს“ გააჩნია პარტნიორი კომპანიების მიმართ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნები არის ძალიან ლიკვიდური და მათი ამოღება ძირითად შემთხვევაში ხდება 1-5 დღის ინტერვალში. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2022 წლის სექტემბრის ბოლოს მოთხოვნები 2021 წლის ბოლოსთან შედარებით გაზარდილია 154%-ით, რაც განპირობებულია 2022 წელს გაზარდილი მოთხოვნით გზავნილების პროდუქტზე.

ვალდებულებები

2022 წლის 9 თვის მდგომარეობით კომპანიის ჯამურმა ვალდებულებებმა 246,997 ათასი ლარი შეადგინა (2021 წლის ბოლო 232,689 ათასი ლარი).

ჯამური ვალდებულებების 90%-95%-ს მუდმივად ნასესხები სახსრები (გამოშვებული მარტივი თამასუქები და სესხები) შეადგენს. დეტალურად ინფორმაცია კომპანიის დავალიანების შესახებ მოცემულია ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

სავალუტო რისკის შესამსუბუქებლად კომპანია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს. პროსპექტში არსებულ ბალანსის უწყისში წარმოდგენილია 2022 წლის სექტემბრის, 2021 დეკემბრისა და 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის საბაზისო აქტივის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

სავალუტო სვოპი სახელშეკრულებო შეთანხმებაა ორ მხარეს შორის, უცხოური ვალუტის განაკვეთებში მოძრაობების აღსარიცხად, კონკრეტული პირობითი თანხის საფუძველზე.

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება

საქართველოში იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ მოგების გადასახადის დეკლარაციების წარდგენა. 2021 და 2020 წლებში მოგების გადასახადის სტანდარტული განაკვეთი კომპანიებისთვის საქართველოში 15%-ს შეადგენდა.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. 2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შესული ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, კომპანიამ თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება.

სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებებში გაერთიანებულია შემდეგი ქვე-მუხლები:

	2022 9m	2021 9m	2021	2020
ფულადი გზავნილების საქმიანობებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			2,860	2,433
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	179	242	332	1,809
სხვა	6,296	2,924	1,373	35
სულ სხვა ვალდებულებები	6,475	3,166	4,565	4,277

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალმა 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით 290,403 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან (247,227 ათასი ლარი) შედარებით 17.6%-იანი ნაზრდი იყო. ხოლო 2021 წლის ბოლოს კაპიტალმა 250,308 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2020 წლის მონაცემთან (220,226 ათასი ლარი) შედარებით 13.7%-ით (30,082) გაიზარდა. ორივე პერიოდში ზრდა სრულად გამოწვეული იყო გაუნაწილებელი მოგების ზრდით.

2022 წლის 9 თვეში ჯამურმა მოგებამ 40,226 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 131 ათასი ლარის დივიდენდი გაიცა. 2021 წლის განმავლობაში მოგებამ 41,276 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც კომპანიამ გამოაცხადა და პარტნიორს სრულად გადაუხადა 11,194 ათასი ლარის ოდენობის (2020 წ.: 2,038 ლარი) დივიდენდები.

წარმოდგენილ პერიოდებზე კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,584 ათას ლარს.

6. კაპიტალიზაცია და დავალიანება

კაპიტალის სტრუქტურა პროსპექტში წარმოდგენილი ფინანსების თარიღებისთვის (31.12.2022, 30.09.2022, 31.12.2021, 31.12.2020) მოცემულია ცხრილში:

ათასი ლარი	2022 YE	2022 9m	2021	2020
	არააუდ.	არააუდ.	აუდირებული	აუდირებული
გამოშვებული მარტივი თამასუქები	114,727	113,992	121,448	112,590
ნასესხები სახსრები	132,537	113,238	95,444	113,584
საიჯარო ვალდებულება	8,231	8,231	7,014	5,670

სულ საპროცენტო ვალდებულებები	255,495	235,462	223,906	231,844
საწესდებო კაპიტალი	1,584	1,584	1,584	1,584
გაუნაწილებელი მოგება	291,124	288,819	248,724	218,642
სულ საკუთარი კაპიტალი	292,708	290,403	250,308	220,226
სულ კაპიტალიზაცია და დავალიანება	548,203	525,864	474,214	452,070

კომპანია ნასესხებ სახსრებზე პერიოდულად იხდის პროცენტებს, ძირითადად თანხის პერიოდის დაფარვის პირობით.

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით ემიტენტს კომერციული ბანკებისგან ნასესხები ჰქონდა შემდეგი სახსრები:

	ბანკების დასახელება	ვალუტა	თანხა საწყისი, 1'000-ებში	თანხა ნარჩენი, 1'000 ებში	დარიცხული პროცენტი, 1'000-ებში	%	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება გამოსახული ლარში, 1'000
1	Basis-VTB	GEL	10,000	10,000	4	13.02%	29-03-22	17-03-23	სესხების პორტფელი	11,000
2	Basis Bank	GEL	8,500	8,500	1	13.05%	20-04-22	20-04-23	სესხების პორტფელი	9,350
3	Basis Bank	GEL	1,500	1,500	34	13.05%	29-04-22	01-05-23	სესხების პორტფელი	1,650
4	BOG	GEL	10,000	10,000	4	13.00%	31-12-21	31-07-23	სესხების პორტფელი	12,000
5	BOG	GEL	20,000	20,000	7	13.00%	30-09-22	29-09-23	სესხების პორტფელი	24,000
6	Halyk Bank	GEL	3,000	3,000	26	13.00%	07-07-21	07-07-23	სესხების პორტფელი	5,455
7	Halyk Bank	GEL	1,000	1,000	9	13.00%	26-07-21	07-07-23	სესხების პორტფელი	1,818
8	Halyk Bank	GEL	1,500	1,500	13	13.00%	08-10-21	07-07-23	სესხების პორტფელი	2,727
9	IsBank	GEL	12,000	12,000	39	13.00%	24-11-22	23-01-23	სხვა	15,981
10	IsBank	GEL	7,000	7,000	46	13.00%	14-11-22	13-01-23	სესხების პორტფელი	8,400
11	PashaBank	GEL	10,000	10,000	82	13.00%	29-04-22	06-01-23	სესხების პორტფელი	12,001
12	PashaBank	GEL	5,000	5,000	18	13.00%	10-06-22	18-01-23	სესხების პორტფელი	6,000
13	TBC	GEL	5,000	5,000	16	13.00%	22-06-22	22-02-23	სესხების პორტფელი	6,000
14	TBC	GEL	20,000	20,000	7	13.00%	30-12-22	27-02-23	სესხების პორტფელი	24,000
15	TERA	GEL	5,000	5,000	9	13.00%	24-05-21	12-01-23	სესხების პორტფელი	8,790
16	TERA	GEL	10,700	10,700	69	13.00%	13-08-21	12-01-23	სესხების პორტფელი	18,811
17	Holding 1	GEL	5,000	2,337	26	13.50%	27-12-19	12-12-24	არ აქვს	0
	სულ მოზიდული სახსრები		135,200	132,537	408					167,983

ყველა სესხს აქვს ძირის ვადის ბოლოს დაფარვის ტიპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ემიტენტი პროცენტს ფარავს ყოველთვიურად, ხოლო ძირის პერიოდის ბოლოს. გამონაკლისია შპს ჰოლდინგ 1-ის სესხი, რომელსაც აქვს ანუიტეტური დაფარვის გრაფიკი.

გარდა ამისა, ემიტენტს გამოშვებული ჰქონდა სავალო ფასიანი ქაღალდები (თამასუქები):

		სულ	წლიური 10% მდე	წლიური 10% დან 15% მდე
1	ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	109,178,851	90,430,022	18,748,829
1.1	რეზიდენტი ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	108,692,491	90,024,722	18,667,769
1.2	არარეზიდენტი ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	486,360	405,300	81,060
2	იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	5,548,154	0	5,548,154
2.1	რეზიდენტი იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	5,548,154	0	5,548,154
2.2	არარეზიდენტი იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
	სულ საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	114,727,005	90,430,022	24,296,983

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით ლარის თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა მოცემულია ქვემოთა ცხრილში:

#	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა_ექვივალენტი	ვალუტა	დარჩენილი ვადა (თვე)	ხელშეკრულების საშუალო ვადა (თვე)	%
-	2,011,326	2,011,326	GEL	0	3	12-13%
1	3,242,050	3,242,050	GEL	1	3	12-13%
2	3,476,920	3,476,920	GEL	2	3	12-13%
3	-	-	GEL	3	-	12-13%
4	-	-	GEL	4	-	12-13%
5	12,964,298	12,964,298	GEL	5	12	12-13%
6	724,425	724,425	GEL	6	12	12-13%
7	204,154	204,154	GEL	7	12	12-13%
8	110,000	110,000	GEL	8	12	12-13%
9	210,000	210,000	GEL	9	12	12-13%
10	-	-	GEL	10	-	12-13%
11	1,272,750	1,272,750	GEL	11	12	12-13%
12	-	-	GEL	12	-	12-13%
სულ	24,215,923	24,215,923	GEL		6	12-13%

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით დოლარის თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა მოცემულია ქვემოთა ცხრილში:

#	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა_ექვივ.	ვალუტა	დარჩენილი ვადა (თვე)	ხელშეკრულების საშუალო ვადა (თვე)	%
-	1,204,674	3,255,029	USD	0	12	2.5-4.5%
1	734,312	1,984,111	USD	1	12	2.5-4.5%
2	1,105,066	2,985,888	USD	2	12	2.5-4.5%
3	1,537,948	4,155,535	USD	3	12	2.5-4.5%
4	976,943	2,639,700	USD	4	12	2.5-4.5%
5	4,496,881	12,150,572	USD	5	12	2.5-4.5%
6	2,374,414	6,415,667	USD	6	12	2.5-4.5%
7	3,372,087	9,111,379	USD	7	12	2.5-4.5%
8	1,878,239	5,075,002	USD	8	12	2.5-4.5%
9	3,882,158	10,489,591	USD	9	12	2.5-4.5%
10	4,048,544	10,939,166	USD	10	12	2.5-4.5%
11	7,886,544	21,309,442	USD	11	12	2.5-4.5%
12	-	-	USD	12	-	2.5-4.5%
სულ	33,497,810	90,511,082	USD		11	2.5-4.5%

ემიტენტს გაცემული ჰქონდა 100-ზე მეტი ოდენობის თამასუქი, ამიტომ ცხრილში წარმოდგენილია დაჯგუფებული ინფორმაცია.

თამასუქების ძირი იფარება ვადის ბოლოს და ისინი არის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები. ამასთანავე, თამასუქებს არ მოყვება არანაირი შესასრულებელი კოვენანტები.

სესხების ჩაშლა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ბანკების დასახელება	ვალუტა	თანხა საწყისი, 1'000-ებში	თანხა ნარჩენი, 1'000 ებში	დარიცხული პროცენტი, 1'000-ებში	%	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება გამოსახული ლარში, 1'000
1	BOG	GEL	10,000	10,000	3	12.50%	31-12-21	31-01-22	უგირავნო	0
2	Halyk Bank	GEL	3,000	3,000	23	11.20%	07-07-21	07-07-22	სესხების პორტფელი	5,000
3	Halyk Bank	GEL	1,000	1,000	8	11.20%	26-07-21	07-07-22	სესხების პორტფელი	1,667
4	Halyk Bank	GEL	2,000	2,000	15	11.20%	08-10-21	07-07-22	სესხების პორტფელი	3,333
5	ISBANK	GEL	2,000	2,000	1	12.00%	31-12-21	03-01-22	უგირავნო	0
6	ISBANK	GEL	12,000	12,000	80	12.60%	13-12-21	14-03-22	სხვა	16,561
7	LBR	GEL	10,000	10,000	18	13.00%	24-09-21	25-03-22	სესხების პორტფელი	16,000
8	LBR	GEL	10,000	10,000	11	13.00%	29-10-21	29-04-22	სესხების პორტფელი	16,000
9	LBR	GEL	5,000	5,000	2	12.50%	29-12-21	25-02-22	სესხების პორტფელი	8,000
10	TBC	GEL	6,000	6,000	37	12.50%	14-06-21	14-06-22	სესხების პორტფელი	7,200
11	Tera Bank	GEL	5,000	5,000	14	13.00%	24-05-21	12-07-22	სესხების პორტფელი	8,790
12	Tera Bank	GEL	10,700	10,700	70	12.50%	13-08-21	12-07-22	სესხების პორტფელი	18,811
13	VTB	GEL	5,000	5,000	2	12.20%	31-03-21	31-03-22	სესხების პორტფელი	5,500
14	VTB	GEL	10,000	10,000	6	12.17%	30-06-21	30-06-22	სესხების პორტფელი	11,000
15	Holding 1	GEL	5,000	3,421	35	12.10%	27-12-19	12-12-24	აქ აქვს	0
	სულ მოზიდული სახსრები		96,700	95,121	323					117,862

ყველა სესხს აქვს bullet დაფარვის ტიპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ემიტენტი პროცენტს ფარავს ყოველთვიურად, ხოლო ძირის კი პერიოდის ბოლოს. გამოწვევისაა შპს ჰოლდინგ 1-ის სესხი, რომელსაც აქვს ანუიტეტური დაფარვის გრაფიკი.

		სულ	წლიური 10% მდე	წლიური 10% დან 15% მდე
1	ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	119,254,868	100,875,197	18,379,671
1.1	რეზიდენტი ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	117,327,541	98,947,870	18,379,671

1.2	არარეზიდენტი ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	1,927,327	1,927,327	0
2	იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	1,384,061	1,102,687	281,374
2.1	რეზიდენტი იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	1,384,061	1,102,687	281,374
2.2	არარეზიდენტი იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
	სულ საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	120,638,928	101,977,884	18,661,045

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით ლარის თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა მოცემულია ქვემოთა ცხრილში:

#	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა_ექვივ.	ვალუტა	დარჩენილი ვადა (თვე)	ხელშეკრულების შეწონილი ვადა (თვე)	%
-	702,265	702,265	GEL	0	12	12-13%
1	1,719,164	1,719,164	GEL	1	12	12-13%
2	1,406,390	1,406,390	GEL	2	12	12-13%
3	-	-	GEL	3	-	12-13%
4	-	-	GEL	4	-	12-13%
5	-	-	GEL	5	-	12-13%
6	3,000,000	3,000,000	GEL	6	12	12-13%
7	11,740,298	11,740,298	GEL	7	12	12-13%
8	-	-	GEL	8	-	12-13%
9	-	-	GEL	9	-	12-13%
10	-	-	GEL	10	-	12-13%
11	-	-	GEL	11	-	12-13%
12	-	-	GEL	12	-	12-13%
სულ	18,568,117	18,568,117	GEL		12	12-13%

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით დოლარის თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა მოცემულია ქვემოთა ცხრილში:

#	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა_ექვივ.	ვალუტა	დარჩენილი ვადა (თვე)	ხელშეკრულების შეწონილი ვადა (თვე)	%
-	2,004,109	6,207,927	USD	0	12	3.75%-5%
1	1,442,428	4,468,065	USD	1	12	3.75%-5%
2	5,094,095	15,779,469	USD	2	12	3.75%-5%
3	2,297,659	7,117,229	USD	3	12	3.75%-5%
4	1,181,201	3,658,888	USD	4	12	3.75%-5%
5	3,274,095	10,141,837	USD	5	12	3.75%-5%
6	2,028,139	6,282,363	USD	6	12	3.75%-5%
7	3,314,091	10,265,728	USD	7	12	3.75%-5%
8	1,839,431	5,697,821	USD	8	12	3.75%-5%
9	3,979,361	12,326,469	USD	9	12	3.75%-5%
10	2,806,032	8,691,965	USD	10	12	3.75%-5%
11	3,339,590	10,344,712	USD	11	12	3.75%-5%
12	50,000	154,880	USD	12	12	3.75%-5%
სულ	32,650,230	101,137,353	USD		12	3.75%-5%

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით ევროს თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა მოცემულია ქვემოთა ცხრილში:

#	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა_ექვივ.	ვალუტა	დარჩენილი ვადა (თვე)	ხელშეკრულების შეწონილი ვადა (თვე)	%
-	-	-	EUR	0	-	2-4%

1	-	-	EUR	1	-	2-4%
2	-	-	EUR	2	-	2-4%
3	3,272	11,465	EUR	3	12	2-4%
4	-	-	EUR	4	-	2-4%
5	-	-	EUR	5	-	2-4%
6	35,000	122,640	EUR	6	12	2-4%
7	-	-	EUR	7	-	2-4%
8	15,950	55,889	EUR	8	12	2-4%
9	-	-	EUR	9	-	2-4%
10	212,176	743,465	EUR	10	12	2-4%
11	-	-	EUR	11	-	2-4%
12	-	-	EUR	12	-	2-4%
სულ	266,398	933,459	EUR		12	2-4%

ემიტენტს გაცემული ჰქონდა 100-ზე მეტი ოდენობის თამასუქი, ამიტომ ცხრილში წარმოდგენილია დაჯგუფებული ინფორმაცია.

თამასუქების ძირი იფარება ვადის ბოლოს და ისინი არის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები. ამასთანავე, თამასუქებს არ მოყვება არანაირი შესასრულებელი კოვენანტები.

სესხების და თამასუქების ჩაშლა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ბანკების დასახელება	ვალუტა	თანხა საწყისი, 1'000-ებში	თანხა ნარჩენი, 1'000 ებში	დარიცხული პროცენტი, 1'000-ებში	%	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება გამოსახული ლარში, 1'000
1	BASIS BANK	GEL	5,000	5,000	3	7.50%	26-06-20	29-01-21	ფულადი სახსრები	6,324
2	BASIS BANK	GEL	5,000	5,000	12	7.50%	30-06-20	26-01-21	ფულადი სახსრები	6,292
3	BASIS BANK	GEL	5,000	5,000	28	7.50%	29-06-20	01-02-21	ფულადი სახსრები	6,292
4	BASIS BANK	GEL	5,956	5,956	12	7.00%	21-02-20	22-02-21	ფულადი სახსრები	6,592
5	BASIS BANK	GEL	5,985	5,985	30	7.00%	25-02-20	25-02-21	ფულადი სახსრები	6,624
6	BASIS BANK	GEL	5,000	5,000	19	7.00%	11-12-20	11-03-21	ფულადი სახსრები	5,063
7	BASIS BANK	GEL	5,000	5,000	16	7.00%	15-12-20	15-03-21	ფულადი სახსრები	5,035
8	BASIS BANK	GEL	5,000	5,000	7	7.00%	21-12-20	24-03-21	ფულადი სახსრები	5,051
9	BASIS BANK	GEL	5,000	5,000	2	7.00%	29-12-20	29-03-21	ფულადი სახსრები	5,034
10	ISBANK	GEL	9,000	9,000	35	10.00%	17-12-20	17-03-21	სხვა	15,554
11	Tera Bank	GEL	3,000	3,000	1	10.90%	20-03-17	12-01-21	სესხების პორტფელი	3,600
12	Tera Bank	GEL	2,000	2,000	1	10.90%	08-12-17	12-01-21	სესხების პორტფელი	2,400
13	Tera Bank	GEL	5,000	5,000	5	11.50%	25-12-19	12-01-21	სესხების პორტფელი	6,000
14	Tera Bank	GEL	10,000	10,000	86	10.50%	08-06-20	12-01-21	სესხების პორტფელი	12,001
15	Tera Bank	GEL	3,000	3,000	2	11.50%	29-12-20	12-04-21	სესხების პორტფელი	3,600
16	TBC	GEL	10,000	10,000	14	10.56%	08-06-20	30-06-21	სხვა	12,000
17	LBR	GEL	5,000	5,000	10	12.00%	20-08-18	28-02-21	მოძრავი ქონება	16,702
18	LBR	GEL	15,000	15,000	31	10.91%	24-08-20	24-08-21	მოძრავი ქონება	50,107
19	Holding 1	GEL	5,000	4,291	38		27-12-19	12-12-24	აქ აქვს	0
	სულ მოზიდული სახსრები		113,941	113,232	352					174,271

ყველა სესხს აქვს bullet დაფარვის ტიპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ემიტენტს პროცენტს ფარავს ყოველთვიურად, ხოლო ძირის კი პერიოდის ბოლოს. გამონაკლისია შპს ჰოლდინგ 1-ის სესხი, რომელსაც აქვს ანუიტეტური დაფარვის გრაფიკი.

		სულ	წლიური 10% მდე	წლიური 10% დან 15% მდე
1	ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	110,468,261	100,859,205	9,609,056
1.1	რეზიდენტი ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	109,649,111	100,040,055	9,609,056
1.2	არარეზიდენტი ფიზიკურ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	819,150	819,150	0
2	იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	1,275,947	1,111,734	164,213
2.1	რეზიდენტი იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	1,275,947	1,111,734	164,213
2.2	არარეზიდენტი იურიდიულ პირებზე გაცემული საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
	სულ საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	111,744,208	101,970,939	9,773,269

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით ლარის თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა მოცემულია ქვემოთა ცხრილში:

#	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა_ექვივ.	ვალუტა	დარჩენილი ვადა (თვე)	ხელშეკრულების შეწონილი ვადა (თვე)	%
-	-	-	GEL	0	-	12-13%
1	-	-	GEL	1	-	12-13%
2	120,000	120,000	GEL	2	12	12-13%
3	286,000	286,000	GEL	3	12	12-13%
4	1,309,000	1,309,000	GEL	4	12	12-13%
5	669,350	669,350	GEL	5	12	12-13%
6	6,390,548	6,390,548	GEL	6	12	12-13%
7	704,740	704,740	GEL	7	12	12-13%
8	251,120	251,120	GEL	8	12	12-13%
9	164,213	164,213	GEL	9	12	12-13%
10	-	-	GEL	10	-	12-13%
11	-	-	GEL	11	-	12-13%
12	-	-	GEL	12	-	12-13%
სულ	9,894,971	9,894,971	GEL		12	8-12.25%

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით დოლარის თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა მოცემულია ქვემოთა ცხრილში:

#	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა_ექვივ.	ვალუტა	დარჩენილი ვადა (თვე)	ხელშეკრულების შეწონილი ვადა (თვე)	%
-	2,370,403	7,766,863	USD	0	12	3.75%-5%
1	1,198,935	3,928,430	USD	1	12	3.75%-5%
2	4,503,836	14,757,269	USD	2	12	3.75%-5%
3	969,060	3,175,222	USD	3	12	3.75%-5%
4	1,831,720	6,001,814	USD	4	12	3.75%-5%
5	2,622,491	8,592,854	USD	5	12	3.75%-5%

6	1,752,439	5,742,042	USD	6	12	3.75%-5%
7	2,600,718	8,521,513	USD	7	12	3.75%-5%
8	1,668,949	5,468,478	USD	8	12	3.75%-5%
9	5,330,079	17,464,538	USD	9	12	3.75%-5%
10	2,380,590	7,800,241	USD	10	12	3.75%-5%
11	3,541,041	11,602,575	USD	11	12	3.75%-5%
12	-	-	USD	12	-	3.75%-5%
სულ	30,770,262	100,821,839	USD		12	3.75%-5%

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით ევროს თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა მოცემულია ქვემოთა ცხრილში:

#	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა	საკონტრაქტო და ნარჩენი თანხა_ექვივ.	ვალუტა	დარჩენილი ვადა (თვე)	ხელშეკრულების შეწონილი ვადა (თვე)	%
-	-	-	EUR	0	-	2-4%
1	-	-	EUR	1	-	2-4%
2	-	-	EUR	2	-	2-4%
3	3,272	13,164	EUR	3	12	2-4%
4	-	-	EUR	4	-	2-4%
5	-	-	EUR	5	-	2-4%
6	-	-	EUR	6	-	2-4%
7	-	-	EUR	7	-	2-4%
8	74,950	301,546	EUR	8	12	2-4%
9	-	-	EUR	9	-	2-4%
10	177,140	712,687	EUR	10	12	2-4%
11	-	-	EUR	11	-	2-4%
12	-	-	EUR	12	-	2-4%
სულ	255,362	1,027,398	EUR		12	2-4%

ემიტენტს გაცემული ჰქონდა 100-ზე მეტი ოდენობის თამასუქი, ამიტომ ცხრილში წარმოდგენილია დაჯგუფებული ინფორმაცია.

თამასუქების ძირი იფარება ვადის ბოლოს და ისინი არის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები. ამასთანავე, თამასუქებს არ მოყვება არანაირი შესასრულებელი კოვენანტები.

ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები

„რიკო ექსპრესს“ ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხების კონტრაქტებით განსაზღვრული აქვს გარკვეული შემზღვეველი პირობები. ძირითადი პირობები წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები)

მსესხებელმა უზრუნველყოს სესხის მოქმედების ვადაში თავდები კომპანიის მიერ კაპიტალის შენარჩუნება მინიმუმ 150 000 000 ლარზე, ხოლო წლიური წმ. მოგების მინიმუმ 10 000 000 ლარზე შენარჩუნება

ათასი	2022 სექტ.	2021	2020
ფაქტიური კაპიტალი	290,403	250,308	220,226
მინ. კაპიტალის კოვენანტი	150,000	150,000	150,000
ფაქტიური წმინდა მოგება	49,127	41,276	43,242
მინ. წმინდა მოგების კოვენანტი	10,000	10,000	10,000

არაფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები) 2022 და პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის:

- იმ ბანკების წინაშე, რომლებსაც გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად დაგირავებული აქვთ კომპანიის სასესხო პორტფელების ნაწილი, კომპანიას ნაკისრი აქვს ვალდებულება წარმოადგინოს დამატებითი უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუ დაგირავებული პორტფელის ნაწილი არ ყოფნის გაცემული სესხის უზრუნველყოფას, მხარეთა მიერ დადგენილი ოდენობით;
- ერთ-ერთ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გამსესხებელს გააჩნია უფლება გაზარდოს არსებული საპროცენტო განაკვეთი 2%-ით, მოითხოვოს შეთანხმებული უზრუნველყოფის (დაგირავებული პორტფელის) გაზრდა 30%-ით ან მოითხოვოს სესხის აქსელერაცია იმ შემთხვევაში, თუ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები კომპანიის ბრალით ვერ დაგირავდება საქართველოს ეროვნულ ბანკში რეპო მიზნებისათვის;
- კრედიტორები ითხოვენ მათი თანხმობის მოპოვებას კომპანიის მიერ ახალი ვალდებულებების აღებამდე. მათ შორის:
 - თანხმობა აუცილებელია ფასიანი ქაღალდების ემისიისათვის;
 - თანხმობა არ არის აუცილებელი ისეთი დამატებითი ვალდებულებების ასაღებად, რაც ნაკლებია კომპანიის კაპიტალის 30%-ზე, თუმცა ამ ნიშნულზე დიდი მოცულობის ვალდებულებებისათვის ასეთი თანხმობის მოპოვება აუცილებელია;
 - თანხმობა აუცილებელია ნებისმიერი დამატებითი ვალდებულების ასაღებად, რომელიც არ ჯდება კომპანიის ჩვეულ საქმიანობაში;
 - თანხმობა აუცილებელია ისეთი დამატებითი ვალდებულების საკისრებლად, რომლის აღებაც კომპანიას განზრახული აქვს მაშინ, როდესაც მისი კაპიტალის კოეფიციენტი 25%-ზე ნაკლებია;
- კომპანიას შეზღუდული აქვს თუ რომელ ბანკებში უნდა მოახდინოს საოპერაციო მომსახურება, აწარმოოს სახელფასო ანგარიშების ბრუნვა ან ისარგებლოს მათი მომსახურებით, როგორც ძირითადი ბანკით.

კომპანია ასრულებს აღნიშნულ კოვენანტებს.

ლიკვიდურობის ანალიზი

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის პოზიცია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით IFRS დათვლით 2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით:

2022 9m	30 დღემდე	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	181 დღიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნაღდი ფული	62,970	-	-	-	-	-	-	62,970
ფულადი სახსრები კომერციულ ბანკებში	2,967	-	-	-	-	-	-	2,967
წმინდა სესხები *	161,757	13,153	14,268	55,900	161,136	638	15,731	422,583
აქტივის გამოყენების უფლება	-	-	-	-	-	-	8,084	13,103
დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები***	-	-	-	-	-	-	-	-
დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	-	-	-	-	-	-	-	-
არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	-	128	-
ძირითადი საშუალებები	-	-	-	-	-	-	16,122	11,103
სხვა აქტივები	9,396	764	829	3,247	9,360	37	914	24,547
სულ აქტივები	237,090	13,917	15,097	59,147	170,496	675	40,978	537,272
ნასესხები სახსრები	20,038	17,000	-	30,700	45,500	-	-	113,238
სხვა ვალდებულებები (საგადასახადო ვალდებულებები)	179	-	-	-	-	-	-	179
გამომწვეული მარტივი თამასუქები	12,690	9,646	8,782	17,997	64,877	-	-	113,992
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	934	-	-	-	-	-	-	934
სხვა ვალდებულებები	6,296	-	-	-	-	-	-	6,296
საიჯარო ვალდებულება	2,047	-	-	-	-	-	6,185	8,231
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	2,114	-	-	-	-	-	2,013	4,127
სულ ვალდებულებები	44,297	26,646	8,782	48,697	110,377	-	8,197	246,997
ლიკვიდობის პოზიცია	192,792	(12,730)	6,315	10,450	60,119	675	32,781	290,275
კუმულატიური ლიკვიდობის პოზიცია	192,792	180,063	186,378	196,828	256,946	257,622	290,403	-

როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანიას აქვს ჯანსაღი ლიკვიდობა. მისი აქტივების და ვალდებულებების უმეტესობა არის 1 წლამდე და კომპანიის კუმულატიური ლიკვიდობა 1 წლის ფარგლებში დაახ. 257 მილიონი ლარია (ჯამურად, 290 მილიონი ლარი).

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის პოზიცია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით IFRS დათვლით 2021 და 2020 წლების ბოლოს მდგომარეობით:

აუდირებული	2021			2020		
	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	69,923	-	69,923	115,464	-	115,464
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,549	-	1,549	4,639	-	4,639
მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სესხები	346,006	20,410	366,416	290,962	15,035	305,997
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	-	-	-	883	-	883
აქტივის გამოყენების უფლება	-	6,829	6,829	-	5,695	5,695
ძირითადი საშუალებები	-	15,284	15,284	-	16,072	16,072
არამატერიალური აქტივები	-	154	154	-	57	57
სხვა აქტივები	22,842	-	22,842	11,745	-	11,745
სულ აქტივები	440,320	42,677	482,997	423,693	36,859	460,552
ვალდებულებები						
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	358	-	358	2,178	-	2,178
გამომწვეული მარტივი თამასუქები	121,448	-	121,448	112,590	-	112,590
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	1,095	-	1,095	-	-	-
ნასესხები სახსრები	93,002	2,442	95,444	110,166	3,418	113,584
საიჯარო ვალდებულება	1,744	5,270	7,014	997	4,673	5,670
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	1,435	1,330	2,765	360	1,667	2,027
სხვა ვალდებულებები	4,565	-	4,565	4,277	-	4,277
სულ ვალდებულებები	223,647	9,042	232,689	230,568	9,758	240,326

სავალუტო პოზიცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გამო არსებობს სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა აკონტროლებს სესხების გაცემით და დაფინანსების მიღებით ერთსა და იმავე ვალუტებში, ასევე უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებით განხორციელებულ გარიგებებში შესვლით.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით, განაწილებული ვალუტების მიხედვით (მოცემულია ეკვივალენტური თანხებით ლარში). მონაცემები წარმოდგენილია IFRS სტანდარტით.

2021 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35,750	16,368	12,537	3,037	2,231	69,923
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	1,549	-	-	-	1,549
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	340,086	27,041	326	-	-	367,453
სხვა ფინანსური აქტივები	(16)	2,685	2,186	592	-	5,447
სულ აქტივები	375,820	47,643	15,049	3,629	2,231	444,372
გამომწვეული მარტივი თამასუქები	(18,559)	(101,953)	(936)	-	-	(121,448)
ნასესხები სახსრები	(95,444)	-	-	-	-	(95,444)
საიჯარო ვალდებულება	(4,965)	(2,049)	-	-	-	(7,014)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(63)	(782)	(2,022)	6	-	(2,860)
სულ ვალდებულებები	(119,031)	(104,784)	(2,958)	6	-	(234,735)

რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	-82,126	71,607	10,161	-	-	(358)
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	174,663	14,466	22,252	3,635	2,231	209,279

2020 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27,155	20,570	63,940	2,907	892	115,464
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	3,000	-	1,639	-	-	4,639
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	262,661	43,457	544	-	-	306,662
სხვა ფინანსური აქტივები	-	2,126	1,957	288	-	4,371
სულ აქტივები	292,816	66,153	68,080	3,195	892	431,136
გამომწვეული მარტივი თამასუქები	(9,925)	(101,634)	(1,031)	-	-	(112,590)
ნასესხები სახსრები	(113,584)	-	-	-	-	(113,584)
საიჯარო ვალდებულება	(3,362)	(2,308)	-	-	-	(5,670)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(81)	(1,026)	(1,332)	6	-	(2,433)
სულ ვალდებულებები	(126,952)	(104,968)	(2,363)	6	-	(234,277)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	-	50,195	(52,373)	-	-	(2,178)
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	165,864	11,380	13,344	3,201	892	194,681

მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი				
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	63,443	53,662	73,575	59,740
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	229	791	920	751
სულ საპროცენტო შემოსავალი	63,671	54,452	74,495	60,491
საპროცენტო ხარჯი				
ნასესხები სახსრები	(7,666)	(7,018)	(9,506)	(7,225)
მარტივი თამასუქები	(5,354)	(4,715)	(6,640)	(5,638)
საიჯარო ვალდებულება	(577)	(392)	(561)	(330)
სულ საპროცენტო ხარჯი	(13,597)	(12,126)	(16,707)	(13,193)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	50,075	42,327	57,788	47,298
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემობრუნება	(729)	(156)	51	330
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ	49,346	42,171	57,839	47,628
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	5,698	5,285	7,204	6,064
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი):				
- სავალუტო ოპერაციები	8,074	6,964	9,908	9,171
- საკურსო სხვაობები	1,079	(158)	(1,016)	4,971
- ვალუტაში გამოსახული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	(576)	(3,174)	(5,046)	(2,525)
შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი	1,213	1,376	2,365	3,438
არასაპროცენტო შემოსავალი	15,487	10,293	13,415	21,119
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(10,040)	(8,284)	(13,638)	(11,371)

ცვეთა და ამორტიზაცია	(3,718)	(2,817)	(3,736)	(2,621)
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება	-	-	-	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,429)	(3,724)	(5,120)	(4,304)
არასაპროცენტო ხარჯი	(18,187)	(14,825)	(22,494)	(18,296)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	46,646	37,639	48,760	50,451
მოგების გადასახადის ხარჯი	(6,420)	(5,264)	(7,484)	(7,209)
წლის მოგება	40,226	32,375	41,276	43,242
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	40,226	32,375	41,276	43,242

შემოსავლები

„რიკო ექსპრესის“ შემოსავლების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში:

	2022 9m	წილი	2021 9m	წილი	2021	წილი	2020	წილი
საპროცენტო შემოსავლები გაცემული სესხებიდან	63,443	82%	53,662	80%	73,575	80%	59,740	79%
საპროცენტო შემოსავლები ბანკში განთავსებულ სახსრებზე	229	0%	791	1%	920	1%	751	1%
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	5,698	7%	5,285	8%	7,204	8%	6,064	8%
სავალუტო ოპერაციები	8,074	10%	6,964	10%	9,908	11%	9,171	12%
სულ შემოსავალი	77,443	100%	66,702	100%	91,607	100%	75,726	100%

კომპანიის შემოსავლების დაახ. 80%-ს შეადგენს სასესხო პორტფელზე დარიცხული პროცენტი.

2022 წლის 9 თვის განმავლობაში კომპანიის მიერ სესხებიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავლებმა 63,443 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 18%-იანი ზრდა იყო. აღნიშნული ზრდა შესაბამისობაშია კომპანიის საკრედიტო პორტფელის ზრდის მაჩვენებელთან.

2021 წელს შპს „რიკო ექსპრესის“ სესხებიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა 73,575 ათასი ლარი შეადგინა, რაც 23.2%-ით აღემატებოდა წინა წლის შედეგს, როდესაც გაყიდვებმა 59,740 ათასი ლარი შეადგინა. ამ წელს პორტფელი დაახ. 20%-ით იყო გაზრდილი, რაც გახდა შემოსავლების ზრდის მთავარი წყარო.

ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლები 7%-დან 10%-მდე მერყეობს. 2022 წლის 9 თვეში ამ შემოსავალმა 5,698 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით მცირედი (2%) -ით კლება იყო. ხოლო 2021 წელს გზავნილებიდან მიღებული შემოსავლები 7,204 ლარს შეადგენდა, რაც 2020 წლის მაჩვენებელზე 19%-ით იყო გაზრდილი.

სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები 10%-ის ფარგლებშია და 2022 წელს 8,074 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16%-იანი ზრდა იყო. 2021 წელს ამ შემოსავალმა 9,908 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2020 წელთან მიმართებაში 19%-იანი ზრდა იყო.

შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი - 2022 წლის 9 თვეში დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან მიღებული 1,213 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წელს ეს შემოსავალი 2,365 ათასი ლარი იყო (2020 წელს 3,438 ათასი ლარი).

ხარჯები

კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი ხარჯია საპროცენტო ხარჯი. 2022 წლის 9 თვეში კომპანიის ხარჯმა 13,597 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით 12%-იანი ზრდა იყო. პორტფელის ზრდის პარალელურად კომპანიის ნასესხები სახსრები 17%-ით გაიზარდა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ზრდა ნომუნალურად.

2021 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 16,707 ათასი ლარი იყო (27%-იანი ზრდა 2020 წლის 13,193 ათას ლართან მიმართებაში).

კომპანიის საერთო მოგების მარჟა წლების განმავლობაში სტაბილურია 77%-ის ფარგლებში (იხ. „ფინანსური კოეფიციენტები“).

როგორც აღინიშნა, კომპანია სავალუტო რისკების ჰეჯირებისთვის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს. 2022 წლის 9 თვეში ჰეჯირებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა 576 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წლის 9 თვეში ეს ხარჯი 3,174 ათასი ლარი იყო. 2021 წელს ჰეჯირების ხარჯებმა 5,046 ათასი ლარი შეადგინა (2020 წელს 2,525 ათასი ლარის ხარჯი). აღნიშნული მონაცემები მოგება-ზარალის უწყისში გვხვდება მუხლში - „ვალუტაში გამოსახული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები“.

2022 წლის 9 თვეში კომპანიას დადებითი საკურსო სხვაობა ჰქონდა 1,079 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია ლარის გამყარებით (კომპანიას თამასუქების ნაწილი გამოშვებული აქვს ვალუტაში). 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში საკურსო ზარალი 158 ათასი ლარი იყო, ხოლო 2021 სრულ წელზე 1,016 ათასი ლარის ზარალი.

კომპანიის სხვა ხარჯები მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(10,040)	(8,284)	(13,638)	(11,371)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,718)	(2,817)	(3,736)	(2,621)
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება	-	-	-	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,429)	(3,724)	(5,120)	(4,304)
არასაპროცენტო ხარჯი	(18,187)	(14,825)	(22,494)	(18,296)

სხვა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში შედის კომუნალური მომსახურების, ტექნიკური მომსახურების, საკონსულტაციო, დაცვისა და უსაფრთხოები და სხვა ხარჯები. ეს ხარჯები სტაბილურად კომპანიის საპროცენტო შემოსავლის დაახლოებით 30%-ს შეადგენს.

ფულადი ნაკადების უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მიღებული პროცენტი	62,978	53,480	73,436	59,349
გადახდილი პროცენტი	(15,234)	(12,365)	(16,772)	(12,672)
შემოსულობა დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვიდან	22,345	2,901	5,158	6,375
შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ვაჭრობის ოპერაციებიდან და უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებიდან	8,074	1,857	3,042	8,398
ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი	5,698	5,836	7,204	6,064
მიღებული სხვა შემოსავალი	973	1,217	348	129
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(9,287)	(7,659)	(12,808)	(10,669)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,800)	(4,020)	(5,459)	(4,109)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	70,748	41,246	54,149	52,865
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში				
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(71,926)	(62,407)	(74,947)	(42,728)
სხვა აქტივები	(11,246)	1,765	469	261
სხვა ვალდებულებები	2,317	(1,438)	(200)	626
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(10,107)	(20,835)	(20,529)	11,024

გადახდილი მოგების გადასახადი	(6,236)	(4,238)	(5,682)	(6,678)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(16,343)	(25,072)	(26,211)	4,346
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები				
საბანკო ანაზრების წმინდა თანხების გამოტანა (განთავსება)	(1,418)	(1,561)	3,090	(4,639)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,895)	(1,042)	(2,036)	(5,136)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	508	410	410	2,107
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(2,805)	(2,193)	1,464	(7,668)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
ამონაგები საწესდებო კაპიტალის ზრდიდან				-
ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები	98,794	111,300	140,300	101,830
ნასესხები სახსრების დაფარვა	(79,218)	(153,587)	(158,411)	(43,685)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(1,557)	(1,442)	(1,309)	(1,346)
(გადახდილი)/გამოშვებული მარტივი თამასუქები, წმინდა	(2,566)	14,063	14,758	(10,572)
გადახდილი დივიდენდები	(131)	(5,373)	(11,194)	(2,042)
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული) ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	15,322	(35,039)	(15,856)	44,185
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(3,126)	(2,187)	(4,938)	11,128
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება) ზრდა	(6,952)	(64,491)	(45,541)	51,991
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	69,923	115,464	115,464	63,473
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	62,971	50,973	69,923	115,464

ფული საოპერაციო საქმიანობიდან

2022 წლის 9 თვის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები (16,343 ათასი) ლარი იყო, რისი მიზეზიც გახდა სასესხო პორტფელის ზრდა. საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე მიღებულმა ფულადმა სახსრებმა დადებითი 70,748 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წლის 9 თვეში საოპერაციო საქმიანობაზე ფულადი გასავალი (25,072 ათასი) ლარი იყო, ხოლო საბრუნავის ცვლილებამდე კომპანიამ 41,246 ათასი ლარის საოპერაციო ფული მიიღო.

2021 წლის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობიდან ფულის გასავალმა (26.211 ათასი) ლარი შეადგინა. ხოლო 2020 წელს ეს თანხა დადებითი 4,346 ლარი იყო.

ფული საინვესტიციო საქმიანობიდან

2022 წლის 9 თვის განმავლობაში საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეულმა ხარჯებმა 2,805 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (2,193 ათასი ლარი) 28%-ით იყო გაზრდილი. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ძირითადი საშუალებების შეძენით, რაც კომპანიის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას გულისხმობს.

2021 წლის განმავლობაში საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადმა შემოსავალმა 1.464 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს ამ მიმართულებით 7.668 ათასი ლარის გასავალი ჰქონდა კომპანიას. 2021 წლის ამ მიმართულებით ნეტ შემოსავალი უკავშირდებოდა საბანკო ანაზრებიდან თანხის გამოტანას (მაშინ, როცა 2020 წელს და სხვა განხილულ პერიოდებში მოხდა ნეტ თანხების განთავსება).

ფული საფინანსო საქმიანობიდან

2022 წლის 9 თვეში ფინანსური საქმიანობიდან მიღებულმა თანხებმა 15,322 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წლის 9 თვეში კომპანიას ამ მიმართულებით გასავალი ჰქონდა - (35,039 ათასი) ლარის ოდენობით. კომპანია ბანკებისგან სარგებლობს საკრედიტო ხაზებით, რომლებიც საჭიროებისამებრ შესაძლოა აითვისონ/დაფარონ. „რიკო ექსპრესს“ გამოშვებული აქვს თამასუქები. ჯამში ნასესხები სახსრების ნეტ (თამასუქები და სესხები) მოძრაობა წლების განმავლობაში შემდეგი იყო:

ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
ნასესხები სახსრების მოძრაობა, ნეტ	17,010	(28,223)	(3,353)	47,573

გატანილი დივიდენდები:

ათასი ლარი	2022 9m	2021 9m	2021	2020
დივიდენდები	(131)	(5,373)	(11,194)	(2,042)

საბოლოო ჯამში, კომპანიაში ფულადი სახსრები 202 წლის 9 თვეში 6,953 ათასი ლარით შემცირდა. 2021 და 2020 წლებში კი შესაბამისად 45,541 ათასი ლარით შემცირდა და 51,991 ათასი ლარით გაიზარდა.

6.1. თუ ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ვერ აკმაყოფილებს სასესხო კონტრაქტის პირობებს, არღვევს კოვენანტებს უნდა მოხდეს ამ ფაქტის გამჟღავნება, ასევე მიეთითოს ინფორმაცია ამ კონტრაქტის დეტალების და პრობლემის გადაჭრის გზის შესახებ (რესტრუქტურისაცია);

მსგავს შემთხვევას არ აქვს ადგილი

6.2. მითითება იმის შესახებ, მოხდა თუ არა ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობა;

მსგავს შემთხვევას არ აქვს ადგილი

6.3. ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა

„კომპანია“ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში რეგულარულად იყენებს სასესხო პროდუქტებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. „კომპანიის“ მენეჯმენტის შეფასებით, „კომპანიის“ მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად საჭირო სასესხო პროდუქტები სრულად არის ხელმისაწვდომი. დაფინანსების დამატებითი საჭიროებების გაჩენის შემთხვევაში „კომპანია“ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მიმართავს ფინანსურ ინსტიტუტებს დაფინანსების მოსაძიებლად. „კომპანიას“ არ ჰქონია შემთხვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინსტიტუტებისგან ვერ მოეზიდა დამატებითი სახსრები.

6.4. ინფორმაცია 3.6.2. პუნქტში განხილული სამომავლო ინვესტიციებისთვის საჭირო სავარაუდო რესურსების შესახებ.

კომპანიის ფილიალების დამატების ტემპი დამოკიდებული იქნება ბაზრის მდგომარეობაზე, მომხმარებლის მოთხოვნაზე და სხვა ობიექტურ ფაქტორებზე. მომავალი ინვესტიციების დასაფინანსებლად, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს როგორც გარე რესურსები კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტების მოზიდვის სახით, ასევე შიდა მომგებიანობა.

7. მარეგულირებელი გარემო⁵

მიკროსაფინანსო სექტორი რეგულირდება შემდეგი კანონებითა და ნორმატიული აქტებით:

კანონის/რეგულაციის დასახელება	თარიღი	ბოლო ცვლილება
საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ	09/2009	11/2022
საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ	07/2006	11/2022
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე	05/2016	06/2018
მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე	02/2020	12/2022
საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე	08/2018	11/2022
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე	02/2018	04/2020
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ	04/2018	12/2020
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე	04/2018	12/2020
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ	07/2018	10/2019
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე	07/2018	არ აქვს
ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე	03/2021	10/2022
ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	03/2020	12/2022

საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ ძალაში შევიდა 2006 წელს. ამ კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დაარეგისტრიროს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 1 მილიონი ლარია. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას განუსაზღვროს საზედამხედველო კაპიტალი და აუკრძალოს გარკვეული საქმიანობები. ასევე, უკანასკნელი ცვლილების თანახმად, კანონში ჩაიწერა შესაძლო მხარეები, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ მსესხებლის შესახებ ინფორმაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მაქსიმუმ 100,000 ლარამდე მოცულობის სესხები გასცენ როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე. მეორე მხრივ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ დეპოზიტების მიღება ნებისმიერი წყაროდან, თუმცა დასაშვებია სახსრების მოზიდვა სესხების სახით.

⁵ ემიტენტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა, ასევე ინფორმაცია ნებისმიერი სამთავრობო, ეკონომიკური, ფისკალური ან მონეტარული პოლიტიკის, ან იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც მატერილური გავლენა მოახდინეს ან შეუძლიათ მოახდინონ ემიტენტის ოპერაციებზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ სესხების გაცემა და მიღება ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, ინვესტირება ფასიან ქალაქებში, სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება, ვალუტის გადაცვლის და ფულადი გზავნილების სერვისებისა და სხვა ფინანსური სერვისების შესრულება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ ობლიგაციების და თამასუქების გამოშვება, რეალიზაცია და გამოსყიდვა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ სხვა ბიზნეს საწარმოებში წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს.

კანონის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება; რომელიც ნასამართლევია იყო ეკონომიკური დანაშაულისთვის; წარსულში იყო ბანკის ან სხვა საფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი და მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად დააზარალა/გააკოტრა ეს ორგანიზაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი არ შეიძლება ჩართული იყოს სხვა ბანკების, მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ან საკრედიტო კავშირების მენეჯმენტში ან ფლობდეს მათ წილებს.

პირს ეკრძალება იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის 10%-ზე მეტი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია ტერორიზმის დაფინანსებისათვის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წილის (>10%) პოტენციურმა მყიდველმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს განაცხადი და მოთხოვნილი დოკუმენტები. საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას წილის მიყიდვაზე იღებს 15 სამუშაო დღის ვადაში.

ბრძანების თანახმად, რომელიც 2012 წელს შევიდა ძალაში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დაარეგისტრიროს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, გაუუქმოს მას რეგისტრაცია, ზედამხედველობა გაუწიოს და დააკისროს მას ჯარიმა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ოპერირება შეუძლია საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმატებით რეგისტრირების შემდეგ. საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრირების შესახებ აქვეყნებს 45 სამუშაო დღის ვადაში. გარდა ამისა, განმცხადებელს დამატებით ეძლევა 30 დღე საჭირო შესწორებების შესატანად. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან, სათავე ოფისსა და ყველა ფილიალში დაამონტაჟონ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

მიკროსაფინანსო კომპანიები ვალდებული არიან, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ თვიური ანგარიშგება და გამოაქვეყნონ კვარტალური ანგარიშგება საკუთარ ვებ-გვერდზე არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2016 წელს ძალაში შევიდა სპეციალური ბრძანება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსების რისკთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც 2017 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან წელიწადში ორჯერ წარადგინონ ანგარიში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შესახებ; ანგარიშში უნდა იყოს ინფორმაცია კლიენტების მოქალაქეობის, გარიგებების, მაღალი რისკის მატარებელი სესხების და კლიენტების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მფლობელების, უცხოეთში ფილიალების/შვილობილი ორგანიზაციების და სხვა საკითხების შესახებ.

თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვერ წარადგენს ზემოთ მითითებულ ანგარიშებს ან არ შეასრულებს სხვა მოთხოვნებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დააჯარიმოს იგი ან გაუუქმოს მას რეგისტრაცია. 2018 წლის აპრილში ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა ახალი ბრძანება მიკროსაფინანსო კომპანიების ლიკვიდაციის წესთან დაკავშირებით, რომელიც საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ დაუნიშნოს ლიკვიდატორი.

2017 წლის იანვრიდან ყველა საკრედიტო ინსტიტუტს მოეთხოვება, რომ მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდეს კრედიტის 100%-ს, ხოლო წლიური საჯარიმო სანქცია არ აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირი თანხის 150%-ს.

2018 წლის ივლისში კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა შემცირდა 50%-მდე, ხოლო საჯარიმო სანქციების მაქსიმალური წლიური ჯამური მოცულობა კრედიტის ნარჩენი ძირი თანხის 100%-მდე. საქართველოს ეროვნული ბანკი მონიტორინგს უწევს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ამ მოთხოვნების შესრულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2017 წლის იანვარში შეტანილი ცვლილების თანახმად, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100,000 ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოეშობა ამ ნაწილის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100,000 ლარზე ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს აღნიშნული ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.

მეორე რეგულაცია, რომელიც 2017 წლის იანვარში შევიდა ძალაში, ეხებოდა მთავრობის ე.წ. „ლარიზაციის“ პროგრამას. რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე 100,000 ლარამდე ოდენობის ნებისმიერი სესხი გაცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში. 2018 წელს აღნიშნული ზღვარი 200,000 ლარამდე გაიზარდა.

2018 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა 2 ახალი ბრძანება. პირველი ბრძანება შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციასა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესს, ხოლო, მეორე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას.

მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც ძალაში 2019 წლის იანვრიდან შევიდა, შეეხება პასუხისმგებლიან დაკრედიტებას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ სხვა სუბიექტებს დაევალიათ ინდივიდებზე სესხების გაცემა მხოლოდ გარკვეული მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის: სესხის გამცემ სუბიექტებს დაეკისრათ ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობის შესწავლის ვალდებულება (გარდა სესხის რესტრუქტურისა/რეფინანსირების შემთხვევებისა), ასევე, დებულების შემდგომი დამატებით, მათ მიეცათ უფლება სესხის გაცემის პროცესში გამოეყენებინათ მხოლოდ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდოლოგიები. გარდა ამისა, სესხებზე, რომლებზეც ვრცელდება დებულების მოთხოვნები, დამტკიცდა სესხის უზრუნველყოფისა და მომსახურების კოეფიციენტები. სესხის მომსახურების კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი	არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტრაქტო შენატანების შემთხვევაში	ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტრაქტო შენატანების შემთხვევაში
<1000	20% / 25%	25% / 35%
>=1000-2000<		35% / 45%
>=2000-4000<	25% / 30%	45% / 55%
>=4000	30% / 35%	50% / 60%

თუმცა, 2020 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალი რეგულაცია მიიღო, რომლითაც:

- სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი (ლარი ან მისი ეკვივალენტი უცხოური ვალუტით)	სესხი უცხოური ვალუტით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შემოსავალიც იმავე ვალუტაშია)	სესხი ლარით (ან უცხოური ვალუტით თუ მსესხებლის შემოსავალი იმავე ვალუტაშია)
<1,500	20%	25%
>=1,500	30%	50%

- კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუწესდათ კორპორაციული მართვის მოთხოვნები, კერძოდ, „დაცვის სამი ხაზის“ (ბიზნესის ხაზი, რისკების მართვის ფუნქცია და შიდა აუდიტი) პრინციპების გამოყენებით, დაევალოთ რისკების მართვა და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების უზრუნველყოფა.

ასევე, 2019 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუწესდათ კაპიტალის კოეფიციენტების ლიმიტები, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №143/04 ბრძანების მიხედვით. ლიმიტები შემოღებულია ორი მიდგომით, სტანდარტული და არასტანდარტული. სტანდარტულის მიხედვით, კომპანიის კაპიტალის კოეფიციენტი უნდა იყოს $\geq 18\%$ –სა, ხოლო არასტანდარტულის შემთხვევაში – $\geq 24\%$ –სა. სტანდარტულ და არასტანდარტულ მიდგომებს განასხვავებს საზედამხედველო კაპიტალის თუ რა წილს შეადგენს ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები. თუ კომპანიის მიერ ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები, მათ შორის ობლიგაციებით მოზიდული სახსრები საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე ნაკლებია, მაშინ კომპანია ხვდება სტანდარტულ ლიმიტებში, ხოლო, თუ საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს აჭარბებს აღნიშნული წყაროებიდან მოზიდული სახსრები, მაშინ არასტანდარტულ ლიმიტებში.

გარდა უშუალოდ მიკროსაფინანსო სექტორისათვის დამახასიათებელი რეგულაციებისა, ემიტენტის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი საკანონმდებლო ჩარჩო:

ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები

ემისიის შედეგად, კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და შესაბამისად, მასზე სრულად გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით მსგავსი სუბიექტებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები.

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა სასესხო ფასიანი ქაღალდები ან რომლის სასესხო ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას

„ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროს:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმო აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და შეზღუდვებს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, ემიტენტი ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6-ე პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

მეწარმეთა შესახებ კანონი

2022 წლის 1 იანვრიდან სრულად ამოქმედდა მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა კორპორაციული ურთიერთობები და შესაბამისად, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს კომპანიის ყოველდღიურ მართვასა და ფუნქციონირებაში. კერძოდ:

1. გაჩნდა სადამფუძნებლო შეთანხმების ცნება და კანონის შესაბამისად განახლებულ/დამტკიცებულ წესდებასთან ერთად, იგი სავალდებულო სარეგისტრაციო დოკუმენტია;
2. აიკრძალა ერთნაირი ან მსგავსი დასახელების ორი სუბიექტის რეგისტრაცია;
3. დაწესდა რეგულაციები საქმიანი წერილისა და ვებ-გვერდის თაობაზე და განისაზღვრა, რომ კომპანიის ყველა საქმიანი წერილი, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს მითითებას კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდის, მისამართის და საფირმო სახელწოდების თაობაზე;
4. მეწარმეებთან საკომუნიკაციოდ და ელ. სერვისების მისაწოდებლად მარეგისტრირებელმა შექმნა ელ. პორტალი. ელექტრონულ მისამართად უწოდებენ ამ ელ. პორტალზე არსებულ მეწარმის ავტორიზებული მომხარებლის გვერდს, რომელზედაც შესაძლოა განხორციელდეს ოფიციალური შეტყობინებები;
5. ირექტორის ცნება აღარ გვხვდება. მის ნაცვლად კი გაჩნდა ტერმინი - ხელმძღვანელი ორგანო/ხელმძღვანელი პირი. მოხდა მნიშვნელოვანი დაკონკრეტება ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობის ნაწილში;
6. სიახლეს წარმოადგენს ასევე სასამსახურო ხელშეკრულება. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ (რაც საკმარისია ხელმძღვანელი პირისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მისანიჭებლად) - პარალელურად შპს / სს / კოოპერატივის და ხელმძღვანელ პირს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება. ასეთ ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები;
7. დაწესდა ახალი შეზღუდვა დივიდენდის განაწილებაზე: დივიდენდის პარტნიორებზე განაწილება დაუშვებელია, თუ დიდია ალბათობა, რომ ამის შედეგად შპს მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში ვერ შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების ჩვეულებრივი ან/და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შესრულებას. ასევე დაუშვებელია დივიდენდის პარტნიორებზე განაწილება, თუ ამის შედეგად შპს-ს აქტივები ვეღარ დაფარავს ვალდებულებებსა და განთავსებული კაპიტალის ოდენობას;
8. საკანონმდებლო დონეზე იქნა შემოღებული საზოგადოებისან პარტნიორის გასვლისა და პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა.

გადახდისუუნარობა

საქართველოში საწარმოთა (გარდა კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების და სადაზღვევო კომპანიების) გადახდისუუნარობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, კერძოდ 2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ. ახალი კანონით ჩნდება კრიზისში მყოფი საწარმოების ეფექტიანი და ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული რესტრუქტურისაციის ახალი შესაძლებლობები.

კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიუღწევლობის შემთხვევაში - გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით

მიღებული თანხების განაწილებით. ახალი კანონი ორიენტირებულია მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობაზე, გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნება - გაზრდაზე და მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარ მოპყრობაზე. კანონის შესაბამისად „ობლიგაციების“ ინვესტორები ჩაითვლებიან არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად, ყოველგვარი პრეფერენციის გარეშე და დაკმაყოფილების მხრივ განთავსდებიან მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორთა რიგში.

აღსანიშნავია, რომ კანონი ეხება სუბიექტთა შეზღუდულ წრეს და თავისი სფეროდან გამორიცხავს კომერციულ ბანკებს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხსაც სპეციალური კანონმდებლობა აწესრიგებს. შესაბამისად, ზოგადად, სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების უმეტესობის გადახდისუუნარობას აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა და მასზე არ ვრცელდება კანონი რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი.

თუმცა, არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ვაკუუმი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ პროცესს არ აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა. თუმცა, არსებობს სასამართლო პრაქტიკა, როდესაც სასამართლომ უარი თქვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნარობის პროცედურის გახსნაზე იმ მოტივით, რომ იგი სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული რეგულირებული სუბიექტია და შესაბამისად, ჩაითვალა, რომ მასზე არ უნდა გავრცელდებოდა ჩვეულებრივი სამეწარმეო სუბიექტებისთვის შექმნილი წესები.

8. ინფორმაცია ტენდენციების შესახებ

8.1. პროდუქციის წარმოების, გაყიდვებისა და მარაგების, დანახარჯებისა და გასაყიდი ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი ტენდენციები ფინანსური წლის ბოლოდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე;

სექტორის ტენდენციების შესახებ ინფორმაცია, გთხოვთ, იხილოთ თავში „მარეგულირებელი გარემო“ და „გასაღების ბაზრები“.

8.2. არსებობის შემთხვევაში, ბოლო აუდირებული ანგარიშგებების თარიღიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე ემიტენტის/მისი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში და პერსპექტივებში გამოვლენილი მატერიალური უარყოფითი ცვლილებების აღწერა;

მატერიალურ უარყოფით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

8.3. ინფორმაცია უკვე ცნობილი ტენდენციების, გაურკვევლობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე სულ მცირე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში.

მიმდინარედ არ არის რაიმე უკვე ცნობილი ტენდენცია ან მოვლენა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის საქმიანობაზე.

9. მოგების პროგნოზი და ვარაუდები

9.1. თუ ემიტენტი აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების მაჩვენებლებს, ეს მაჩვენებელი უნდა ჩართოს რეგისტრაციის დოკუმენტში. ის უნდა იყოს გარკვეული და არაორაზროვანი და უნდა მოიცავდეს იმ ძირითად დაშვებებს, რომელიც ემიტენტმა გამოიყენა მოგების პროგნოზირებისთვის.

- ა) ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს დაშვებები და ფაქტორები, რომლებზეც კომპანიის მენეჯმენტს, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ და ფაქტორები, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელი არიან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან.
- ბ) დაშვებები უნდა იყოს ინვესტორთათვის გასაგები, დასაბუთებული, კონკრეტული და ზუსტი.
- გ) ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმ განუსაზღვრელ მოვლენებზე, რომლებმაც შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინონ პროგნოზირებულ შედეგზე;

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

9.2. მითითება, რომ:

- ა) მოგების პროგნოზირებისთვის გამოყენებული აღრიცხვის მეთოდები შეესაბამება ემიტენტის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკასა და აღწერილ დაშვებებს;
- ბ) მოგების საპროგნოზო მაჩვენებლები მომზადებულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებთან შესადარისობის პრინციპით.

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

10. მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები

10.1. ქვემოთ ჩამოთვლილი პირების სახელები, იურიდიული მისამართები და ფუნქციები:

კომპანიის მმართველო ორგანოებია: (ა) ერთპიროვნული პარტნიორი; (ბ) სამეთვალყურეო საბჭო; და (გ) აღმასრულებელი დირექტორი.

კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორია ქ-ნი დალი ურუშაძე, შესაბამისად, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და კომპანიის წესდების მიხედვით, მის კომპეტენციაში შემავალ კორპორაციული მართვის საკითხებზე დგება ერთპიროვნული პარტნიორის გადაწყვეტილება - არ არის საჭირო პარტნიორთა კრების მოწვევა და/ან მისი ჩატარება. აღნიშნული საკითხებია:

- კომპანიის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობის განსაზღვრა და მათი დანიშვნა;
- იმ დამატებით უფლებათა გამოყენება, რომელიც კომპანიას აქვს დაფუძნებიდან ან მართვიდან გამომდინარე აღმასრულებელი დირექტორის და/ან პარტნიორის მიმართ, აგრეთვე კომპანიის წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომელსაც იგი აღმასრულებელი დირექტორის წინააღმდეგ წარმართავს;
- წლიური შედეგების დამტკიცება და განკარგვა;
- დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის წესდება შედგენილია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის მიღების შემდეგ და შესაბამისად, ითვალისწინებს საჭირო საკანონმდებლო მოთხოვნებს.

„ემიტენტის“ მმართველი ორგანოების დანარჩენი წევრები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ლაშა ნიკოლაიშვილი
 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები - ვლადიმერ შავლაყაძე, დავით შენგელია
 სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - ანა ნიკოლაძე
 აღმასრულებელი დირექტორი - თამარ გოგოძე

ბ) 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერები;

კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია დალი ურუშაძე.

გ) ინფორმაცია ზემოთჩამოთვლილ პირებს შორის ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით;

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის ერთპიროვნული მფლობელის შვილი. ჩამოთვლილ პირებს შორის სხვა ნათესაური კავშირი არ არსებობს.

10.2. პუნქტში ჩამოთვლილი პირების შესაბამისი გამოცდილებისა შესახებ ინფორმაცია და შემდეგი მონაცემები:

ქ-ნი დალი ურუშაძე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ერთპიროვნულ პარტნიორს.

ქ-ნ დალი ურუშაძეს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება მთავარი მენეჯერის მარტვაში. იგი წარმოადგენს ემიტენტის ერთპიროვნულ პარტნიორს მისი დაფუძნების დღიდან. გარდა ემიტენტისა, იგი ასევე ერთპიროვნული პარტნიორია შპს „რიკო“-სი, რომელიც 2007 წლიდან დღემდე წარმატებულად საქმიანობს.

ბ-ნი ლაშა ნიკოლაიშვილი წარმოადგენს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და აგრეთვე არაერთი კომპანიის ერთპიროვნულ დამფუძნებელს (მათ შორისაა შპს „რიკო ფი“, შპს „რიკო კრედიტი“ და სხვ.). ბ-ნი ლაშას გააჩნია თითქმის ოცწლიანი გამოცდილება საფინანსო სექტორში აქტიური მოღვაწეობისა, მათ შორის, მმართველ პოზიციებზე. „ემიტენტის“ დაფუძნების დღიდან ბ-ნი ლაშა აქტიურად ჩართულია მის მარტვაში და, სამეთვალყურეო საბჭოსთან და „ემიტენტის“ მენეჯმენტის გუნდის სხვა წევრებთან ერთად განსაზღვრავს „ემიტენტის“ განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.

ქ-ნი თამარ გოგოძე წარმოადგენს საფინანსო სექტორში მომუშავე გამოცდილ მენეჯერს, რომელიც, „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, მრავალი წელია წარმატებით ართმევს თავს „ემიტენტის“ ყოველდღიური მართვის ამოცანების შესრულებას.

ბ-ნი ვლადიმერ შავლაყაძე წარმოადგენს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. მას აქვს მიკროსაფინანსო სექტორში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. ბ-ნი ვლადიმერი შპს „რიკო კრედიტს“ შეუერთდა 2003 წელს საინფორმაციო ტექნიური განყოფილების უფროსად, 2007 წლიდან კი წარმოადგენს ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს.

ბ-ნი დავით შენგელია წარმოადგენს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. მას აქვს მიკროსაფინანსო სექტორში მუშაობის 22 წლიანი გამოცდილება. ბ-ნი დავითი შპს „რიკო კრედიტს“ შეუერთდა მენეჯერის პოზიციაზე. 2004-დღემდე არის რიკო ექსპრესის საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი, 2018 წლიდან დღემდე კი წარმოადგენს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს.

ქ-ნი ანა ნიკოლაძე წარმოადგენს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრს. მას აქვს 10 წლიანი გამოცდილება საბანკო სექტორში. 2018 წლიდან დღემდე არის სს „ლიბერთი ბანკის“ კორპორატიული ბანკინგის უფროსი, 2012-2018 წლებში მართავდა ტერაბანკის იგივე განყოფილებას. 2007-დან 2012 წლებში მუშაობდა Kor Standard Bank-ში სხვადასხვა პოზიციებზე. ქ-ნი ანა 1993-2003 და 2003-2005 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსებისა და საბანკო საქმის განხრით, 2007-2010 წლებში სწავლობდა ESM-ში, სადაც მოპოვებული აქვს MBA, 2017 წელს კი გავლილი აქვს პროექტების მენეჯმენტის კურსი George Washington University-ში.

ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე;

პირი	თანამდებობა რიკო ექსპრესში	კომპანიის დასახელება, რომლის მენეჯმენტის/დირექტორის საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციასაც იკავებდა პირი ბოლო 5 წლის მანძილზე
ლაშა ნიკოლაიშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი: "შპს ჰოლდინგი 1", ს.ნ. 405098166 დირექტორი: „შპს ჰოლდინგი 2“, ს.ნ. 405110124 დირექტორი: „შპს ჰოლდინგი 3“, ს.ნ. 405118297 დირექტორი: „შპს რანჩო რიკო“, ს.ნ. 405409302 დამფუძნებელი, დირექტორი (მიმდინარე წელს დირექტორი არ არის) შპს რიკო კრედიტი ს.ნ. 204933484 დამფუძნებელი, დირექტორი (მიმდინარე წელს დირექტორი არ არის) შპს რიკო ფეი ს.ნ. 405413529 დამფუძნებელი, დირექტორი (მიმდინარე წელს დირექტორი არ არის) შპს რიკო ინტერნეიშენალი ს.ნ. 204871754

სხვა პირების შემთხვევაში მსგავს შემთხვევას არ ჰქონია ადგილი.

ბ) არსებობის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის მანძილზე გამოვლენილი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტების შესახებ ინფორმაცია; მსგავს შემთხვევას არ ჰქონია ადგილი

გ) არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე იმ კომპანიების გაკოტრების, ლიკვიდაციის შესახებ, რომელშიც ამ პირებს ეკავათ ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობები;

მსგავს შემთხვევას არ ჰქონია ადგილი

10.3. ინტერესთა კონფლიქტი

10.3.1. 10.1. „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი პირების კერძო და ემიტენტთან დაკავშირებულ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს შორის არსებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, ან იმის მითითება, რომ მსგავს კონფლიქტს ადგილი არ აქვს;

იმის გათვალისწინებით, რომ „ემიტენტის“ ერთპიროვნული დამფუძნებლის შვილი წარმოადგენს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, „ემიტენტმა“ მიიღო ზომები ყველა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის მიტიგაციის მიზნით. კერძოდ, „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეიქმნა საკონსულტაციო ორგანო - აუდიტის კომიტეტი - რომელიც ყოველდღიური საქმიანობა, მათ შორის, მიმართულია „ემიტენტთან“ არსებული ყველა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის, გამოვლენისა და მიტიგაციისაკენ.

10.3.2. 10.1 პუნქტში ჩამოთვლილ პირებსა და ძირითად აქციონერებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის ნებისმიერი შეთანხმების აღწერა, რომლის შემდეგაც 10.1. პუნქტში მითითებული ნებისმიერი პირი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წევრად;

მსგავს შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია.

10.3.3. 10.1. პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიმართ არსებული შეზღუდვის დეტალები ემიტენტის ფასიან ქაღალდებში მათი წილების გასხვისებასთან დაკავშირებით;

მსგავს შეზღუდვებს ადგილი არ აქვს.

10.4. ამ პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა და ე.წ. დამატებითი ბენეფიტები.

ტრანზაქციები (ლარი)	2022 9m	2021	2020
ჯამურად სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და დირექტორატზე გადახდილი ანაზღაურება	1,086,375	1,791,500	1,618,838
დამფუძნებელზე გადახდილი დივიდენდები	130,978	11,194,347	2,038,006

11. მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა

11.1. დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმდინარე კონტრაქტის ვადის ამოწურვის თარიღი და კომპანიაში მუშაობის პერიოდი. მათი ძირითადი საქმიანობის აღწერა;

„ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ირჩევიან 3 (სამი) წლის ვადით და მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭო თავად ირჩევს თავმჯდომარეს საკუთარი შემადგენლობიდან. დღეის მდგომარეობით ბ-ნი ლაშა ნიკოლაიშვილი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს.

სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ორგანო „ემიტენტის“ მართვისა. მხოლოდ მისი თანხმობით შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების განხორციელება:

- „ემიტენტის“ საქმიანობის, პოლიტიკის, სტრატეგიის, პროცედურების, შინაგანაწესის, სტრუქტურის, საშტატო განრიგის, დებულებების, ინსტრუქციების და ა.შ. დამტკიცება;
- ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა, მასთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა, მისი ანგარიშების გასხვისება;
- იმ აქტივების შეძენა და გასხვისება, რომელთა ღირებულებაც აღემატება საწესდებო კაპიტალის 1%-ს;
- იმ სესხებისა და ვალდებულებების აღება, რომელთა ოდენობაც აღემატება საწესდებო კაპიტალის 1%-ს;
- პროკურის გაცემა და გაუქმება;
- რეკომენდაციების მომზადება პარტნიორის გადაწყვეტილებისათვის;
- გარე აუდიტორის არჩევა და სხვ.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც, თუმცა ფაქტობრივად, იგი გაცილებით უფრო ხშირად იკრიბება (თვეში ორჯერ) და ჩართულია „ემიტენტის“ ყოველდღიური საქმიანობის მიმდინარეობისას დასახული ამოცანების და პრობლემემატიკის ამოხსნაში, აღმასრულებელ დირექტორთან ერთად და სხვა პასუხისმგებელ ოფიცრებთან ერთად.

	კომპანიაში მუშაობის გამოცდილება, წლები	კონტრაქტის ვადიანობა, წლები	კონტრაქტის ვადის გასვლის წელი
თამარ გოგოძე	16	3 წელი	2026 მარტი
ლაშა ნიკოლაიშვილი	16	3 წელი	2026 მარტი
ვლადიმერ შავლაყაძე	16	3 წელი	2026 მარტი
დავით შენგელია	5	3 წელი	2026 მარტი
ანა ნიკოლაძე	-	3 წელი	2026 მარტი

დირექტორის ძირითადი მოვალეობების აღწერა:

- დირექტორის მოვალეობაში შედის კომპანიის მართვა და მე-3 მხარეებთან ურთიერთობა. კომპანიას ყავს 1 დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;
- დირექტორს აქვს წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებები კომპანიაში;

- დირექტორს აქვს უფლებამოსილება აწარმოოს კომპანიის ყოველდღიური მართველობა, ისევე როგორც მართოს გარკვეული საკითხები, რაც არ არის კონკრეტულად მინიჭებული დამფუძნებელთა კრებისთვის ან სამეთვალყურეო საბჭოსთვის;

11.2. ინფორმაცია ემიტენტის აუდიტისა და ანაზღაურების კომიტეტების შესახებ, რომელიც მოიცავს კომიტეტის წევრების სახელებსა და კომიტეტის საქმიანობის აღწერას;

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი ორი სათათბირო კომიტეტი: აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი. ხსენებული კომიტეტების წევრებსა და ხელმძღვანელებს ნიშნავს, მათ ფუნქციებს განსაზღვრავს და შესაბამის შიდა სახელმძღვანელოებს ამტკიცებს „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო.

აუდიტის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელსაც ჰყავს არანაკლებ 1 (ერთი) დამოუკიდებელი წევრი. მის ხელმძღვანელად ინიშნება აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და საქმიანობის სპეციფიკა განისაზღვრება აუდიტის კომიტეტის სახელმძღვანელოთი, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო „კომპანიის“ წესდების შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს: 1) სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ; 2) სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად წარუდგინოს საქმიანობის შესახებ ანგარიში და დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ; 3) გააკონტროლოს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთი აუდიტის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. მათ შორის, ზედამხედველობა გაუწიოს: ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს; ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას; გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით; დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

„კომპანიის“ აუდიტის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი 3 (სამი) წევრისაგან: აუდიტის კომიტეტის წევრი: ლაშა ნიკოლაიშვილი (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01008005122); აუდიტის კომიტეტის წევრი: დავით შენგელია (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01011034752); აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე: ანა ნიკოლაძე (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01001015586).

რისკების კომიტეტი

„კომპანიის“ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი რისკების კომიტეტი. რისკების კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს: 1) პერიოდულად განიხილოს და გაუწიოს რეკომენდაცია მენეჯმენტს რისკის აპეტიტის პარამეტრების შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყენოს მენეჯმენტმა კომპანიის ოპერირებაში; 2) მიიღოს ინფორმაცია კომპანიის ბიზნეს პრაქტიკის, პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ რისკებთან დაკავშირებით; 3) შედეგების მონიტორინგი კომპანიის რისკის აპეტიტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; 4)

რისკების მთავარი აღმასრულებელი პირისა და შესაბამისობის მთავარი აღმასრულებელი პირის რისკისა და შესაბამისობის ანგარიშების გადახედვა, მათ შორის, ანგარიშებს ძირითადი რისკების ზემოქმედების შესახებ და გადადგმული ნაბიჯები ასეთი ზემოქმედების მონიტორინგის, შერბილებისა და კონტროლისთვის; 5) პერიოდულად განიხილოს მენეჯმენტის მარეგულირებელი კორესპონდენცია და ქმედებები; 6) კომპანიის სტრეს ტესტირების პროგრამისა და შედეგების განხილვა და დამტკიცება; 7) კომპანიის მენეჯმენტთან ერთად პერიოდულად განიხილოს რისკის პოლიტიკა და გადადგმული ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი პროცესები ამ პოლიტიკის განსახორციელებლად, ასევე კომპანიის მიმდინარე და განვითარებადი რისკების იდენტიფიცირება, გაზომვა, მონიტორინგი და კონტროლი. კომიტეტი არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს საბჭოს ნაცვლად ნებისმიერ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც კანონით, რეგულაციებით ან არსებული პოლიტიკით შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში.

„კომპანიის“ რისკების კომიტეტი შედგება შემდეგი 3 (სამი) წევრისაგან:

რისკების კომიტეტის წევრი: ლაშა ნიკოლაიშვილი (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01008005122);

რისკების კომიტეტის წევრი: ვლადიმერ შავლაყაძე (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01019010442);

რისკების კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე: ანა ნიკოლაძე (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01001015586).

11.3. კომპანიაში არსებული კორპორაციული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა და პროსპექტის რელევანტურ ნაწილებზე მითითება.

„ემიტენტის“ კორპორაციული სტრუქტურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისადმი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისადმი და ანგარიშვალდებული საწარმოსადმი. „ემიტენტს“ გააჩნია სამ საფეხურიანი მართვის სტრუქტურა, სადაც უზენაეს ორგანოს წარმოადგენს ერთპიროვნული დამფუძნებელი, ხოლო უშუალო მართვაში კი მეტწილად ჩართულია სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭო არის აქტიური კომპანიის მართვის საკითხებში და მისი თავმჯდომარე სილრმისეულადაა ჩახედული ყველა გამოწვევასა თუ ამოცანაში, რაც „ემიტენტს“ უდგას ჩვეული საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში. აღმასრულებელი დირექტორი ერთპიროვნულად უძღვება „ემიტენტის“ ყოველდღიურ მართვას, წარმოადგენს მას საქმიან ურთიერთობებში და ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასსხული ამოცანების იმპლემენტაციას.

„ობლიგაციების“ ემისიის შედეგად კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე გავრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N172/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის იანვრიდან. ემიტენტებმა უნდა წარადგინონ მმართველობის კოდექსის შესაბამისად მომზადებული წლიური ანგარიშგებები 2023 წლის საანგარიშო წლისთვის. მმართველობის კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“. აღნიშნული მიმართულია კორპორატიული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართო გამოყენების წახალისებაზე. კერძოდ, კოდექსის თანახმად, თითოეული საწარმოს მმართველობის პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს საქმიანობის პროფილს, მასშტაბს, კომპლექსურობას და უნდა გააჩნდეს საამისოდ გათვალისწინებული შიდა პოლიტიკის დოკუმენტები; თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს; საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან, საიდანაც მინიმუმ 2 წევრი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრული დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს და ა.შ.

12. თანამშრომლები

12.1. პროსპექტის თანდართული ფინანსური ანგარიშგებების თითოეული წლისთვის, წლის ბოლოს თანამშრომელთა რაოდენობის ან ფინანსური წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობის მონაცემები პროსპექტის შედგენის თარიღამდე (და შესაბამისი ცვლილებები ამ რაოდენობებში, თუკი მნიშვნელოვანია). თუ ემიტენტთან დასაქმებულია დროებითი თანამშრომლების მნიშვნელოვანი წილი, უნდა მოხდეს უახლესი ფინანსური წლისთვის მათი საშუალო რაოდენობის დაფიქსირება;

წელი	თანამშრომელთა რაოდენობა წლის ბოლოს
2019	461
2020	459
2021	501
2022	610

13. მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები)

13.1. ნებისმიერი პირის სახელი, რომელსაც 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილი აქვს ემიტენტის კაპიტალში, თითოეული ამ წილის ოდენობის დაკონკრეტებით;

წილის 100%-ის მფლობელია დალი ურუშაძე

13.2. იმ ფაქტის დაკონკრეტება, აქვთ თუ არა განსხვავებული ხმის უფლებები 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს (პარტნიორებს);

არ არის რელევანტური

13.3. ემიტენტისთვის ცნობილი ნებისმიერი გარიგების აღწერა, რომელიც უკავშირდება ემიტენტის კონტროლის სტრუქტურაში სამომავლო ცვლილებებს.

მსგავსი გარიგების შესახებ არ არის ცნობილი

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

14.1. წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებულ პერიოდებსა და პროსპექტის შედგენის თარიღამდე პერიოდის მანძილზე ემიტენტსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული შემდეგი დეტალები:

ა) ტრანზაქციების ბუნებისა და ხასიათის აღწერა, რომლებიც ცალკე მდგომი ან ჯამურად მატერიალურია ემიტენტისთვის. როდესაც ამგვარი ტრანზაქციები არაა განხორციელებული სამართლიანი საბაზრო ფასით, შესაბამისი მიზეზების აღწერა. სესხებისა და გარანტიების შემთხვევაში უნდა მიეთითოს დარჩენილი ძირის ოდენობა;

ბ) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების აბსოლუტური ოდენობა ან მისი ემიტენტის საერთო ბრუნვასთან შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე ნაშთები 2021 და 2020 წლების ბოლოს ასეთია:

აუდირებული (ათასი ლარი)

	2021			2020		
	პარტნიორი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	პარტნიორი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი საერთო სესხები	0	63	125	0	78	108
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	0	78	101	0	101	101
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	0	-58	-109	0	-116	-84
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხები	0	83	117	0	63	125
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	0	-1	0	-1	-1
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი წმინდა სესხები	0	83	116	0	62	124
სხვა აქტივები 1 იანვარს	0	0	765	0	0	0
სხვა აქტივების შესყიდვა წლის განმავლობაში	0	0	0	0	0	765
სხვა აქტივები 31 დეკემბერს	0	0	765	0	0	765
1 იანვარს დარჩენილი აქტივის გამოყენების უფლება	48	0	3,282	49	0	333
აქტივის გამოყენების უფლების შესყიდვა წლის განმავლობაში	0	0	1,747	67	0	3,039
სხვა მოძრაობები	0	0	0	0	0	231
მოდიფიცირების ეფექტი	262	0	39	262	0	0
გამოკლებული: ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	-62	0	-838	-69	0	-321
დაუფარავი გამოყენების უფლება 31 დეკემბერს	248	0	4,229	47	0	3,282
საიჯარო ვალდებულება 1 იანვრის მდგომარეობით	54	0	2,987	52	0	407
შესყიდვები	0	0	1,747	67	0	3,039
საიჯარო ვალდებულების გადახდა	-74	0	-894	-74	0	-867
საპროცენტო ხარჯი და	10	0	386	9	0	408
სხვა მოძრაობები						
მოდიფიცირების ეფექტი	262	0	39	0	0	0
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	253	0	4,264	54	0	2,987
ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით			4,329	0	0	5,000
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	0	0	-908	0	0	-709
საპროცენტო ხარჯი და სხვა მოძრაობები	0	0	35	0	0	38
ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	0	3,456	0	0	4,329
მარტივი თამასუქები 1 იანვრის მდგომარეობით	950	10,476	1,477	785	10,421	712
წლის განმავლობაში	7,417	52,438	2,447	799	36,274	1,631
გამოშვებული მარტივი თამასუქები						
წლის განმავლობაში	-858	-52,269	-2,579	-771	-36,033	-1,297
დაფარული მარტივი თამასუქები						
სხვა მოძრაობები	-106	-902	-493	137	-186	431
მარტივი თამასუქები 31 დეკემბერს	7,404	9,742	852	950	10,476	1,477

15. ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია

15.1. წლიური ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები უკანასკნელი 2 წლისთვის.

თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

წლიური ფინანსური ანგარიშგებები შეგიძლიათ იხილოთ თავში „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

15.2. ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო თარიღის შეცვლის შემთხვევა თუ ემიტენტმა შეიცვალა სააღრიცხვო თარიღი, წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა ფარავდეს სულ მცირე 24 თვეს. თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

„ემიტენტს“ არ შეუცვლია სააღრიცხვო თარიღი.

15.3. სააღრიცხვო სტანდარტი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს/IFRS) შესაბამისად.

15.4. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თუ ემიტენტი ამზადებს ორივეს - საკუთარ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ან ორივე მათგანი.

წარმოდგენილია ინდივიდუალური მონაცემები, კომპანია არ არის ჯგუფის წევრი.

15.5. წარდგენილი ფინანსური ინფორმაციით დაფარული პერიოდი

ბოლო ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილზე უფრო ადრინდელი:

ა) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 18 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს აუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას.

ბ) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 16 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს არააუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას;

„პროსპექტში“ წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

15.6. შუალედური და სხვა ფინანსური ინფორმაცია

15.6.1. თუ ემიტენტის მიერ ხდება კვარტალური ან ნახევარ-წლიური ანგარიშგების გამოქვეყნება ბოლო აუდირებული ანგარიშგების თარიღის შემდეგ, ისინი უნდა შედიოდეს სარეგისტრაციო დოკუმენტში. თუ კვარტალური ან ნახევარ-წლიური ფინანსური ინფორმაცია აუდირებულია, უნდა მოხდეს მისი თან დართვა. თუკი არა არის აუდირებული - მითითებულ უნდა იქნას ამის შესახებ;

„ემიტენტი“ აქვეყნებს კვარტალურ არააუდირებულ ანგარიშგებებს თავის ვებ-გვერდზე დოკუმენტების სექციაში ([დოკუმენტები | Rico Credit](#))

15.6.2. თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე ბოლო აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ 9 თვე ან მეტია გასული, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს შუალედურ ფინანსურ

ინფორმაციასაც, რომელიც შესაძლოა არ იყოს აუდირებული (ეს ფაქტი უნდა მიეთითოს) და ასევე უნდა მოიცავდეს მიმდინარე ფინანსური წლის სულ მცირე პირველი 6 თვის მონაცემებს.

შუალედური ფინანსური ანგარიშგებები უნდა მოიცავდეს წინა წლის შესაბამისი პერიოდის შესადარის მონაცემებს და შედგენილი უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

„პროსპექტი“ მოიცავს სრული 2021 წლის აუდირებულ მონაცემებს. ასევე, დართულია 2022 წლის 9 თვის არააუდირებული ფინანსური ანგარიშგებები. შუალედური ანგარიშები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

15.7. წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი⁶

კომპანიის 2020 და 2021 წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდირებულია და აუდიტორმა უპირობო დასკვნა გამოთქვა.

15.8. პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია

ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში (მაგ: შერწყმა, შესყიდვა), ტრანზაქციის ეფექტის აღწერა ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე ფინანსურ შედეგზე იმ დაშვებით რომ ის მოხდა ანგარიშგების საწყისი ან საბოლოო თარიღისთვის.

„კომპანიას“ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის შესყიდვის ან გაერთიანების გარიგებაში, რის გამოც პრო-ფორმა ფინანსური მონაცემების საჭიროება არ არის.

15.9. დივიდენდების პოლიტიკა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური ან ნახევარწლიანი მოგებიდან. დივიდენდის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების პარტნიორი \ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების საფუძველზე. არ არსებობს დივიდენდების განაწილების რაიმე შეზღუდვა, გარდა კომპანიის საბანკო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კოვენანტებისა.

2021 წელს კომპანიამ გამოაცხადა და პარტნიორს სრულად გადაუხადა 11,194 ათასი ლარის ოდენობის (2020 წ.: 2,038 ლარი) დივიდენდები.

15.10. სასამართლო პროცესები

გარდა ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი წვრილმანი და ერთეული შემთხვევებისა, კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასამართლო დავები.

16. დამატებითი ინფორმაცია

16.1. კაპიტალი

16.1.1. პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია პროსპექტში წარმოდგენილი უახლესი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის:

⁶ წლიური ფინანსური ანგარიშგებები შემოწმებულ უნდა იქნას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ის მომზადებული უნდა იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუ აუდიტის დასკვნა პირობითია, მოდიფიცირებული, უარყოფითი, უარი დასკვნაზე ან მოიცავს მნიშვნელოვანი გარემოების ხაზგასმას (emphasis of matter), უნდა მოხდეს ამგვარი უარის ან პირობების დეტალების და მათი მიზეზების ჩართვა პროსპექტის აღნიშნულ ნაწილში;ამასთან, არსებობის შემთხვევაში, ამავე ნაწილში უნდა მოხდეს მითითება, თუ პროსპექტში წარმოდგენილი რა ინფორმაციის დადასტურება მოხდა აუდიტის მიერ, გარდა აუდირებული ფინანსური ანგარიშგებისა;

განცხადებული კაპიტალის ჯამური ოდენობა; ამასთან, აქციის თითოეული კლასისთვის:

- ა) გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობა;
- ბ) გამოშვებული და ბოლომდე ანაზღაურებული ან გამოშვებული და ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა;
- გ) აქციების ნომინალური ღირებულება;
- დ) მათთან დაკავშირებული უფლებების, შეზღუდვების აღწერა.

კომპანიას არ აქვს გამოშვებული აქციები. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას და ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1,584 ათას ლარს.

- 16.1.2. იმ წილების რაოდენობა, საბალანსო ღირებულება და ნომინალი, რომლებსაც თავად ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ფლობს;

არ არის რელევანტური

- 16.1.3. ინფორმაცია აქციონერების უფლებებთან დაკავშირებით, ასევე განცხადებულ მაგრამ ჯერ არ გამოშვებულ კაპიტალთან ან კაპიტალის სამომავლო გაზრდასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.

კომპანიას არ გააჩნია განცხადებული მაგრამ ჯერ არ გამოშვებული კაპიტალი ან კაპიტალის სამომავლო გაზრდასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

17. მატერიალური ხელშეკრულებები

- 17.1. პროსპექტის შედგენამდე 2 წლის განმავლობაში დადებული თითოეული კონტრაქტის პირობების მიმოხილვა, რომელიც უკავშირდება არსებით (მატერიალურ) ფაქტს და რომლის მხარეცაა ემიტენტი ან მისი ჯგუფის ნებისმიერი წევრი;

„ემიტენტის“ ბიზნესოპერირების წარმატებული განხორციელებისათვის მას გააჩნია რამდენიმე ბიზნეს-ურთიერთობა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რაც, ღირებულების მიუხედავად, მატერიალურადაა მიჩნეული. ესენია:

- **ხელშეკრულებები ფულადი გზავნილების ოპერატორ სისტემებთან** - როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, „ემიტენტი“ სთავაზობს ფულადი გზავნილების მომსახურებას მის კლიენტებს, სხვა სასესხო და არასასესხო პროდუქტთან ერთად. დღესდღეისობით „ემიტენტის“ პარტნიორები არიან ფულადი გზავნილის სისტემები „რია“, „მანიგრამი“ და „ვესტერნ იუნიონი“. ხელშეკრულებები სამივე კონტრაგენტთან ძალაშია. ხელშეკრულებები არ რეგულირდება საქართველოს სამართლით და არ ექვემდებარება საქართველოს იურისდიქციის სასამართლოებს, თუმცა, მათი შეწყვეტისათვის სისტემის ოპერატორის მხრიდან აუცილებელია ხელშეკრულებებში გაწერილი მკაფიო საფუძვლის არსებობა. რუსეთ-უკრაინის ომის გავლენით, შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს „ვესტერნ იუნიონის“ ხელშეკრულების გაგრძელება, რადგან კონტრაგენტს გააჩნია სახელშეკრულებო უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ მისი შესრულება წინააღმდეგობაში მოვა რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან. თუმცა, ამ შემთხვევაში, „ემიტენტს“ რჩება ალტერნატიული პარტნიორები, რომელთაგან ორივე წარმოადგენს ამერიკულ კომპანიას.

საცავის დაზღვევის ხელშეკრულებები - „ემიტენტის“ საცავი და მასში მოთავსებული ნივთები წარმოადგენს ემიტენტის ბიზნესის უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ძირითადი საოპერაციო მიმართულებაა ძვირფასი ლითონებითა და ქვებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა (უზრუნველყოფა ინახება მფლობელობითი გირავნობის ფორმით „ემიტენტის“ საცავში). ემიტენტის საცავი დაზღვეულია სს სადაზღვეო კომპანია „ალდაგის“ ორი პოლისის ფარგლებში, ესენია: (ა) ომის, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის პოლისი (war, terrorism and political violence); და (ბ) ფიზიკური დანაკარგისა და განადგურების პოლისი (physical loss and/or destruction). ორივე პოლისი არის ძალაში 2023 წლის ივლისამდე და „ემიტენტის“ განზრახვაა გააგრძელოს დაზღვევა წყვეტის გარეშე იმავე ან სხვა რეკუტაბელურ მზღვეველთან, შეთავაზებული განფასების გათვალისწინებით. სადაზღვეო თანხის ოდენობაა 130,000,000 (ას ოცდახუთი მილიონი) აშშ დოლარი თითოეულ პოლისზე. ფიზიკური დანაკარგებისა და განადგურების პოლისის ფრანშიზა შეადგენს 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარს. თითოეულ პოლისს ახასიათებს ბაზრისათვის სტანდარტული გამონაკლისები (ასე მაგალითად, ფიზიკური დანაკარგისა და განადგურების პოლისი არ ფარავს ქურდობას ინსაიდერის მონაწილეობით), თუმცა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა მეტ-ნაკლებად სავარაუდო რისკი „ემიტენტის“ მიერ ადეკვატურადაა დაფარული.

- **ხელშეკრულებები კომერციულ ბანკებთან** - საკუთარი საქმიანობის ფარგლებში „ემიტენტი“, საოპერაციო და სხვა საჭიროებებისათვის, იღებს სესხებს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისაგან. დღეის მდგომარეობით, „ემიტენტს“ გააჩნია სხვადასხვა მოცულობის სესხი, რომელთა ოდენობები მითითებულია წინამდებარე პროსპექტის პუნქტში 5.1 (ფინანსური მდგომარეობა). ასეთი სესხების აბსოლუტური უმრავლესობა გაცემულია საკრედიტო ხაზის ფორმით და მათი პირობები სტანდარტულია ბაზრისათვის. სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში „ემიტენტს“ ნაკისრი აქვს სხვადასხვა ტიპის კოვენანტები, რომელთა დეტალური აღწერა მითითებულია ასევე პუნქტ 5.1-ში.

18. გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი⁷

გამოყენებული ანგარიშები:

- 2022 წლის 9 თვის არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება (ხელმისაწვდომია rico.ge-ზე და reportal.ge-ზე)
- 2020 და 2021 წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა; (ხელმისაწვდომია rico.ge-ზე და reportal.ge-ზე)
- Scope Ratings-ის საკრედიტო ანგარიში შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესისთვის“ B+ რეიტინგის მინიჭების შესახებ; (ხელმისაწვდომია scoperatings.com-ზე) ([Scope assigns MFO Rico Express LLC a first-time issuer rating of B+, Stable Outlook | Scope Ratings | European Rating Agency](#))
- საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები; (ხელმისაწვდომია nbg.ge-ზე)
- საქსტატის სტატისტიკური მონაცემები; (ხელმისაწვდომია geostat.ge-ზე)
- საქართველოს საფონდო ბირჟის სტატისტიკური მონაცემები; (ხელმისაწვდომია gse.ge-ზე)
- მსოფლიო ბანკის კვლევითი ანგარიში (ხელმისაწვდომია openknowledge.worldbank.org-ზე)
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეს რილიზები (www.imf.org)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის ანალიტიკური მონაცემები (ww.mof.ge)
- გირავნობის ხელშეკრულება
- თითოეული „რეგისტრირებული მფლობელი“ უფლებამოსილია გაეცნოს გირავნობის ხელშეკრულებას და „განთავსების აგენტისგან“ მოითხოვოს აღნიშნული ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით მისთვის მიწოდება, ასეთი მოთხოვნის დაყენებიდან 10 (ათი) „სამუშაო დღის“ ვადაში. კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულება
- თითოეული „რეგისტრირებული მფლობელი“ უფლებამოსილია (i) გაეცნოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „ემიტენტის“ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მითითებულ მისამართზე, ან (ii)

⁷იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია (რომლებზეც მითითება არის გაკეთებული) რეგისტრაციის დოკუმენტში; ასევე მითითება, თუ სად შეიძლება ამ დოკუმენტების გაცნობა ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით.

„ემიტენტისგან“ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისგან“ მოითხოვოს აღნიშნული ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით მისთვის მიწოდება, ასეთი მოთხოვნის დაყენებიდან 10 (ათი) „სამუშაო დღის“ ვადაში.

V. ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

1. მნიშვნელოვანი ინფორმაცია

1.1. განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ, რაც გულისხმობს ემიტენტის მიერ გაკეთებულ დათქმას იმის თაობაზე, რომ საბრუნავი კაპიტალი საკმარისია ემიტენტის მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად ერთი წლის მანძილზე ან, თუ არ არის საკმარისი, როგორ აპირებს საჭირო დამატებითი საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფას.

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 221 მილიონ ლარს შეადგენდა (2021 წლის ბოლოს მდგომარეობით: 216 მილიონი ლარი). შესაბამისად, „კომპანიის“ მენეჯმენტის შეფასებით, „კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი საკმარისი არის მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

1.2. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

კომპანიასა და განთავსების აგენტს (ასევე მასთან დაკავშირებულ ბანკს) შორის არ არის ინტერესთა კონფლიქტი, მხარეები არ წარმოადგენენ დაკავშირებულ და/ან აფილირებულ კომპანიებს.

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
შპს „თიბისი კაპიტალი“	განთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსებაში და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება.	არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის.
შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“ (BLC)	იურიდიული მრჩეველი	BLC არის ტრანზაქციის იურიდიული მრჩეველი. მის კომპეტენციაშია კომპანიის სამართლებრივი შემოწმების დასრულება და შემოწმების შედეგების ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში ასახვა. კერძოდ, არსებითად BLC-ის მიერ მოხდა ემისიის პროსპექტის	მომსახურების ხელშეკრულების ეტაპზე მომსახურე იურიდიული ფირმის მიერ გადამოწმებული იქნა პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, რაც ამ ინდუსტრიაში დამკვიდრებული სტანდარტია. შესაბამისად, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი „ბიელსი“-სა და კომპანიას შორის.

		<p>შემდეგი ნაწილების დაწერა: მიმდინარე სასამართლო დავები, არსებითი ხელშეკრულებები, კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურის აღწერა, ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი და ასევე, ობლიგაციების პირობები.</p> <p>ვინაიდან გამჟღავნებული ინფორმაცია ეყრდნობა კომპანიიდან მიღებულ მონაცემებს, მათ სისწორეზე პასუხისმგებლობას კისრულობს კომპანია.</p> <p>BLC დაქირავებულია ემიტენტის მიერ.</p>	
--	--	---	--

2. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს

2.1. შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი;

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება.

2.2. კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება:

ობლიგაციების გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3. ინფორმაცია რეგისტრატორის შესახებ:

ემიტენტის რეგისტრატორი: სს „კავკასრეესტრი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 211369115), მისამართი: ვაჟა-ფშაველას 71, თბილისი 0186, საქართველო, მობ: (+995) 599-55-24-95, ელ. ფოსტა: info@kavkasreestri.ge(ემიტენტი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე).

2.4. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი:

„ობლიგაციები“ გაცემულია არამატერიალური რეგისტრაციის დაქვემდებარებული ფორმით, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება, მათი გამოშვების თარიღისათვის - 2023 წლის [●] (“გამოშვების თარიღი”), შეადგენს 1,000,000 (სიტყვიერად:ერთ მილიონ) ლარს.

2.5. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების მთლიანი ოდენობა; თუ ოდენობა ფიქსირებული არ არის, მისი მაქსიმალური ოდენობის (თუ შესაძლებელია) მითითება. ასევე, იმ პირობის აღწერა და იმ თარიღის მითითება, როდესაც მოხდება საბოლოო ოდენობის გასაჯაროება:

„ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს [130,000,000] ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - [200] საბაზისო პუნქტი (სპრედი) დამატებული თბილისის ერთდღიან ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთით TIBR-ზე და რომლებიც ვადამოსული ხდება [●]. („ობლიგაციები“), გამოშვებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ („კომპანია“ ან „ემიტენტი“) პარტნიორთა კრების მიერ [●] წ. ოქმის შესაბამისად.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების პირობების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია „კომპანიასა“ და შპს „თბილისი კაპიტალს“, როგორც „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ შორის („გადახდისა და კალკულაციის აგენტი“). თითოეული „რეგისტრირებული მფლობელი“ უფლებამოსილია (i) გაეცნოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „ემიტენტის“ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მითითებულ მისამართზე, ან (ii) „ემიტენტისგან“ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისგან“ მოითხოვოს აღნიშნული ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით მისთვის მიწოდება, ასეთი მოთხოვნის დაყენებიდან 10 (ათი) „სამუშაო დღის“ ვადაში.

2.6. გადახდისუუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში:

იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ კომპანიის გადახდისუუნარობაზე ვრცელდება რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონი, კომპანიის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან გამომდინარე ვალდებულებები უზრუნველყოფილ ვალდებულებად და დაკმაყოფილდება შესაბამისი რიგითობით (უპირატესად ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით, დაგირავებული აქტივების ფარგლებში).

კერძოდ, ასეთი მოთხოვნები რეგულირდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის 105-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს აღნიშნული ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის/მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. თუ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ქონება განაწილდება შემდეგი წესით:

- 1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; გაკოტრების მენეჯერის ანაზღაურება და საქმესთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დროს შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მენეჯმენტის გადაწყვეტილებით შექმნილი სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები;
- 2) დავალიანება, რომელიც წარმოიშვა ემიტენტთან მიმართებაში, სასამართლოს განჩინების მიტანის შემდეგ, აღნიშნული ითვალისწინებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანას და გაკოტრების რეჟიმის დაწყებას მათ შორის საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლით, რომლებიც წარმოიქმნება ემიტენტთან მიმართებაში, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ;

- 3) პრეფერენციული მოთხოვნები - მოიცავს 3 თვის ხელფასების ხარჯებს და შვებულებას (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასებისა და შვებულების ხარჯებისა, ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის), რომლებიც გადასახდელი იქნება სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის გამოცხადების შემდეგ. პროფესიული დაზიანების გამო გადასახდელი თანხები (არაუმეტეს 1,000 ლარის ოდენობით თითოეულ კრედიტორზე);
- 4) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც წარმოიშვა შესაბამისი წინა 3 საგადასახადო წლის პერიოდში, სანამ სასამართლო მიიღებდა განაცხადს გადახდისუუნარობის შესახებ;
- 5) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადასახდელი თანხების ჩათვლით, რომლებიც წარმოიქმნება გადახდისუუნარობის შესახებ განაცხადების მიღებამდე;
- 6) არაპრივილეგირებული მოთხოვნები; და
- 7) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

2.7. იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქალაქებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა:

2.7.1. ვალდებულებები

(ა) **საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და იურიდიული ნამდვილობა:**

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების გამოსაყენებლად, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, დადასტურების, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების“ კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(ბ) **შერწყმა:** „ემიტენტმა“, „ობლიგაციების მფლობელების“ წინასწარი თანხმობის გარეშე, არ უნდა:

(x) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით) ან (y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შეერწყას რამდენიმე კომპანია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

(i) ზემოთ (x) ან (y) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე:

A. წარმოქმნილი ან დარჩენილი პირი ან მიმღები („უფლებამონაცვლე პირი“) იქნება „ემიტენტი“, ან ასეთი „უფლებამონაცვლე პირი“, თუ ის არ არის „ემიტენტი“, სრულად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ უფლებებსა და ვალდებულებებს; და

B. „ემიტენტთან“ შერწყმული ან გაერთიანებული პირის ჯამური ვალდებულებები არ აღემატება „ემიტენტის“ აქტივების 25%-ს.

(ii) აღნიშნულიდან გამომდინარე არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“.

(გ) **განკარგვები:** თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „პირობებით“, „პირობა 2.7.1.(ბ)“-ის (შერწყმა) დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავიანთ შემოსავლებს ან აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაყიდონ, გადასცემენ, გასცემენ იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგავენ ნებისმიერ „პირზე“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება „ემიტენტის“ აქტივების 10%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ემიტენტის“ საბალანსო ფურცელზე მითითებით. ამასთანავე, ნებისმიერ შემთხვევაში და მიუხედავად განკარგული აქტივების ღირებულებისა, დაუშვებელია აქტივების განკარგვა, თუ შედეგად დაირღვევა „გირავნობის ხელშეკრულებით“ ემიტენტის მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომ დაგირავებული პორტფელის მოცულობა უნდა უზრუნველყოფდეს „ობლიგაციების“ ძირითადის დაუფარავი ნაწილის 130%-იანი დაფარვის კოეფიციენტს.

წინამდებარე „პირობა 2.7.1.(გ)“ არ გამოიყენება (i) აქტივების იჯარით გაცემასთან, გაყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში, ან (ii) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო აქტივებთან ან შემოსავლებთან ან მათ ნაწილთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სავალდებულო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ან ფულადი დავალიანების, აქტივებით უზრუნველყოფილი ფინანსირების ან მსგავსი ფინანსირების საგანს, და როცა ყველა გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, დროის არც ერთ მონაკვეთში არ აღემატება „ემიტენტის“ აქტივების 25%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ემიტენტის“ საბალანსო ფურცელზე მითითებით; (iv) „ემიტენტის“ დივიდენდის გაცემის მიმართ.

(დ) **გადასახადების და სხვა მოთხოვნების დაფარვა:** „ემიტენტი“ დადგენილ ვადაში გადაიხდის ნებისმიერ „გადასახადს“, რომელიც დარიცხულია „ემიტენტის“ შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიზნებისათვის „ემიტენტი“ არ არის ვალდებული გადაიხადოს ნებისმიერი ამგვარი „გადასახადი“ ან მსგავსი მოთხოვნები (ა) თუ მათი ოდენობა, გამოყენებადობა ან ნამდვილობა კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია შესაბამისი რეზერვები „IFRS“-ის შესაბამისად, ან (ბ) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ „გადასახადთან“ ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება მთლიანი აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (დაანგარიშებული „IFRS“-ის შესაბამისად).

(ე) **დავალიანებები⁸:**

⁸ წინამდებარე 2.7.1 ნაწილის „ე“ და „ვ“ პუნქტებში მოცემული კოეფიციენტების კალკულაცია ისტორიულ პერიოდებზე წარმოდგენილია ქვეთავში „ანფორმაცია ემიტენტის შესახებ, ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები“

“ემიტენტი” არ დაუშვებს, რომ მან („ემიტენტმა“) იკისროს, პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა სახით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის „სასესხო ვალდებულებაზე“ თუ:

- ა) ფინანსური ვალდებულება გამოიწვევს დეფოლტის შემთხვევის დადგომას; და
- ბ) „გამოსყიდვის თარიღამდე“, ნებისმიერი 31 დეკემბრისთვის დასრულებული აუდირებული და 30 ივნისისთვის დასრულებული არააუდირებული კალენდარული წლისთვის „ემიტენტის“ ჯამური ვალდებულებების ოდენობა აჭარბებს „ემიტენტის“ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის აქტივების 80 (ოთხმოც) პროცენტს. აღნიშნული მოთხოვნა დაცული უნდა იყოს „ობლიგაციების“ ვადის მანძილზე ნებისმიერი თარიღისთვის, ხოლო კალკულაცია განხორციელდეს წელიწადში ორჯერ 31 დეკემბრისთვის და 30 ივნისისთვის.

(3) **რეგულატორული კოეფიციენტები:**

1. “ემიტენტი” ვალდებულია, ამ „ობლიგაციების“ არსებობის განმავლობაში შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები:

ა) კკ (კაპიტალის კოეფიციენტი) – საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა დაქვითვის შემდგომ მთლიან აქტივებთან – 18%, ხოლო იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 24%;

ბ) ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი) საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან თანაფარდობა – 18%, ხოლო იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 25%;

გ) იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი) – იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული წილების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;

დ) ქკ (ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი) – ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და იურიდიულ პირთა კაპიტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინვესტიციების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალის 40%-ს;

ე) ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი) – ყველა ინსაიდერის მიმართ არსებული მოთხოვნების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;

ვ) დაკ (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი) – დაგირავებული ან/და იპოთეკით დატვირთული აქტივების მთლიან კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს. გირავნობა/იპოთეკა უნდა განხორციელდეს იმ აქტივის მოცულობით, რის უზრუნველყოფასაც წარმოადგენს გირავნობის/იპოთეკის საგანი. აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშებაში არ მიიღებს მონაწილეობას აქტივების გადაფასების რეზერვი და ფულადი სახსრები, რომლებიც დაგირავებულია სვოპ ოპერაციის მიზნობრივობით.

2. კოეფიციენტების გაანგარიშების მიზნებისათვის:

ა) საზედამხედველო კაპიტალისა და მთლიანი აქტივების დაქვითვის ელემენტებს წარმოადგენს: აქტივების გადაფასების რეზერვი, არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება და ინვესტიციები შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში;

ბ) ლიკვიდური აქტივები გაიანგარიშება, როგორც ფულადი სახსრების და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ჯამი. ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში მონაწილეობას არ მიიღებს დაჯავშნული/დაგირავებული ფულადი სახსრები და განთავსებული გამოუთხოვადი დეპოზიტები;

გ) ვალდებულებები – მთლიან ვალდებულებებს გამოკლებული:

გ.ა) 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სუბორდინირებული /კონვერტირებადი ვალდებულებები, კომერციული ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ნასესხები სახსრები;

გ.ბ) გაცვლილი ფულადი სახსრების სანაცვლოდ კომერციული ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები;

გ.გ) ვალდებულებები, ფულადი გზავნილების მიხედვით იმ ოდენობით, რაც არ აღემატება იგივე შინაარსის მოთხოვნებს ერთი კონტრაგენტის მიმართ;

(ზ) **ფინანსური ინფორმაცია:**

i „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 მაისისა, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ შემოწმებული ფინანსური უწყისების ასლებს ამ ფინანსური წლისათვის, აღნიშნულთან დაკავშირებით „აუდიტორების“ შესაბამის დასკვნასთან ერთად.

ii „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს ექვსი თვის „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ შეუმოწმებელ (არააუდიტირებული) ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს.

iii თუ „ობლიგაციების მფლობელები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციების მფლობელებს“ უფლება აქვთ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნავარაუდევ „დეფოლტის შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად, გონივრულ ვადაში მიაწოდოს იმ „ობლიგაციების მფლობელებსა“ და „ნომინალურ მფლობელებს“, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობით მოთხოვნა. ამგვარი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელის“ და/ან „ნომინალური მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ მორიგი გადაწყვეტილების ფორმით.

(თ) **კონტროლის ცვლილება:** „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არ განხორციელდება „კონტროლის ცვლილება“. ამ მუხლის მიზნებისათვის, „კონტროლის ცვლილება“ განხორციელდება, თუ პარტნიორები, რომლებიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის ფლობენ წილებს „კომპანიის“ კაპიტალში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის ფლობას ან სხვაგვარად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კონტროლს. წინამდებარე „პირობის“ მიზნებისათვის, ჩაითვლება, რომ არსებული პარტნიორები „აკონტროლებენ“ „ემიტენტს“, თუ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კაპიტალის ფლობის, ხმის უფლების ქონის, ხელშეკრულების ან ტრასტის მეშვეობით ან სხვაგვარად) არსებულ პარტნიორებს აქვთ უფლებამოსილება დანიშნონ და/ან გაათავისუფლონ „ემიტენტის“ დირექტორთა საბჭოს ან სხვა მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა ან სხვაგვარად აკონტროლებენ ან უფლება აქვთ აკონტროლონ „ემიტენტის“ საქმეები და პოლიტიკა.

- (ი) **გამოსაყენებელი კანონმდებლობის დაცვა:** „ემიტენტი“ ნებისმიერ დროს ყველა ღონეს მიმართავს, რათა სრულად დაიცვას გამოსაყენებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის, სამთავრობო ორგანოების დირექტივები და რეგულაციები, რომლის დარღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებს.
- (კ) **საქმიანობის ცვლილება:** „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვლება მისი იმ საქმიანობის ძირითადი ხასიათი, რომელსაც იგი ახორციელებს „გამოშვების თარიღისათვის“.
- (ლ) **რეიტინგის შენარჩუნება:** ამ „ობლიგაციების“ არსებობის განმავლობაში „ემიტენტს“ ექნება საკრედიტო რეიტინგი და განაახლებს მას შესაბამისი სიხშირით სებ-ის მიერ აღიარებული მინიმუმ ერთი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან მაინც.
- (მ) **საკრედიტო რეიტინგის ცვლილება:** იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების მოქმედების განმავლობაში „ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგი შეიცვლება, „ობლიგაციების“ პროცენტის კორექტირება მოხდება შემდეგნაირად:
 - (i) B+: 200 საბაზისო პუნქტი („სპრედი“) დამატებული ერთდღიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი TIBR-ზე;
 - (ii) B და უფრო დაბალი საკრედიტო რეიტინგის პირობებში: 250 საბაზისო პუნქტი („სპრედი“) დამატებული ერთდღიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი TIBR. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტს“ მინიჭებული ექნება საკრედიტო რეიტინგი რამდენიმე სააგენტოსგან, კუპონის დადგენის მიზნებისთვის უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს რეიტინგს, ასევე იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რეიტინგი შეიცვლება ქვეყნის რეიტინგის ცვლილების გამო და აღნიშნული მიზეზი გამჟღავნებული იქნება რეიტინგის დასკვნაში, არ მოხდება საბაზისო განაკვეთის ცვლილება.

2.7.2. უზრუნველყოფა

(ა) გირავნობის არსი

„ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 130% (ას ოცდაათი პროცენტი) უზრუნველყოფილია „ემიტენტის“ მთლიანი სასესხო პორტფელის იდენტური ღირებულების მქონე პორტფელის ნაწილით, როგორც განსაზღვრულია „პირობების“ შესაბამისად და „გირავნობის ხელშეკრულებით“.

„გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, „ემიტენტი“ პირველი რიგის გირავნობის უფლებით ტვირთავს თავისი სასესხო პორტფელის იმ ნაწილს, რომლის ღირებულება ტოლია „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 130%-სა (ას ოცდაათი პროცენტი). პირველი რიგის გირავნობა თავისთავში გულისხმობს „ობლიგაციონერების“ უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილონ მოთხოვნა ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას. აღსრულების შემთხვევაში, ქონების რეალიზაციით მიღებულ თანხა განაწილდება „ობლიგაციონერებს“ შორის „ემიტენტის“ მიმართ თითოეული მათგანის მოთხოვნის პროპორციულად.

(ბ) „გირავნობის ხელშეკრულების“ დადება, გირავნობის რეგისტრაცია

„გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ დაუკავშირდებიან ყველა „ობლიგაციონერს“ და უზრუნველყოფენ „პირობების“ 2.7.2 პუნქტით განსაზღვრული „გირავნობის ხელშეკრულების“ დადებას.

„გირავნობის ხელშეკრულებას“ ხელი მოეწერება ერთდროულად „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს, რომელიც უნდა იყოს „გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ ვადაში. ისინი დამოწმდება სანოტარო წესით (სადაც ნოტარიუსი დაამოწმებს მხოლოდ ხელმოწერათა ვინაობას). „გირავნობის ხელშეკრულება“ ასევე დარეგისტრირდება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში „საჯარო რეესტრი“).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია უზრუნველყოს, თავად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით გამოცხადდეს ნოტარიუსის წინაშე „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს და ხელი მოაწეროს „გირავნობის ხელშეკრულებას“.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადო წესით გაცემული და დამოწმებული უფლების დამდგენი დოკუმენტის (ამონაწერი, წესდება და ა.შ.) მეშვეობით ან/და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით („მინდობილობა“), რომლის სანოტარო აქტიც ადასტურებს არა მხოლოდ „მინდობილობის“ გამცემის ვინაობას, არამედ „ობლიგაციონერების“ სანაცვლოდ ხელის მოწერის უფლებამოსილებას. თუკი „მინდობილობა“ გაცემულია საზღვარგარეთ, ის ან უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული (თუ აღნიშნული ქვეყანა წარმოადგენს „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის კონვენციის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოს) ან ლეგალიზებული იქ მდებარე საქართველოს საკონსულოს მიერ. დოკუმენტების ორიგინალი ვერსიები მიეწოდება „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტს“ და აღნიშნული დოკუმენტების სათანადო წესით წარდგენა წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციების“ „ობლიგაციონერზე“ განთავსების წინაპირობას.

უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ფორმალობა და გირავნობის რეგისტრაცია უნდა დასრულდეს „გამოშვების თარიღიდან“ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღისა“.

ზემოაღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ პირდაპირ შეუძლიათ დაუკავშირდნენ „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“.

2.7.3. გამოსყიდვა და ყიდვა, დაბეგვრა

(ა) ობლიგაციების გამოსყიდვა:

„ობლიგაციების“ გამოსყიდვა განხორციელდება ძირითადად თანხის ღირებულებით „გამოსყიდვის თარიღზე“, დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით, თუ მათი შესყიდვა ან გაუქმება არ განხორციელდა უფრო ადრე. „ობლიგაციების“ გამოსყიდვა დაუშვებელია „გამოსყიდვის თარიღამდე“, გარდა „პირობების“ 2.7.3 პუნქტის „ბ“, „გ“, და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. წინამდებარე პროსპექტით ნებადართული ვადამდე გამოსყიდვის შემთხვევაში ფაქტობრივი გამოსყიდვის თარიღი არის „ვადამდელი გამოსყიდვის თარიღი“. „ემიტენტი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეისყიდოს „ობლიგაციები“ ღია ბაზარზე ან სხვაგვარად, ნებისმიერ ფასად. „ემიტენტის“ მიერ შესყიდული „ობლიგაციები“ შესაძლებელია გაუქმდეს.

(ბ) შერწყმაზე უარი:

იმ შემთხვევაში, თუკი „ობლიგაციონერი“ არ იქნება თანახმა განხორციელდეს წინამდებარე „პირობების“ 2.7.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქცია, „ემიტენტს“ უფლება ექნება „ობლიგაციები“ ნაწილობრივ ან მთლიანად გამოისყიდოს გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს „ობლიგაციების“ ნომინალური

ღირებულების 101%-ს დამატებული „ვადამდელი გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოშვების თარიღიდან 2 (ორი) წლის შემდეგ „ემიტენტს“ გამოსყიდვა შეეძლება გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100.5%-ს დამატებული „ვადამდელი გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(გ) საკრედიტო რეიტინგის ცვლილება:

წინამდებარე „პირობების“ 2.7.1 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, „ემიტენტს“ უფლება ექნება „ობლიგაციები“ ნაწილობრივ ან მთლიანად გამოისყიდოს გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 101%-ს დამატებული „ვადამდელი გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოშვების თარიღიდან 2 (ორი) წლის შემდეგ „ემიტენტს“ გამოსყიდვა შეეძლება გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100.5%-ს დამატებული „ვადამდელი გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(დ) გამოსყიდვის უფლების ათვლა:

გარდა წინამდებარე „პირობების“ 2.7.3 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობისა, დამატებით, „გამოშვების თარიღიდან“ მე-18 და 24-ე თვის თავზე (თითოეული აღნიშნული თარიღი მოიხსენება, როგორც „გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღი“), „ემიტენტი“ ინარჩუნებს მიმდინარე უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას, წერილობით მოითხოვოს ინვესტორებისგან („გამოსყიდვის ოფციის შეტყობინება“) მათ მფლობელობაში არსებული „ობლიგაციების“ სრულად (მაგრამ არა ნაწილობრივ) გამოსყიდვა.

აქვე, გამოსყიდვის ოფცია განხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

- i. გამოსყიდვის ოფციის ფასი შეადგენს „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 100%-ს დამატებული შესაბამისი ფასის გადახდის თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი;
- ii. გამოსყიდვის ოფციის ამოქმედება შესაძლებელია „ემიტენტის“ მიერ „გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ინვესტორებისთვის „გამოსყიდვის ოფციის შეტყობინების“ გაგზავნის გზით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ „ემიტენტს“ ეზღუდება გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების შესაძლებლობა შემდეგ „გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღამდე“;
- iii. გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების შემთხვევაში, ემიტენტი ვალდებულია გამოსყიდვის ოფციის ფასი გადაიხადოს შესაბამისი „გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღიდან“ არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა;
- iv. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, გამოსყიდვის ოფციის ამოქმედების შემთხვევაში, „ინვესტორები“ ჩაითვლებიან „ობლიგაციონერ(ებ)ად“ და ექნებათ კვარტალური საპროცენტო სარგებლის მიღების უფლება მანამ, სანამ ემიტენტი არ გადაიხდის გამოსყიდვის ოფციის ფასს სრულად.

(ე) გაყიდვის ოფცია

„გამოშვების თარიღიდან“ მე-18 და 24-ე თვის თავზე (თითოეული აღნიშნული თარიღი მოიხსენება, როგორც „გაყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღი“), თითოეული „ინვესტორი“ ინარჩუნებს მიმდინარე უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას, წერილობით მოითხოვოს „ემიტენტისგან“ („გაყიდვის ოფციის შეტყობინება“) მის მფლობელობაში არსებული „ობლიგაციების“ სრულად (მაგრამ არა ნაწილობრივ) გამოსყიდვა.

აქვე, გაყიდვის ოფცია განხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

- v. გაყიდვის ოფციის ფასი შეადგენს „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 100%-ს დამატებული შესაბამისი ფასის გადახდის თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი;
- vi. გაყიდვის ოფციის ამოქმედება შესაძლებელია გაყიდვის ოფციის განხორციელების სურვილის მქონე „ინვესტორის“ მიერ „გაყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ემიტენტისთვის „გაყიდვის ოფციის შეტყობინების“ გაგზავნის გზით. ყოველგვარი ექვსის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ „ობლიგაციონერს“ ეზღუდება გაყიდვის ოფციის ამოქმედების შესაძლებლობა შემდეგ „გაყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღამდე“;
- vii. გაყიდვის ოფციის ამოქმედების შემთხვევაში, ემიტენტი ვალდებულია გაყიდვის ოფციის ფასი გადაიხადოს შესაბამისი „გაყიდვის ოფციის ამოქმედების თარიღიდან“ არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა;
- viii. ყოველგვარი ექვსის გამორიცხვის მიზნით, გაყიდვის ოფციის ამოქმედების შემთხვევაში, შესაბამისი „ინვესტორი“ ჩაითვლება „ობლიგაციონერად“ და ექნება კვარტალური საპროცენტო სარგებლის მიღების უფლება მანამ, სანამ ემიტენტი არ გადაიხდის გაყიდვის ოფციის ფასს სრულად.

(ვ) სახაზინო ფასიან ქალაქებად გარდაქმნა:

„ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ნაწილობრივ ან სრულად გამოსყიდვის შემთხვევაში, ისინი ჩაითვლება სახაზინო ფასიან ქალაქებად, რაც ნიშნავს, რომ (ა) „ემიტენტს“ არ ექნება „ობლიგაციონერის“ სტატუსი და ვერ განახორციელებს „ობლიგაციონერის“ წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებულ რომელიმე უფლებას; და (ბ) მას არ ექნება „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ფინანსური მოთხოვნა და შესაბამისად, არ ჩაითვლება „გირავნობის ხელშეკრულების“ მოგირავნედ.

(ზ) დაბეგვრა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათვალისწინებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციის“ მფლობელი უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

2.7.4. დეფოლტის შემთხვევა

თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მითითებული შემთხვევა (თითოეული „დეფოლტის შემთხვევა“):

(ა) გადახდის ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხისა და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით, გადახდის დღეს და ამგვარი თარიღიდან 5 დღის განმავლობაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს ნებისმიერ სხვა ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, მათ შორის, უარს იტყვის „გირავნობის ხელშეკრულების“ დადებაზე ამ პროსპექტით გათვალისწინებულ ვადებში ან დაარღვევს „გირავნობის ხელშეკრულების“ პირობებს, წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გათვალისწინებულ ფინანსურ შეზღუდვებსა და დათქმებს, და დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია ან თუ შესაძლებელია, დარღვევა არ გამოსწორდება „ემიტენტისთვის“ გაგზავნილი შეტყობინებიდან 30 დღეში; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი (Cross-Default):

(i) სესხად აღებული ფულადი სახსრებისთვის ან მათ მიმართ ნებისმიერი სხვა მოქმედი ან სამომავლო „დავალიანება“ „ემიტენტის“ გადასახდელი ხდება მისი გადახდის მითითებულ ვადაზე ადრე ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის შედეგად (შესაბამისი დეფინიციის შესაბამისად), ან

(ii) „ემიტენტი“ ვერ უზრუნველყოფს მის მიერ მოქმედი ან სამომავლო „დავალიანებისგან“ გამომდინარე გადასახდელი ნებისმიერი თანხის დროულად დაფარვას, იმ პირობით, რომ შესაბამისი „დავალიანების“ ჯამური ოდენობა, რომელსაც შეესაბამება წინამდებარე 2.7.4(გ) პირობით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევა უტოლდება ან აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ემიტენტის ბალანსიდან გამომდინარე მისი მთლიანი აქტივების 1%-ს ერთ პროცენტს); ნებისმიერ შემთხვევაში, ჯვარედინი დეფოლტის საფუძველით დეფოლტის გამოცხადება დაუშვებელია, თუ „ემიტენტი“ კეთილსინდისიერი და საამისოდ გონივრული საფუძველის არსებობის შემთხვევაში, არ აღიარებს გადასახდელ ვალდებულებას.

(დ) გადახდისუუნარობა:

„ემიტენტი“ არის (ან შესაძლებელია ჩაითვალოს ასეთად კანონის ან სასამართლოს მიერ, ამისათვის კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების საფუძველზე) გადახდისუუნარო ან გაკოტრებული ან ვალაუვალი, შეაჩერებს, შეწყვეტს ან შესაძლებელია შეწყვიტოს მისი ვალების სრულად ან დიდი ნაწილის გადახდა, შესთავაზებს ან გააფორმებს რესტრუქტურისაციის (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით), ვადის გაგრძელების ან სხვა მსგავსი სახის შეთანხმებას, რომელიც ეხება ვალების (სრულად ან მნიშვნელოვანი ნაწილის) გადახდის ვადის შეცვლას/გაგრძელებას, ან შესთავაზებს ან გააფორმებს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას ან სხვა მსგავს შეთანხმებას მისი კრედიტორების სასარგებლოდ (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით); გამოცხადდება ან შეთანხმდება მორატორიუმი, რომელიც შეეხება „ემიტენტის“ ვალდებულებებს მთლიანად ან ნაწილობრივ; ან

(ე) დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები:

„ემიტენტის“ წინააღმდეგ ფულადი თანხის ან სხვა ვალდებულების დაკისრების თაობაზე სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი აღმასრულებელი ორგანოების იმ დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების, განჩინებების და ბრძანებების საერთო ოდენობა აღემატება „ემიტენტის“ საერთო აქტივების 5%-ს (ხუთი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად), ან ნებისმიერი ასეთი დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების შედეგად (ა) „ემიტენტის“ მართვა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცვალა ან „ემიტენტის“ საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ შემცირდა, (ბ) განხორციელდა „ემიტენტის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების 20 პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების მთლიანი ან არსებითი ნაწილის წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის აღსრულების პროცედურა, ან აღმასრულებელი (კრედიტორი) მოიპოვებს მფლობელობას ან გაყიდის „ემიტენტის“ ქონებაზე/ქონებას, შემოსავალზე/შემოსავალს ან აქტივებზე/აქტივებს მთლიანად ან მის არსებით ნაწილზე/ნაწილს (რომელიც შეადგენს „ემიტენტის“ აქტივების 5%-ს ან მეტს); ან

(ზ) ნებართვები და თანხმობები:

არ განახორციელოს რაიმე ქმედება ან არ დაარღვიოს რაიმე პირობა (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა მიღებულ იქნას, განხორციელდეს ან შესრულდეს, რათა (i) „ემიტენტს“ შეეძლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შეასრულოს და შეესაბამოს საკუთარ გადახდის ვალდებულებებს „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები 2.7.1 პირობის (ვალდებულებები) შესაბამისად და მისი „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები, (ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მზოჭავი და შესაძლებელი იყოს მათი აღსრულება და (iii) უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ „ემისიის პროსპექტი“ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი ნამდვილი დოკუმენტია; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა:

„ობლიგაციების“ ან „ემისიის პროსპექტის“ ნამდვილობას სადაოდ ხდის „ემიტენტი“ ან „ემიტენტი“ უარყოფს „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ საკუთარ ვალდებულებას ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ ერთი ან რამდენიმე საკუთარი ვალდებულების შესრულება ან მასთან შესაბამისობა უკანონო ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან ნებისმიერი ასეთი ვალდებულება გახდება აღუსრულებელი, კანონსაწინააღმდეგო ან აღარ იქნება ნამდვილი და მზოჭავი.

„ემიტენტი“ ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ, როგორც კი შეიტყობს, შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ წარმოშობის შესახებ.

2.7.5. ობლიგაციების მფლობელების კრება

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ ადგენს წესებს „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის, ჩატარების და გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

(ა) ობლიგაციების მფლობელების კრება:

- (i) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გავლენა აქვთ „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე, მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი სახის ცვლილების მიზნით, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას არანაკლებ 75% უმრავლესობით („განსაკუთრებული გადაწყვეტილება“).
- (ii) „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებად“, მიიღება სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“) და მხოლოდ მაშინ არის მართებული და შესასრულებლად სავალდებულო, თუ მიღებულია „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ სახით.
- (iii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე განიხილება მხოლოდ ის საკითხები, რაც წინამდებარე „პირობების“ 2.7.5.გ.(i) პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულია „ემიტენტის“ მიერ დადგენილი დღის წესრიგით.

(ბ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის უფლებამოსილება:

„ობლიგაციების მფლობელების“ კრების ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ „ემიტენტს“. ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“, ასევე „ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით“ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან, აღნიშნული არ ცვლის ან აუქმებს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 25%-ის მფლობელ(ებ)ის უფლებას მოიწვიონ „ობლიგაციების მფლობელების“ კრება და დააყენონ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების და „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო პროცედურის დაწყების საკითხი.

(გ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევა:

- (i) „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების მფლობელებს“ „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების მოწვევის თაობაზე უნდა ეცნობოთ სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე (შეტყობინების გაგზავნის დღისა და კრების ჩატარების დღის გამოკლებით) წინამდებარე „პირობების“ 2.7.6. პუნქტის შესაბამისად. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების თარიღი, დრო, ადგილი და მისაღები გადაწყვეტილებების დღის წესრიგი (ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების მიერ განსახილველი საკითხების დღის წესრიგის ცვლილება შეუძლია მხოლოდ „ემიტენტს“). შეტყობინება ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას შესაბამისი ვადების შესახებ და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დანიშნონ „ობლიგაციების მფლობელებმა“ წარმომადგენლები.
- (ii) წინამდებარე „პირობების“ 2.7.6. პუნქტის შესაბამისად, „ემიტენტი“ „ობლიგაციების მფლობელებს“ დამატებით შეატყობინებს „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების დადასტურებულ დროსა და ადგილს, ასეთი კრების გამართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში.
- (iii) კრების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად ასევე დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით). „ემიტენტს“ უფლება აქვს გამოიყენოს კრების დისტანციური (ელექტრონული საშუალებით) ჩატარების შესაძლებლობა, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია „ემიტენტის“ საერთო კრების მიერ და დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:
 - a. ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის დამოკიდებული „ობლიგაციების მფლობელის“ ან მისი „წარმომადგენლის“ მოქალაქეობაზე ან ბინადრობის ადგილზე;
 - b. „ობლიგაციების მფლობელისთვის“ ან ხმის უფლების გამოყენებაზე/განკარგვაზე „წარმომადგენლისთვის“ ინფორმაციის დროულად და ეფექტურად მიწოდებისთვის დანერგილია იდენტიფიცირების შესაბამისი ზომები; და
- (iv) „ემიტენტთან“ შესაბამისი კომუნიკაციის საფუძველზე, „ობლიგაციების მფლობელებს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ინფორმაციის წერილობით მიწოდება.

(დ) ობლიგაციების მფლობელის მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელი“ უფლებამოსილია შესაბამის კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე „ემიტენტს“ მიაწოდოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი (ან, სხვა ენაზე შედგენის შემთხვევაში, ორენოვანი დოკუმენტი, საიდანაც ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული) („მინდობილობა“), რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილია „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ და დამოწმებულია ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასმულია ასეთი იურიდიული პირის ბეჭედი და ხელმოწერილია მისი უფლებამოსილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, და ამ დოკუმენტის საფუძველზე დანიშნოს წარმომადგენელი („წარმომადგენელი“), რომელიც იმოქმედებს „ობლიგაციების მფლობელის“

სახელით „ობლიგაციების მფლობელების“ ნებისმიერ კრებასთან („განმეორებითი კრების“ ჩათვლით) დაკავშირებით.

(ii) ზედა პუნქტის შესაბამისად დანიშნული ნებისმიერი „წარმომადგენელი“, მათი დანიშვნის მოქმედების ვადის განმავლობაში, „ობლიგაციების მფლობელთა“ კრების ან „განმეორებითი კრების“ მიზნებისთვის, ჩაითვლება იმ „ობლიგაციების“ მფლობელად, რომელთა მიმართაც მისი დანიშვნა განხორციელდა.

(iii) ნებისმიერი ხმა, რომელიც მიცემულია „წარმომადგენლის“ მიერ შესაბამისი „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად, ითვლება ნამდვილად, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრების ჩატარების დრომდე სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე არ მომხდარა „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა „მინდობილობის“ გამოხმობის, გაუქმების ან/და ცვლილების თაობაზე.

(ე) ობლიგაციების მფლობელების კრების თავმჯდომარე:

(i) „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით ნიშნავს „ემიტენტი“. თუკი „ემიტენტი“ არ დანიშნავს კრების თავმჯდომარეს ან დანიშნული თავმჯდომარე არ გამოცხადდება კრებაზე მისი დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, მაშინ მოწვეულ უნდა იქნას „განმეორებითი კრება“.

(ii) სავალდებულო არ არის, რომ „განმეორებით კრების“ თავმჯდომარე იყოს ის პირი, რომელიც თავმჯდომარეობდა თავდაპირველ კრებას.

(ვ) ობლიგაციების მფლობელების კრებაზე დასწრება:

- (i) კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება აქვთ:
- a. „ობლიგაციების მფლობელებსა“ და მათ „წარმომადგენლებს“;
 - b. თავმჯდომარეს; და
 - c. „ემიტენტს“, ისევე როგორც მის ფინანსურ, სამართლებრივ ან სხვა მრჩეველებს;

(ii) სხვა პირებს არ აქვთ კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება.

(ზ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის კვორუმი:

(i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმს წარმოადგენს (i) ორი ან მეტი პირი, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან (ii) ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ დროს, ორი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელი“, მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირი ოდენობისა, რომელსაც ისინი ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს, შემდეგი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ შესახებ წინადადებების განხილვას:

- a. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას;
- b. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას;
- c. „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას;
- d. „ობლიგაციების“ „ემიტენტის“ აქციებში ან სხვა ფასიან ქაღალდებში კონვერტაციას;
- e. „ობლიგაციების“ შესაბამისი გადახდის ვალუტის ცვლილებას (გარდა მარეგულირებელი კანონმდებლობით გამოწვეული ცვლილებისა);

- f. „ობლიგაციების მფლობელების“ კრებებთან მიმართებით კვორუმის მოთხოვნების ან „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის ოდენობის ცვლილებას;
- g. წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას; ან
- h. წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ გამოცხადებას.

ასეთ შემთხვევებში, მსგავსი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმის აუცილებელი ოდენობა იქნება ორი ან მეტი პირი, რომელიც განსახილველ დროს ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან განმეორებით კრებაზე - არანაკლებ ერთ მესამედს.

- (ii) ჩვეულებრივი გადაწყვეტილება: „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი ასეთი „განმეორებითი კრების“ მიმართ შემთხვევაში - ორ ან მეტ პირს, რომელიც ესწრება ან წარმოადგენს „ობლიგაციების მფლობელებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

(თ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილება უნარიანობა და გადადება:

- (i) არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ უნდა გადაწყდეს კრებაზე, თუ ამგვარი საკითხის განხილვისას კრებაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი კვორუმი. თუ კვორუმი არ შედგა კრების დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, ამგვარი კრება უნდა გადაიდოს და განმეორებით ჩატარდეს თავდაპირველი კრების თარიღიდან არ უადრეს მე-7 და არა უგვიანეს 30-ე კალენდარული დღისა. თუ ამგვარ „განმეორებით კრებაზე“ კვორუმი არ შედგება კრების დაწყების დროიდან 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, კრება დათხოვილ უნდა იქნას.
- (ii) „განმეორებითი კრების“ დროსა და ადგილს განსაზღვრავს „ემიტენტი“. განმეორებით კრებაზე დასაშვებია მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტა დასაშვები იყო თავდაპირველ კრებაზე.
- (iii) „განმეორებითი კრების“ შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს იმ ფორმით, რომლითაც გაკეთდა თავდაპირველი კრების შესახებ შეტყობინება.

(ო) ხმის მიცემა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების წინაშე დასმული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავმჯდომარე, „ემიტენტი“ ან ერთი ან მეტი პირი, რომლებიც ჯამში წარმოადგენენ „ობლიგაციების“ 10%-ს, მოითხოვს (ხელის აწევის პროცედურის დაწყებამდე ან ხელის აწევის პროცედურის შედეგების გამოცხადებისას) კენჭისყრის ჩატარებას.
- (ii) თუ კენჭისყრა არ იქნა მოთხოვნილი, თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება იქნა ან არ იქნა მიღებული, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ან არმიღების საკმარის მტკიცებულებას, გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობის მტკიცებულების გარეშე.
- (iii) თუ კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ამ ფორმით და კენჭისყრა უნდა ჩატარდეს იმ მომენტშივე ან განმეორებით კრებაზე, როგორც ამას თავმჯდომარე გადაწყვეტს. კენჭისყრის შედეგი უნდა ჩაითვალოს იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იგი იქნა მოთხოვნილი, და იმ თარიღის გადაწყვეტილებად, როცა იგი იქნა მიღებული. კენჭისყრის ჩატარების

მოთხოვნა ხელს არ უშლის კრებას გადაწყვეტოს სხვა საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც კენჭისყრა არ არის მოთხოვნილი.

- (iv) კენჭისყრა, რომელიც მოთხოვნილია თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხთან დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს იმავე მომენტში.
- (v) ხელის აწევით გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულ პირს, რომელიც ესწრება კრებას და არის „ობლიგაციის მფლობელი“ ან მისი „წარმომადგენელი“, აქვს ერთი ხმა იმ „ობლიგაციების“ ძირითანხის ყოველი 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარისთვის, რომელსაც იგი წარმოადგენს ან რომლის მიმართაც იგი არის დანიშნული „წარმომადგენლად“. პირს, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ხმის უფლება, არ არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ხმა ან გამოიყენოს ყველა მათგანი ერთნაირად.

(კ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილება:

- (i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის გამოშვებული „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით.
- (ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით.

(ლ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილების ძალაში შესვლა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, იგი არის „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ თუ არა, აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა ყველა „ობლიგაციების მფლობელისთვის“, მიუხედავად იმისა, ისინი ესწრებოდნენ თუ არა კრებას.
- (ii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე და ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

(მ) კრების ოქმები:

ოქმები უნდა შედგეს თითოეულ კრებაზე, ყველა გადაწყვეტილებასა და პროცედურასთან დაკავშირებით, და ხელმოწერილი უნდა იქნას იმავე კრების თავმჯდომარის მიერ. ამგვარი ოქმი წარმოადგენს მასში განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტის საკმარის მტკიცებულებას. სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ყველა კრება, რომლისთვისაც შედგა და ხელი მოეწერა ოქმს, ითვლება სათანადო წესით მოწვეულად და ჩატარებულად, და ყველა მასზე მიღებული გადაწყვეტილება და განხორციელებული პროცედურა მიიჩნევა სათანადო წესით მიღებულად და განხორციელებულად.

ნ) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

ნებისმიერი „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, რომელსაც ობლიგაციონერები მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით, მიღებული უნდა იქნას ზემოთ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს (ა) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით; (ბ) მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებული თემების ადმინისტრირების მიზნით.

თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ „ობლიგაციონერების“ კრების უფლებამოსილებას და ისინი ინდივიდუალურად არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ „გირავნობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული აღსრულების რომელიმე ღონისძიება. ასევე, სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „ობლიგაციონერების“ კრების მიერ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებიდან და შესაბამისი „სპეციალური გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „სპეციალური გადაწყვეტილება“ წინამდებარე „პროსპექტი“ განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში.

2.7.6. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების“ მფლობელების მიმართ უნდა გაეზავნოს „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელს“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი). „ობლიგაციების“ მფლობელებმა შეტყობინება უნდა გაუზავნონ „ნომინალურ მფლობელს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის მისამართზე, თუ „ნომინალური მფლობელი“ „ობლიგაციების“ მფლობელს წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებს.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (<https://reportal.ge/>; <https://gse.ge/>; სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება, როგორც შეიძლება შეიცვალოს და განსაზღვრული იქნება შესაბამისი პერიოდისთვის:

- ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;
- გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;
- ე) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

ე.1) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://reportal.ge/>;

ე.2) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რამდენადაც აღნიშნული შესაძლებელია: საჯარო რეესტრის პორტალის მეშვეობით;

ე.3) სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონმდებლობით გამჭვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი.

2.7.7. შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია „რეგისტრირებულ მფლობელებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები, დათქმები და კოვენანტები, დროდადრო გამოუშვას სხვა ფასიანი ქაღალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ განსაზღვრავს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

2.7.8. გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია „ემისიის პროსპექტსა“ და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით წარმოშობილ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც უკავშირდება „ემისიის პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გაცემას, ნამდვილობას, არსებობას, შეწყვეტას ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებას). „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე „ობლიგაციების მფლობელების“ სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად.

2.7.9. განმარტებები

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„**განმეორებითი კრება**“ ნიშნავს „ობლიგაციების მფლობელების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო ქვორუმი არ შედგა.

„**აფილირებული პირი**“ ნებისმიერ მითითებულ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს (ა) ნებისმიერ სხვა „პირს“ რომელიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მართავს ამგვარ მითითებულ „პირს“, ან რომელსაც მართავს ამგვარი მითითებული „პირი“, ან რომელიც იმყოფება ამგვარი მითითებული „პირის“, პირდაპირი ან არაპირდაპირი, საერთო მმართველობის ქვეშ (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც წარმოადგენს ამგვარი მითითებული „პირის“, მისი „შვილობილი კომპანიის“ ან „(ა)“ ქვეპუნქტში მითითებული ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორს ან ხელმძღვანელს;

„**ობლიგაციის მფლობელი**“. „**ობლიგაციონერი**“ ან „**ინვესტორი**“ ნიშნავს „ობლიგაციების“ რეგისტრირებულ მესაკუთრეს („რეგისტრირებული მესაკუთრე“) („ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ განსაზღვრების შესაბამისად);

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც თბილისში არსებული კომერციული ბანკები ახორციელებენ გადარიცხვებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (უცხო ვალუტაში გაცვლის ჩათვლით);

„კონტროლი“, წინამდებარე განსაზღვრების შესაბამისად, ნიშნავს კაპიტალის ფლობის მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვაგვარად „ემიტენტის“ ხელმძღვანელობის და პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას;

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (IFRS) ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით);

„IFRS ფინანსური პერიოდი“ ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც „ემიტენტმა“ მოამზადა ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადახედეს „აუდიტორებმა“;

„დავალიანება“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე):

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანება;

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან/და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;

(გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას საკრედიტო წერილებთან ან სხვა მსგავსი დოკუმენტებთან დაკავშირებით (მათ შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებების ჩათვლით), გარდა ნებისმიერი საკრედიტო წერილების, გარანტიების ან სხვა მსგავსი დოკუმენტებისა, რომელიც გამოიცა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;

(დ) ამგვარი „პირის“ მიერ ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული ან გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდის ყველა ვალდებულება;

(ე) ყველა სხვა „პირის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც უზრუნველყოფილია „უზრუნველყოფის საშუალებით“, რომელიც ამგვარმა „პირმა“ უზრუნველყო საკუთარი ნებისმიერი აქტივის (რომლის ღირებულებაც, წინამდებარე მიზნებისთვის, განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ანგარიშის შესაბამის ღირებულებაზე მითითებით შესაბამის უკანასკნელ წლიურ ფინანსურ ანგარიშთან (IFRS-ის შესაბამისად დათვლილი) მიმართებით) მიმართ, მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა ამგვარ დავალიანებას აღნიშნული „პირი“;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანება, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ, იმ ოდენობით, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან შესაბამისად მოძიებული ნებისმიერი თანხა, რომელიც აშკარად ექვემდებარება დაბრუნებას;

(თ) წმინდა ვალდებულებები ნებისმიერი ვალუტის ან საპროცენტო განაკვეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად; ან

(ი) ნებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან გამომდინარე მოზიდული ნებისმიერი თანხა (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით ან ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი გააჩნია,

და ნებისმიერ თარიღზე ნებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა იქნება ამგვარ თარიღზე ყველა, ზემოთ აღწერილი, უპირობო ვალდებულებების გადასახდელი ნაშთი, ხოლო ყველა, ზემოთ აღწერილ, პირობით ვალდებულებასთან მიმართებით, მაქსიმალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობოდა ვალდებულების საფუძვლად არსებული პირობის დადგომისას;

„**ნომინალური მფლობელი**“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს ("ფასიანი ქაღალდის ნომინალური მფლობელი"), „ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ განსაზღვრების შესაბამისად;

„**პირი**“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„**პირობები**“ ნიშნავს ამ „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების პირობებს“.

„**რეპო**“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას ან საპირისპირო ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან გაქირავების ხელშეკრულებას ან ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ნებისმიერი აღნიშნულის მსგავსი ეფექტის და მიზნების მქონე ხელშეკრულებას;

„**ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა**“ ნიშნავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

„**ფინანსური ვალდებულებები**“ ნიშნავს ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამორების გარეშე): (ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანებას; (ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან/და სხვა მსგავსი დოკუმენტებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ფინანსური ვალდებულებები“ არ მოიცავს საბანკო გარანტიებს.

„**უზრუნველყოფის საშუალება**“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, ყადაღას, შეზღუდვას, ვალდებულებას ან ფასიანი ქაღალდის პროცენტს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი კანონმდებლობით აღნიშნულის ნებისმიერი ანალოგის);

„**შვილობილი კომპანია**“ „ნებისმიერი „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს“ („მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“;

„**გადასახადი**“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, დანაკისრს, ვალდებულებას, ბაჟს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმოშობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის მიუხედავად.

„**ემისიის პროსპექტი**“ ან „**პროსპექტი**“ თუ ემისიის პროსპექტის ტექსტი სხვაგვარად არ მიუთითებს, მითითება „წინამდებარე პროსპექტზე“ გულისხმობს მითითებას სებ-ის მიერ სათანადო წესით დამტკიცებულ ემისიის პროსპექტზე.

„რეგისტრირებული მფლობელი“ ნიშნავს „ობლიგაციის მფლობელს“ ან „ნომინალურ მფლობელს“, რომლის სახელზეც რეესტრში რეგისტრირებულია „ობლიგაცია“, როგორც ეს განსაზღვრულია მე-4 პუნქტში.

„ობლიგაციების ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს, თუ ეს „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, შპს „თიბისი კაპიტალს“ და სს „გალტ ენდ თაგარტს“, რომლებიც „ობლიგაციების“ მფლობელის მიერ უფლებამოსილნი არიან ფლობდნენ „ობლიგაციებს“ ნომინალურად.

"სპრედი" ნიშნავს 200 საბაზისო პუნქტს

- 2.8. ა) ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და გადასახდელ პროცენტთან დაკავშირებული პირობები:
- თარიღი, საიდანაც პროცენტი ხდება გადასახდელი და გადახდის დადგენილი ვადები;
 - გადასახდელ პროცენტზე და ძირზე მოთხოვნის დაფიქსირების დროის ლიმიტები;
- ბ) თუ განაკვეთი არ არის ფიქსირებული, უნდა მიეთითოს ცვლადი, რაზეც არის მიბმული პროცენტი, ასევე პროცენტის ფიქსირებული ნაწილი, გაანგარიშების მეთოდი და პერიოდულობა:
- მითითება, თუ სად შეიძლება ცვლადი კომპონენტის ფასის ისტორიის მოძიება ელექტრონულად;
 - ნებისმიერი მოვლენის აღწერა, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ცვალებად პროცენტზე.

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

„ობლიგაციებს“ პროცენტი დაერიცხება [●]-დან [●]-მდე (ბოლო თარიღის გამოკლებით), რომელიც გადახდილ უნდა იქნას კვარტალურად - თითოეული წლის [●]. წინამდებარე 2.1.5 პუნქტში მოცემული პროცენტის გადახდის თითოეული თარიღი შემდგომში მოიხსენება როგორც „**პროცენტის გადახდის თარიღი**“, ხოლო [●] - როგორც „**გამოსყიდვის თარიღი**“.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარემოებების შესაბამისად, „რეგისტრირებულ მფლობელთა“ სიის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია სს „კავკასრეესტრში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211369115) („**რეესტრატორი**“) „ობლიგაციების“ მფლობელთა რეესტრში („**რეესტრი**“) ან „ნომინალური მფლობელის“ (ადრიცხვის ადმინისტრატორი) მიერ წარმოებულ ჩანაწერებში, სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე სამუშაო დღის დასრულებამდე („**საადრიცხვო თარიღი**“), გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციების“ მფლობელის ანგარიშზე.

(ბ) პროცენტის დარიცხვა

პროცენტის დაანგარიშება მოხდება კალკულაციებისა და გადახდის აგენტის მიერ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების მიხედვით შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ 365 დღეზე დაყრდნობით შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

OD*(RR*N/365), სადაც:

OD ნიშნავს ობლიგაციის ძირ თანხას;

RR ნიშნავს ერთდღიანი TIBR-ისა და „სპრედის“ ჯამს;

N ნიშნავს შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებულ რეალური დღეების

რაოდენობას.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთი ცვლადია და დამოკიდებულია თბილისის ერთდღიან ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთ - TIBR-ზე (რომელიც განთავსებულია შესაბამის ბმულზე: <https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr>), შესაბამის განაკვეთს, თითოეული „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ განსაზღვრავს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ საბაზისო განაკვეთად აიღებს „პროცენტის განსაზღვრის პერიოდში“ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული თბილისის ერთდღიანი ბანკთაშორის საპროცენტო TIBR განაკვეთების "მედიანას".

წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პროცენტის განსაზღვრის პერიოდი“ ნიშნავს რამდენიმე დღიან მონაკვეთს, რომელიც:

- იწყება „პროცენტის დარიცხვის პერიოდამდე“ 35 კალენდარული დღით ადრე;
- მთავრდება „პროცენტის დარიცხვის პერიოდამდე“ 5 კალენდარული დღით ადრე.
- ამასთანავე, მედიანის დათვლისთვის „პროცენტის განსაზღვრის პერიოდში“ არ გაითვალისწინება არასამუშაო დღეები.

წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის „მედიანა“ ნიშნავს ზრდადობით დალაგებული რიცხვების ჯგუფში შუა წერტილს. ჯგუფში კენტი რაოდენობის რიცხვების შემთხვევაში მედიანა ნიშნავს ზუსტად შუა რიცხვს, ხოლო ლუწი რაოდენობის რიცხვების შემთხვევაში შუა ორი რიცხვის საშუალო არითმეტიკულს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება TIBR ინდექსის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ ყველა შემდგომი საპროცენტო პერიოდისთვის სარგებლის საპროცენტო განაკვეთს ერთჯერადად განსაზღვრავს შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღიდან“ TIBR ინდექსის გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული TIBR ინდექსის განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი; და (ii) „სპრედი“. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ TIBR ინდექსის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღდგება TIBR ინდექსის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი საპროცენტო პერიოდისათვის ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს TIBR ინდექსის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როცა „ობლიგაციის“ თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწევეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 91 დღეზე მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 91 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“

გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „რეგისტრირებული მფლობელებისათვის“ გაგზავნამდე.

„პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს 91-დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ბოლოს წინა დღეს და სრულდება „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

დაფარვის ვადა; სესხის ამორტიზაციის პირობები და დაფარვის პროცედურები;

ობლიგაციები დაფარულ უნდა იქნას [●], ერთიანი გადახდის სახით.

(ა) „ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

- (i) „ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს იმ „ობლიგაციების მფლობელებისა“ და „ნომინალური მფლობელებისთვის“, რომლებიც „რეესტრში“ აღრიცხულნი არიან ამგვარი გადახდის თარიღამდე 3 „სამუშაო დღით“ ადრე, სამუშაო დღის დასასრულს (18:00) („სააღრიცხვო თარიღი“). გადახდები უნდა განხორციელდეს ქართულ ლარში („GEL“) იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც „რეესტრში“ აღრიცხულია „სააღრიცხვო თარიღისათვის“. „რეესტრში“ აღრიცხულმა „ობლიგაციების მფლობელებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ „რეესტრს“ ჰქონდეს განახლებული, სრული და სწორი ინფორმაცია მათი იმ საბანკო ანგარიშების რეკვიზიტების შესახებ, სადაც უნდა განხორციელდეს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული გადახდები. „ემიტენტი“, „რეგისტრატორი“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არ არიან პასუხისმგებელნი ვადამოსული თანხის გადაუხდელობაზე, თუ „ობლიგაციების მფლობელმა“ ან „ნომინალურმა მფლობელმა“ არ მიაწოდა „რეგისტრატორს“ თავისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელიც „ემიტენტმა“ ან „რეგისტრატორმა“ მოითხოვა გადახდების განხორციელების მიზნით, ან არ განაახლა ამგვარი რეკვიზიტები „სააღრიცხვო თარიღისათვის“.
- (ii) საბანკო ტრანზაქციის (გადარიცხვის) ნებისმიერი საკომისიო შესაძლებელია დაქვითულ იქნას გადასახდელი თანხიდან. თუ „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ წინა პარაგრაფში მითითებული საბანკო ანგარიში არის სხვა ნებისმიერ ვალუტაში გარდა ქართული ლარისა, მაშინ „ობლიგაციების მფლობელისათვის“ ან „ნომინალური მფლობელისათვის“ გადახდის განხორციელება დასაშვებია ვალუტის კონვერტირების საფასურის გამოკლებით.
- (iii) თუ გადახდის დღეს გადახდელი ნებისმიერი ძირი თანხა ან პროცენტი არის ამ თარიღისათვის ვადამოსულ თანხაზე ნაკლები, მაშინ „ემიტენტმა“ ყველა „ობლიგაციების მფლობელს“ პროპორციულად უნდა გადაუხადოს ის თანხები, რომლებიც ხელმისაწვდომია ამგვარი თარიღისათვის. აღნიშნული არ ზღუდავს „ობლიგაციების მფლობელების“ უფლებას სრულად მიიღონ ვადამოსული ძირი თანხა და პროცენტი წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად.
- (iv) „ემიტენტის“ და/ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია აიკრძალოს ან შეიზღუდოს „ობლიგაციების“ გადაცემა იმ პერიოდის განმავლობაში,

რომელიც იწყება „საადრიცხვო თარიღზე“ და სრულდება იმ დღეს, როცა შესაბამისი გადახდა ხდება ვადამოსული.

(ბ) **აგენტების დანიშვნა:** „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ და მათი შესაბამისი ოფისები ჩამოთვლილია „შეთავაზების მიმოხილვა“-ში და ასევე წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ბოლოში. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ მოქმედებენ როგორც მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტები და, წინამდებარე „ემისიის პროსპექტისა“ და შეთავაზების მიზნებისათვის, არ იღებენ რაიმე ვალდებულებას რომელიმე „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ წინაშე და არ წამოადგენენ მათ აგენტებს ან მინდობილ პირებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს, „ობლიგაციების მფლობელების“ თანხმობით, შეცვალოს ან გააუქმოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“, „განთავსების აგენტის“ ან „რეგისტრატორის“ დანიშვნა და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ ან „რეგისტრატორი“, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰყავდეს (i) „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, და (ii) „რეგისტრატორი“, დადასტურებული „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ.

(გ) **კალკულაცია და გადახდა:** „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი ნებისმიერი თანხა (მათ შორის, პროცენტი) უნდა დაანგარიშდეს და გადახდილ იქნას „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ, წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული ვადამოსული თანხები, გარდა აშკარა შეცდომისა, არის სავალდებულო „ემიტენტისთვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტმა“ თანხები უნდა დაიანგარიშოს შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 10 (ათი) „სამუშაო დღით“ ადრე და შეატყობინოს „ემიტენტს“. შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე, „ემიტენტმა“ შესაბამისი თანხები უნდა განათავსოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ გახსნილ საკუთარ საბანკო ანგარიშზე და მისცეს ამ უკანასკნელს მითითება აღნიშნული თანხების გადარიცხვის თაობაზე. თუ „ემიტენტის“ ანგარიშზე არის საკმარისი თანხა, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ვალდებულია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ვადამოსული გადახდები განხორციელოს „ემიტენტის“ შესაბამისი მითითებების გარეშე. თუ შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე „ემიტენტის“ ანგარიშზე არსებული თანხა საკმარისი არ არის, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ემიტენტს“, ხოლო თუ გადახდის თარიღზე თანხა არ არის საკმარისი, შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნოს „ობლიგაციების მფლობელებსაც“.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად და შესაბამისი პროცედურის გამორიცხვის გარეშე, „განთავსების აგენტის“ და „ემიტენტის“ ერთობლივი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა შეთავაზება განხორციელდეს საქართველოს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ კალკულაციის და გადახდის პროცესზე გავრცელდება ცენტრალური დეპოზიტარის შესაბამისი წესები.

(დ) **საგადასახადო კანონმდებლობას დაქვემდებარებული გადახდები:** ყველა გადახდა, ნებისმიერ შემთხვევაში, ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო ან სხვა კანონმდებლობას, რეგულაციებს და დირექტივებს.

(ე) **გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:** „ობლიგაციების მფლობელებს“ არ ექნებათ უფლება მიიღონ რაიმე პროცენტი, პირგასამტეხლო ან სხვა თანხა „ობლიგაციასთან“ დაკავშირებული ვადამოსული თანხის დაგვიანებით მიღებისთვის, თუ გადახდის დღე არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო „სამუშაო დღეს“.

2.9. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წარმომადგენლის მითითება; ამ წარმომადგენლობის პირობებისა და იმ ვებ-გვერდის მითითება, სადაც ინვესტორები შეძლებენ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაცნობას:

ტრანზაქციის სტრუქტურა არ ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მფლობელების წარმომადგენლის ინსტიტუტს.

2.10. ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებების აღწერა, მათ შორის ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვებისა და ამ უფლებების განხორციელების პროცედურის აღწერა.

იგივე, რაც 2.7 პუნქტში.

2.11. ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება:

ობლიგაციების ემისია ავტორიზებულ იქნა [•] წლის პარტნიორის გადაწყვეტილებით.

2.12. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი:

[•]

2.13. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვის აღწერა:

ვინაიდან „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება საკუთრების უფლების „რეესტრში“ რეგისტრაციის ან „ნომინალური მფლობელის“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი) ჩანაწერებში ცვლილების შეტანის შედეგად, „კომპანია“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტმა“ მხოლოდ „რეესტრირებული მფლობელები“ უნდა ჩათვალონ ნამდვილ მესაკუთრებად გადახდისა და სხვა მიზნებისათვის (საკუთრების უფლების შესახებ ნებისმიერი შეტყობინების მიუხედავად), მიუხედავად იმისა, „ობლიგაცია“ ან, პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა იქნება თუ არა ვადაგადაცილებული, და ამგვარი „რეესტრირებული მფლობელისათვის“ განხორციელებული ყველა გადახდა ჩაითვლება ნამდვილად და საკმარისად „კომპანიის“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ ამგვარ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად, გადახდილი თანხ(ებ)ის ფარგლებში.

„ობლიგაციების“ მფლობელები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ ისინი ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ „რეესტრატორს“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელს“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი). აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება გამცემს, „ემიტენტისა“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალური მფლობელისათვის“ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

ობლიგაციებთან მიმართებით მოქმედებს ე.წ. დახურული პერიოდები - არც ერთ „რეესტრირებულ მფლობელს“ არ აქვს უფლება მოითხოვოს „ობლიგაციების“ გადაცემის რეგისტრაცია იმ პერიოდში, რომელიც იწყება „სააღრიცხვო თარიღის“ სამუშაო დღის დასასრულის შემდეგ და სრულდება „პროცენტის გადახდის დღეს“ (ამ თარიღის ჩათვლით). წინამდებარე მუხლის დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს თანხების განაწილება არასწორი მიმღებებისთვის. ასეთ შემთხვევაში „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „ობლიგაციების“ გასხვისება და მათზე საკუთრების გადაცემა ძალაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი „ობლიგაციების“ შემძენი გახდება „გირავნობის ხელშეკრულების“ დანართის - მიერთების შეთანხმების (deed of accession-ის) მხარე და აღნიშნული შეთანხმება დარეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„ობლიგაციონერები“ აქვე აცნობიერებენ, რომ „ობლიგაციების“ ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში გირავნობის შემძენზე რეგისტრაციისთვის შესაძლოა „საჯარო რეესტრში“ მოითხოვოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. ასეთ შემთხვევაში, სხვა „ობლიგაციონერებიც“ ვალდებული იქნებიან გამოცხადდნენ „საჯარო რეესტრში“, ხელი მოაწერონ „გირავნობის ხელშეკრულების“ ცვლილებას და სრულად შეასრულონ ყველა საჭირო ფორმალა, რომლის ხარჯების ანაზღაურებაც ეკისრება „ობლიგაციების“ გამსხვისებელს.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა „ობლიგაციონერების“ გამოცხადება „საჯარო რეესტრში“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ ცვლილებაზე ხელმოწერა „ობლიგაციების“ გასხვისების შემთხვევაში და რომელიმე „ობლიგაციონერი“ ვერ უზრუნველყოფს მისი წარმომადგენლის გამოცხადებას შესაბამისი მინდობილობის გამოხმობის, ვადის გასვლის ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, ასეთ „ობლიგაციონერს“ დაერიცხება დღიური ჯარიმა მის საკუთრებაში არსებულ „ობლიგაციებზე“ დარიცხული საპროცენტო სარგებლის 0.05%-ის ოდენობით, თუმცა არანაკლებ 100 (ასი) აშშ დოლარისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და „ემიტენტი“ უფლებამოსილი იქნება აღნიშნული საჯარიმო თანხა დააკავოს წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გადასახდელი თანხებიდან.

„ობლიგაციები“ შესაძლოა გასხვისდეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ შესაბამისად). „ობლიგაციების“ საკუთრების უფლების გადაცემა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული რეგისტრირდება „საჯარო რეესტრში“.

2.14. საკონტროლო პაკეტის შეძენასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების მოკლე აღწერა, ასევე, არსებობის შემთხვევაში, აქციონერების უფლებებისა და მოვალეობების აღწერა საკონტროლო პაკეტის სავალდებულო შეძენის, მცირე აქციონერების უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

არ არის რელევანტური.

2.15. მითითება, ჰქონდა თუ არა ადგილი მიმდინარე და ბოლო ფინანსური წლის განმავლობაში მესამე მხარის მიერ ემიტენტის საჯარო აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას. უნდა მიეთითოს ტრანზაქციის ფასი, პირობები და ტრანზაქციის შედეგი.

მსგავს ტრანსაქციას არ ჰქონია ადგილი.

2.16. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შესახებ. ინფორმაცია ობლიგაციების საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით:

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელთათვის. წინამდებარე შეჯამება ეფუძნება „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონების, რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაგებას და ექვემდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუძალა. ქვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „ობლიგაციების“ მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.

წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახადო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის, განსაკუთრებით იმ „ობლიგაციების“ მფლობელთათვის, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. რეკომენდებულია „ობლიგაციების“ მფლობელებმა

კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩევლებთან „ობლიგაციების“ შექმნის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციაში. ა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაექვემდებაროს საგადასახადო დაბეგვრას ან ამჟამად არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნავარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის. „ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემქმნელმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „ობლიგაციების“ შექმნაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი საწარმოები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტი მიმღები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული ობლიგაციების მფლობელების საქართველოში დასაბეგვარებელ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ ობლიგაციები იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით არის გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამოწვევის“)⁹.

არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავალი არ უნდა მიეკუთვნებოდეს საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას. ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული გათავისუფლება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მისაღები/მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება. თუ პროცენტის მიმღები გადასულია მოგების გადასახადის ახალ, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, ისევე როგორც სხვა სტანდარტული შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნას გასაწილებელი მოგების გაანგარიშებაში და მოგების დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, უნდა დაბეგროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ პროცენტის მიმღები ჯერ არ გადასულია ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე

⁹ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N33/04 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 2018 წლის 20 თებერვალს, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (ს/კ: 211382145; სალიცენზიო ნომერი: №9001, თარიღი: 14.01.2000) ის ნაწილი, რომელიც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ „ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ წესის“ შესაბამისად განსაზღვრულია „A“ და „B“ კატეგორიის სალისტინგო სეგმენტად (კატეგორიად), აღიარებულ იქნა ორგანიზებულ ბაზრად 2018 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, საქართველოს საფონდო ბირჟას განესაზღვრა ვადა ორგანიზებულ ბაზრად აღიარებისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც საქართველოს საფონდო ბირჟამ დააკმაყოფილა და გაუგრძელდა ორგანიზებულ ბაზრად აღიარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის 21 სექტემბრის N 2-19/3269 წერილით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საფონდო ბირჟა ნებისმიერ მომენტში ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, არსებობს იმის რისკი, რომ ბირჟამ დაკარგოს აღნიშნული სტატუსი, რასაც შედეგად მოჰყვება ინვესტორების მიერ შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაკარგვა.

(ფინანსური ინტიტუტები), დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას მან ობლიგაციიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი უნდა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

„ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგვრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგვრისგან).

„ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „ობლიგაციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“.

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე,

რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ალიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებული არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახდო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოემვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ალიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებული არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციის“ მფლობელების მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვისას მიღებული ძირი თანხა არ ითვლება დასაბეგრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს საგადასახდო კოდექსი „ობლიგაციების“ გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციად, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახდო კოდექსი საგადასახდო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

2.17. არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები.

„ემიტენტს“ საკრედიტო რეიტინგი მიანიჭა Scope Ratings. „ემიტენტის“ გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი არის B+ სტაბილური პერსპექტივით

3. საჯარო შეთავაზების პირობები

3.1. შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

3.1.1. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება;

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებულ პირობებს.

3.1.2. ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობა;

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ჯამური ოდენობა იქნება 130 მილიონი ლარი.

3.1.3. პერიოდი, რის განმავლობაში იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

„ობლიგაციების“ შეთავაზება დაიწყება წინასწარი პროსპექტის დამტკიცებასთან ერთად და დასრულდება [●] წ. პროსპექტის მოქმედების ვადად განისაზღვრება საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი

„განთავსების აგენტის“ განახორციელებს „ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით, „ემიტენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ და/ან მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ „კვალიფიციურ ინვესტორებს“.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მათი ინტერესი „ობლიგაციების“ შესყიდვისადმი გამოხატონ „განთავსების აგენტისთვის“ განაცხადის/შეტყობინების მიწოდების გზით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის ან „განთავსების აგენტის“ მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღი განისაზღვრება „ემიტენტის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით, რომელიც არ უნდა იყოს შესაბამისი განაცხადის/შეტყობინების მიწოდებიდან 4 (ოთხი) „სამუშაო დღეზე“ ნაკლები. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში. ამგვარი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი აისახება საბოლოო „ემისიის პროსპექტში“.

თუ პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, ისინი გამოხატავენ ინტერესს შეიძინონ წინასწარი ან საბოლოო „პროსპექტით“ შეთავაზებულზე მეტი ოდენობის „ობლიგაციები“, ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამგვარ პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს უარი თქვას ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონულად ან სხვა ფორმით დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღის“ 14:00 საათისა (თბილისის დროით), რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისათვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“, თავისი შეხედულებისამებრ,

განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის („შემსყიდველი ინვესტორები“).

„შემსყიდველმა ინვესტორებმა“ „ობლიგაციების“ შესაბამისი რაოდენობის შესასყიდად საჭირო თანხები სრულად უნდა განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ არა უგვიანეს 2 „სამუშაო დღისა“. „შემსყიდველმა ინვესტორებმა“ ამგვარი საბროკერო ანგარიშები უნდა გახსნან „განთავსების აგენტთან“. „ემიტენტი“ შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდებას განახორციელებს „გამოშვების დღეს“ იმავე საბროკერო ანგარიშზე. საგამონაკლისო შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მისცეს უფლება „შემსყიდველ ინვესტორს“, რათა მან „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „განთავსების აგენტთან“ გახსნილ „ემიტენტის“ ნომინალურ ანგარიშზე („განთავსების აგენტთან“ გახსნილი „შემსყიდველი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშის ნაცვლად). ამ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ „შემსყიდველი ინვესტორის“ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუკი პირველადი განთავსების პერიოდში ინვესტორი „ობლიგაციებს“ შეიძენს მათი გამოშვების თარიღის შემდეგ, იგი ვალდებული იქნება „ობლიგაციის“ ნომინალურ ღირებულებასთან ერთად გადაიხადოს მათი შეძენის თარიღისთვის დარიცხული კუპონიც.

გამონაკლისის სახით, „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“ ემიტენტის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში უფლებამოსილია პოტენციური ინვესტორებისთვის (მათ შორის და არა მხოლოდ, „შემსყიდველი ინვესტორებისთვის“) დაადგინოს გარკვეული შეღავათები ვადებთან ან პირობებთან დაკავშირებით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილნი არიან ფლობდნენ „ობლიგაციებს“ ჩანაწერის ფორმით „რეგისტრატორთან“ ან სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციები“ გადატანილი იქნება სხვა „ნომინალურ მფლობელთან“, „ობლიგაციების მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი „ნომინალური მფლობელი“ გადახდის და კალკულაციის აგენტს“ მოთხოვნისთანავე უმოკლეს ვადებში მიაწვდის ინფორმაციის „ობლიგაციების“ ბენეფიციარების და მათი საგადასახადო სტატუსის შესახებ.

დაბოლოს, ზემოაღნიშნულის მიუხედავად და შესაბამისი პროცედურის გამორიცხვის გარეშე, „განთავსების აგენტის“ და „ემიტენტის“ ერთობლივი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა შეთავაზება განხორციელდეს საქართველოს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესზე გავრცელდება ცენტრალური დეპოზიტარის შესაბამისი წესები.

(ბ) ცვლილებების განხორციელება შეთავაზების მიმდინარეობისას

თუ შეთავაზების პროცესში (დროის მონაკვეთი შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“) „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით (ცვლილებები დაექვემდებარება ეროვნული ბანკის მიერ თავიდან დამტკიცებას, რაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მოხდება მათი დამტკიცება), მაგალითად, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, საპროცენტო განაკვეთი, შეთავაზების პერიოდი და ა.შ., „ემიტენტმა“ „ინვესტორებს“ უნდა განუხაზღვროს სულ მცირე 14

(მოთხოვნით) კალენდარული დღის ვადა მათი მოთხოვნის გაუქმებისათვის. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, „ემიტენტს“ უფლება აქვს გააგრძელოს შეთავაზება შეცვლილი პირობებით.

თუ ინფორმაცია რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით შეიცვლება, ინვესტორებს, რომლებმაც შეისყიდეს „ობლიგაციები“, უფლება აქვთ გააუქმონ ამგვარი ნასყიდობა და მოითხოვონ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ გამოსყიდვა მათი ძირითადი თანხისა და ნებისმიერი დარიცხული პროცენტის სანაცვლოდ. ინვესტორები („ობლიგაციების მფლობელები“), რომლებიც არ გააუქმებენ „ობლიგაციების“ შესყიდვას, დაექვემდებარებიან შეთავაზების შეცვლილ პირობებს.

თუ შეთავაზების პროცესში შეიცვლება რაიმე არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტმა“, შესაბამისი ცვლილების „ემისიის პროსპექტში“ შეტანამდე, უნდა შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ და მიაწოდოს მათ დოკუმენტი, რომელიც ასახავს ამგვარ შეცვლილ ინფორმაციას. ამასთან, „ემიტენტმა“ „ინვესტორებს“ უნდა განუსაზღვროს სულ მცირე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადა მათი მოთხოვნის გაუქმებისათვის.

3.1.4. მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც;

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა შესაბამის მფლობელებზე, „ობლიგაციები“ ან მათი ნაწილი ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ კი გაუქმდება.

3.1.5. განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა:

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.1.6. არსებობის შემთხვევაში, შესყიდვის განაცხადის მინიმალური ან / და მაქსიმალური თანხის ოდენობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ან ინვესტიციის ჯამური თანხა):

მინიმალური განაცხადი წარმოადგენს 1 (ერთ) ობლიგაციას. მაქსიმალურ რაოდენობაზე შეზღუდვა არ არის.

3.1.7. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ:

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდები და ვადები გაწერილია 3.1.3 (ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის პუნქტში.

3.1.8. შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება:

შეთავაზების შედეგები გასაჯაროვდება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენიდან 1 (ერთ) კვირის ვადაში „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მეშვეობით. განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

3.1.9. პროცედურები უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების, ამ უფლების შესაძლო ცვლილების და ამ უფლების არ გამოყენების შემთხვევაში:

ობლიგაციებთან მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება.

3.2. განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა

3.2.1. პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.

ობლიგაციების ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეთავაზება იგეგმება „ფასიანი ქაღალდების კანონით“ ნებადართულ ყველა პირზე.

3.2.2. ფასიანი ქაღალდის შეძენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი, ამასთან იმის მითითება, შესაძლებელია თუ არა ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დაწყება ასეთი შეტყობინების გაგზავნამდე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის.

ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე.

3.2.3. რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, მითითება აპირებენ თუ არა ემიტენტის მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) მონაწილეობა მიიღონ შეთავაზებაში და შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, ან არსებობს თუ არა პირი, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 პროცენტზე მეტი.

„ემიტენტისთვის“ ასეთი ინფორმაცია უცნობია.

3.3. ფასის დადგენა

3.3.1. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით:

„ობლიგაციების“ განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ფასი განსხვავებული იქნება აღნიშნული გაცხადებული ფასისაგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შეძენაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3.2. შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა;

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას.

3.4. განთავსება

3.4.1. შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და ობლიგაციონერების წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია;

შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211389291) (რომელიც შეთავაზებაში ჩართულია ზემოაღნიშნული შეზღუდული მანდატით), 129ა დავით აღმაშენებლის გამზირი, თბილისი 0102

3.4.2. ანგარიშსწორების აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია:

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)
მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7
ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge
ტელ.: (+995 32) 227 27 33

3.4.3. განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით. თუ არ ხდება სრული შეთავაზების ანდერაიტინგი, ხელშეკრულებით დაფარული ნაწილის მითითება;

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)
მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7
ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge
ტელ.: (+995 32) 227 27 33

„ობლიგაციების“ განთავსება ხდება „თიბისი კაპიტალს“ და „შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესს“ შორის 2022 წლის 30 ივნისს გაფორმებული შეთანხმების წერილის საფუძველზე. „ობლიგაციების“ განთავსების შედეგად „რიკო ექსპრესის“ მიერ მიღებული წმინდა სახსრები (განთავსების საკომისიოს გათვალისწინებით) იქნება მინიმუმ 123 750 000 ლარი.

3.4.4. მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.

განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ობლიგაციების“ განთავსებასთან ერთად, თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის გაგრძელება.

4. სავაჭროდ დაშვება და შემდგომი ვაჭრობა

4.1. თუ ცნობილია, უნდა მიეთითოს მოხდება თუ არა ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე, ასევე სავაჭროდ დაშვების უახლოესი თარიღი:

ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება მოხდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ემისიიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა.

4.2. არსებობის შემთხვევაში, იმ პირთა დეტალები და მათი ვალდებულების ძირითადი პირობების აღწერა, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, იმოქმედონ შუამავლებად მეორად ვაჭრობაში და უზრუნველყონ შეთავაზების ლიკვიდურობა:

ასეთი არ არსებობს.

4.3. თუ პროსპექტით განსახორციელებელი საჯარო შეთავაზების პარალელურად ან ახლო პერიოდში იგეგმება იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების კერძო განთავსება, ან, თუ იგეგმება სხვა კლასის ფასიანი

ქალაქების საჯარო ან კერძო განთავსება, უნდა მიეთითოს ასეთი ფასიანი ქალაქების რაოდენობა, მახასიათებლები და ფასი:

არ იგეგმება.

5. ემისიის/ შეთავაზების ხარჯები

5.1. ემისიით/შეთავაზების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლისა და ჯამური ხარჯების ან მათი სავარაუდო ოდენობის მითითება.

გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციის განთავსებიდან მიღებული წმინდა სახსრები არ იქნება [128,000,000] ლარზე ნაკლები. „განთავსების“ საფასური/დანახარჯები არ იქნება დაკისრებული ინვესტორებზე.